წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

- რუმინეთი ბულგარეთის საზღვარზე დიდძალ ჯარს [illegible]
- ჰოლანდიელი რეფორმისტები უარს ამბობენ სამთამადნო მუშების დახმარებაზე.
- კრაკოვის (პოლონეთი) ციხეში პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს
- საფრანგეთის ფრანკის დაცემა ლონდონის ბირჟაზე გრძელდება
- პრიმო-დე-რივერა პარიზიდან დაბრუნდა მადრიდს.
- სამხრეთ-სლავიაში დიდი წყალ დიდობაა.
- ლანსბერი ლონდონიდან ლენინგრადში გაემგზავრა.

კვირა, 18 ივლისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 163 (1708)

ჩვენი სავაჭრო აპარატი

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სამრეწველო საგნებზე საცალო ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ და საერთოდ სოფლისათვის იაფი საქონლის მიწოდების ამოცანა, ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, როცა გლეხობის სყიდვითი უნარი გაიზრდება, განსაკუთრებულ სიმწვავეს აძლევს სავაჭრო აპარატის სწორი ორგანიზაციის და მოწესრიგების საკითხს.

აქ პირველ რიგში აღსანიშნავია სახელმწიფოებრივ მრეწველობის და კოოპერაციის ურთიერთი დამოკიდებულება. კარგა ხანია, რაც ამ საკითხის გარშემო ცხარე დისკუსია სწარმოებს. თითქმის ერთი წელიწადია, რაც მათი დამოკიდებულების უმთავრეს ფორმას წარმოადგენს ე. წ. გენერალურ ხელშეკრულებათა სისტემა, რომლის მიხედვით მრეწველობას ევალება კოოპერაციისათვის საქონლის საკმაო მასსის უზრუნველყოფა განსაზღვრულ პირობებში. ბოლო დროს მრეწველობის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ამ ფორმის წინააღმდეგ, თითქო მას ხელი შეეწყოს საქონლის ტრიალის გაჭიანურებასა და საცალო ფასების ზრდისათვის. ეს მოსაზრება მოკლებულია სერიოზულ საფუძვლებს. თავის თავად გენერალურ ხელშეკრულებას, როგორც საქონლით კოოპერაციის გეგმიანი მომარაგების საშუალებას, არ შეიძლებოდა ასეთი როლი ეთამაშა. პირიქით, ის თავისი არსებით მოწოდებულია ბაზრის სტიქიაში შეიტანოს მოწესრიგება და კოოპერატიული არხებით საქონლის გატარებით მიაღწიოს მის სწრაფ ბრუნვას და გაიაფებას.

თუ ამ მხრივ სინამდვილეში საგრძნობ ნაკლულევანებებს ჰქონდა ადგილი, ეს ოდნავადაც არ ამტკიცებს გენხელშეკრულებათა სისტემის უვარგისობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ საჭიროა მისი გაუმჯობესება და სათანადო ზომების მიღება კოოპერაციის აპარატის გასაჯანსაღებლად, რათა მან სავსებით გამოიყენოს გენხელშეკრულებით მინიჭებული შეღავათები სოფლისთვის საქონლის იაფად მიწოდებისათვის.

მრეწველობის ზოგიერთ წარმომადგენლობას კი ემჩნეოდათ ტენდენცია კოოპერაციის ხარჯზე სინდიკატური ქსელის განვითარებისა, რაც კოოპერაციას უეჭველად მძიმე პირობებში ჩააყენებდა საქონლის დღევანდელ ნაკლებობის დროს და ხელს ვერ შეუწყობდა მისი გეგმიან განაწილებას. რა კი კოოპერაცია მიჩნეულია სოციალისტური მშენებლობის უმთავრეს გზად სოფელში, რა კი უდავოდაა აღიარებული, რომ საწვრილმანო ვაჭრობის დარგში სამომხმარებლო კოოპერაციას მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს,—უნდა არსებობდეს ისეთი პირობებიც, როცა კოოპერაცია ამ დანიშნულებას შეასრულებს. გენერალურ ხელშეკრულებათა სისტემა ამ მხრივ ერთი ძირითადი პირობათაგანია.

ეს დავა დღეს გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. შრომისა და თავდაცვის საბჭო თავის დადგენილებებში ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის და საცალო ფასების დაკლების შესახებ აუცილებლად სცნობს მრეწველობის მიერ კოოპერაციის დატვირთვას საკმაო საქონლით და სინდიკატური ქსელის გაუქმებას იქ, სადაც კოოპერაცია მოღონიერებულია, რათა მავნე პარალელიზმი აცილებულ იქნას. კერძოდ ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო ამას წინად მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ გენერალურ ხელშეკრულებათა პრაქტიკამ ხელი შეუწყო გეგმიანობის შთანერგვას კოოპერატიულ მეურნეობის მთელ წყობაში, ამიტომ ის სცნობს გენერალურ ხელშეკრულებათა სრულ მიზანშეწონილებას და ამ სისტემას სთვლის აუცილებელ ძირითად ფორმად მრეწველობასა და კოოპერაციას შორის ურთიერთ დამოკიდებულებაში; ა.-კ. სახკომსაბჭო საჭიროდ აღიარებს გენხელშეკრულებათა არამც თუ შენარჩუნებას, არამედ მათ გაღრმავებისა და გაფართოვებასაც.

ამნაირად, გენხელშეკრულებათა სისტემა რჩება და ამ გზით კოოპერაცია დატვირთული იქნება სამრეწველო საქონლით. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ეს საქონელი თავის დროზე და იაფად მივაწოდოთ მომხმარებელს. და აქ ისმება საკითხი კოოპერატიული ვაჭრობის რაციონალიზაციის შესახებ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქონელმა, სანამ მომხმარებლამდე მიაღწევდეს, დღეს უნდა გაიაროს მრავალ ინსტანციებში. ამით საქონლის ბრუნვა გვიანდება, ზედნართი და საორგანიზაციო ხარჯები იზრდება და საქონელი ძვირდება. უმოკლესი გზა ფაბრიკა-ქარხნიდან მომხმარებლამდე—ასეთია ლოზუნგი. უნდა მინიმუმამდე შემცირდეს საქონლის გატარების საფეხურები. ამ მიზნით ა.-კ. სახკომსაბჭო, სხვათა შორის, საჭიროდ სცნობს კოოპერატიულ კავშირების განყოფილებათა გაუქმებას, გარდა გამონაკლის შემთხვევებისა, როცა მსხვილი განყოფილებები აუცილებელი იქნებიან როგორც ბაზა საქონლით. ძირითადი კოოპერაციის მოსამარაგებლად.

შემდეგ: საქონლის სიმცირის ნიადაგზე კოოპერაციას დაეტყო არანორმალური დაგროვების ტენდენცია. — საქონელი მაინც გასაღდება და საჭიროა მასზე ფასების წამატებით გამოვასწოროთ ჩვენი ფინანსებიო.—ასე მსჯელობდენ ზოგიერთი კოოპერატორები. მოგებით ცალმხრივი გატაცება გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას კოოპერაციაში. ცხადია, კოოპერაცია ზარალით ვერ ივაჭრებს, ნორმალური მოგება მან უნდა მიიღოს, მაგრამ მხოლოდ ნორმალური კოოპერატიული მოგება, რაც სასტიკად უნდა იქნეს განსაზღვრული.

არა ნაკლებ საყურადღებოა კოოპერატიულ აპარატის გაიაფების და გაჯანსაღების საკითხი. მისი ჯერ კიდევ გაბერილი შტატების შემცირება, არჩეულ თანამდებობათა (გამგეობები) უფასოდ მუშაობის განხორციელება, უკიდურესი მომჭირნეობის დაცვა ყველაფერში, მფლანგველობის ძირფესვიანად აღმოფხვრა — ასეთია ამოცანები.

კიდევ გვინდა აღვნიშნოთ ერთი მომენტი: ცალკე რაიონებში საქონლის განაწილების სწორი ორგანიზაცია. ხშირია შემთხვევები, როცა საქონლის შეტანა ამა თუ იმ რაიონში არ არის შეფარდებული ამ რაიონის საჭიროებებთან და სყიდვითი უნარიანობასთან. ეს აჭიანურებს საქონლის ბრუნვას და აძვირებს მას. აუცილებლად წინასწარ უნდა იქნეს გამორკვეული, რა საქონელი, როდის და რა რაოდენობით ესაჭიროება ამა თუ იმ რაიონს, ე. ი. უნდა მივაღწიოთ საქონლის გეგმიან განაწილებას.

თავის თავად ცხადია, რომ სავაჭრო აპარატის, კერძოდ კოოპერაციის გაჯანსაღების საქმეში, გარდა სათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოებისა, აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმული მშრომელთა ფართე მასსები. მხოლოდ მათი თვითმოქმედება და ცხოველი მონაწილეობა უზრუნველჰყოფს გამარჯვებას ამ ფრონტზე.

საცალო ფასების დაკლების, მოსახლეობისათვის საქონლის იაფად და გეგმაშეწონილად მიწოდების საკითხი და, მაშასადამე, კოოპერატიულ სახელმწიფოებრივ ვაჭრობის გაჯანსაღების და სწორი ორგანიზაციის ამოცანა დღეს მოქცეულია ხელისუფლების და საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში, თავისი უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. საერთო ძალღონით ეს ამოცანა უმოკლეს დროში უნდა გადავჭრათ. სათანადო ორგანოების ენერგიული ღონისძიებებით და მშრომელ მასსის დახმარებით ეს სავსებით შესაძლებელია.

ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება

(„პრავდას“ მოწინავე)

საკითხი სოფლის ღატაკ მოსახლეობის დახმარების შესახებ იმ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც პარტიის რეზოლიუციები საკმაო ასპარეზს სტოვებენ პრაქტიკული ინიციატივისათვის.

ამისდამიუხედავად უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ დღემდე ძლიერ ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული. ამ საკითხის შესწავლამ კოოპერაციის თვალსაზრისით, რომელიც დახმარების უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს, გამოაშკარავა დაგვიანების მიზეზები და ნება მოგვცა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნა გავაკეთოთ.

ღარიბი მოსახლეობა ჯერ კიდევ კონკრეტულად გაცნობილი არ არის იმ შეღავათებს, რომელიც მას შეიძლება კოოპერაციამ მისცეს. მან ბუნდოვანად იცის, რომ „საზოგადოთ“ რაღაც შეღავათები არის, მაგრამ სახელდობ რომელი, სად, ვის ხარჯზე და რა პირობებში, უმეტეს შემთხვევაში არავის იცის.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ღარიბი სოფლელის პასიური დამოკიდებულება კოოპერაციასთან. ის ხშირად ვერ ბედავს პირადათ გამოსვლას, საკუთარი თაოსნობით თავისი უფლებების დაცვას. ხოლო ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელნიც, თუ გარედან ძალა არ დაატანეს, ადვილად არ შეინძრევიან, ამჯობინებენ გათელილი გზით იარონ. მით უმეტეს ყოველი სერიოზული საქმის დაწყება მატერიალურ მსხვერპლს მოითხოვს.

ხოლო თუ კოოპერატიულ სისტემას ავიღებთ მთლიანად, დავინახავთ, რომ ღარიბ მოსახლეობის დახმარების საქმეს დღემდე გეგმიანობა აკლია. არის მიღწევები, არის დაგროვილი გამოცდილება, მაგრამ არ არსებობს განსაზღვრული ფონდები, არ არსებობს ნათლად მოხაზული გზები, რომელნიც გასაგები უნდა იყოს ყოველი ქვედა საფეხურის ორგანიზაციისთვის.

ერთს მეტად სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის განუვითარებლობა და კრედიტის პირობების შეუფერებლობა ღარიბ მოსახლეობის გადამხდელობითი შესაძლებლობასთან. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენადაც მწარმოებელი კრედიტი წარმოადგენს ღარიბ მოსახლეობის დახმარების მთავარ სახეს.

ყველა ამ აღნიშნულ ნაკლულოვანებათა განხილვამ, რომელნიც მუშაობის პრაქტიკამ გამოააშკარავა, აიძულა ცენტრალური კოოპერატიული საბჭო საგანგებო საინსტრუქციო წერილით მიმართა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებისადმი.

ცენტრალური კოოპერატიული საბჭოს მიმართვაში განზრახული ზომები სამ ჯგუფათ განიყოფება: 1) ფართო სისტემატიური განმარტება კოოპერაციის ამოცანებისა და ღარიბ გლეხობის დახმარებისა; 2) ღარიბებისთვის კოოპერატივს წევრად ჩაწერის გაადვილება; 3) სპეციალური დაცვა კოოპერაციაში შეკავშირებული ღარიბი მოსახლეობის ინტერესებისა.

პირველი მუხლი შეიცავს არა მარტო ზომების პროპაგანდას, არამედ ღარიბ მოსახლეობიდან კანდიდატების გამოყოფას კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებისათვის, სტიპენდიების მიცემას, აპარატის შემადგენლობაში შეყვანას.

საპაიო გადასახადების მხრივ განზრახულია შემდეგი: საგანგებო ფონდების დაარსება საპაიო გადასახადების შესატანად; იმ შემთხვევაში, თუ ეს ფონდი არ არსებობს ან ამოწურულია, ღარიბ წევრს ვადა უნდა მიეცეს ორ წლამდე, ამასთანავე საგანგებო საპაიო ქსელი უნდა დაარსდეს, ისე რომ ღარიბებისათვის საპაიო გადასახადი ნაკლები იყოს.

იმ ზომებიდან, რომელნიც ღარიბი მოსახლეობის მიერ კოოპერაციით სარგებლობას შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი: 1) პირველ რიგში კოოპერატიულად შეკავშირებულ ღარიბ მოსახლეობას უნდა მიეცეს კოოპერატივის სამუშაო (გადაზიდვა, დღიური სამუშაო და სხ.); 2) შეღავათიანი დახმარების მიწოდება კოოპერაციის მიერ მოწყობილი პუნქტების მიერ; 3) შეღავათიანი მიწოდება წარმოების იარაღებისა, თესლისა, ნედლი მასალისა, ხელსაწყოებისა და სხ. ღარიბთა მეურნეობის ტეხნიკისა და ინტენსივობის ასაწევად; 4) პირველ რიგში ღარიბ მოსახლეობას უნდა გაუსწორდეს ანგარიშები განაღდების ოპერაციებისათვის; 5) უნდა განვითარდეს დაბევების ოპერაციები ღარიბ მოსახლეობისთვის ქირნახულის რეალიზაციის მომენტში, რათა ის იძულებული არ გახდეს ნაწარმოები დაკლებულ ფასებში გაჰყიდოს; 6) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ღარიბ მოსახლეობას აგრონომიული პერსონალი უნდა მიაწოდოს, ხოლო სამრეწველო კოოპერატივებმა ტეხნიკური ხელსაწყოები; 7) ხელი უნდა შეუწყოს საწარმოვო არტელების ორგანიზაციას მოსახლეობის ღარიბი წრეებიდან უმოქმედო ქარხნებისა და სახელოსნოების ასამუშავებლად; 8) არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა შენარჩუნება და ახალთა ორგანიზაცია, ღარიბთა ჩაბმა შრომის არტელებში გაეროვნებულ ბაღებისა და ბოსტნების გამოსაყენებლად.

წარმოდგენილ ზომებს უაღრესად პრაქტიკული ხასიათი აქვთ. არავითარ შემთხვევაში მათ არ უნდა შევხედოთ, როგორც ქველმოქმედების ფორმებს. უკუღმართი ნაბიჯები შეარყევს ძირითადი კოოპერატიული ქსელის საფუძველს, დააფრთხობს გლეხკაცობას და ამრიგად თვით სოფლის ღარიბ მოსახლეობას დააზარალებს.

მაგრამ ამასთანავე ამ საქმიდან, რომელსაც პარტიული ხაზის გასატარებლად სოფელში ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, განდევნილ უნდა იქნას ყოველივე მკვდარი შაბლონი, თვითეულ ღატაკ გლეხს ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ის არის სოფლის სინამდვილეში. განსაკუთრებით ამას მნიშვნელობა აქვს სესხის მიცემის დროს. თუ მხოლოდ ქონებრივი გარანტიების ნიადაგზე დავდექით, დახმარებას ღარიბი მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტი-ღა მიიღებს. სრულიადაც მიუღებელი არ იქნება ეკონომიურ ანგარიშიანობის თვალსაზრისით, თუ ქონებრივ უზრუნველყოფისთან ერთად მხედველობაში იქნება მიღებული ღარიბი გლეხის ეკონომიური სიმტკიცე, მისი მეურნეობის გაუმჯობესების პერსპექტივა და მისი პირადი კეთილსინდისიერება. სოფელში მშვენივრად იციან თვითეული მეურნის დაფასება; ასეთივე მოქნილობა უნდა გამოიჩინოს კოოპერატივის გამგეობამ საქმიანი მოსაზრებების ჩარჩოებში.

საერთოდ კურსი შემდეგი უნდა იყოს: უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს დახმარების მწარმოებელ ხასიათს, ე. ი. ღარიბ მოსახლეობის წარმოებისა და მეურნეობის გაუმჯობესებას, გატარებულ ზომების შემწეობით; შემდეგ უნდა განმტკიცდეს საზოგადოებრივი მომენტები იმ მხრივ, რომ კოოპერაციამ მაქსიმალურად შეაკავშიროს ღარიბ გლეხობის მეურნეობანი.

პარტია ადგილებიდან უდიდეს ენერგიასა და თაოსნობას მოითხოვს ამ საქმეში. ზომების განხორციელების შემდეგ მთელ ხაზზე უნდა მოხდეს შემოწმება, გამოცდილების აღრიცხვა, უნდა უზრუნველყოფილ იქნას ბრძოლა ღატაკთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად და საშუალო გლეხისა და ბოგანოს შესაკავშირებლად კულაკის წინააღმდეგ.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
[illegible], 17 ივლისი.

კაიოს დამარცხება საფინანსო კომისიაში

კომისიამ უარყო კაიოს წინადადება მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ

საფრანგეთის პრესას იმედი აქვს, რომ საბჭოთა კავშირთან მიღწეული იქნება სრული შეთანხმება

პოლონეთის სეიმში დაიწყო კონსტიტუციის შეცვლის პროექტის განხილვა

გუშინ საღამოს გადადგა ბრიანის მეათე კაბინეტი

კაიოს „რეფორმები“

მთავრობის საფინანსო პროექტი

პარიზი, 16 ივლისი. მთავრობის საფინანსო პროექტი სულ 2 მუხლისაგან შესდგება.

პირველი მუხლი მთავრობას უფლებას აძლევს გამოსცეს 1926 წლის 30 ნოემბრამდე დეკრეტები ყველა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა არიან ფინანსიურ გაჯანსაღებისა და ფრანკის სტაბილიზაციისათვის.

მეორე მუხლში ნათქვამია: დეკრეტები საგადასახადო ღონისძიებების შესახებ დეპუტატთა პალატას წარედგინება 1927 წლის მორიგი სესიის გახსნის შემდეგ.

პროექტის დამატებაში ნათქვამია, რომ ზემოდ აღნიშნული დეკრეტები ჰგულისხმობენ საგადასახადო ტვირთის უფრო რაციონალურად განაწილებას: შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემცირებას 30 პროცენტით; მემკვიდრეობაზე არსებულ გადასახადის გადიდებას 20 პროცენტით, სატალონო წიგნაკების შეცვლას და არაპირდაპირ გადასახადების განაკვეთის გადასინჯვას, ისე რომ ახალი განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ ჯერზე მეტათ 1924 წლის განაკვეთს.

რაც შეეხება გადასახადს სავაჭრო ბრუნვაზე, განზრახულია მთლიანი განაკვეთის შემოღება საშინაო ვაჭრობის და იმპორტისათვის.

გარდა ამისა, ნაგულისხმევია რკ.გზის ტარიფების გადიდება, სატრანსპორტო საშუალებებზე და ავტომობილებზე დაწესებულ გადასახადის განაკვეთის გადასინჯვა, სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მომატება, სახელმწიფო გასავლის ზოგიერთ მუხლების შემცირება, ზოგიერთ საქონლის შემოტანის აკრძალვა და სხ.

რეგლამენტის შეცვლა

პარიზი, 16 ივლისი. იმის გამო, რომ ახლო მომავალში განხილულ უნდა იქნეს კანონპროექტი მთავრობის რწმუნებების გაფართოების შესახებ საფინანსო რეფორმის გასატარებლად, დეპუტატთა პალატამ რეგლამენტი შესცვალა. დრო ყველა ორატორებისათვის, მათ შორის მინისტრებისთვისაც, განსაზღვრულია 1 საათით.

იმ ფრაქციებს, რომელთაც არა ჰყავთ 50 წევრი, შეუძლიათ წამოაყენონ მხოლოდ ერთი ორატორი.

ფრანგული ფრანკი

ლონდონი, 17 ივლისი. ლონდონის ბირჟაზე ფრანგული ფრანკის კურსი კვლავ ეცემა. გირ. სტერლინგი ღირს 207,00 ფრანკი

კაიოს კანონპროექტი

ლონდონი, 17 ივლისი. კაიო თავის კანონპროექტში ჰგულისხმობს შემოსავლის დაბეგვრის და სამიწათმოქმედო გადასახადების გადასინჯვას, სარკინიგზო და საავტომობილო ტარიფების გადიდებას და სხვ. გარდა ამისა საფრანგეთის ბანკს უნდა დაუბრუნდეს მთელი უცხოეთის ვალიუტა და დასახურდავებელი კრედიტები, რომელიც მთავრობის განკარგულებაში იმყოფება და აგრეთვე ის, რომელსაც მთავრობა მიიღებს ფრანკის სტაბილიზაციისათვის.

ცუდი შთაბეჭდილება

ლონდონი, 17 ივლისი. „დეილი მეილ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ამბობს, რომ **ინგლის - საფრანგეთის შეთანხმებამ ვალების შესახებ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრის ფართო წრეებზე.**

„ტაიმსის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი კითხულობს — არის თუ არა მართალი ჩერჩილი როცა ამბობს, რომ უნდა არსებობდეს განსხვავება კომერციულ და სამხედრო ვალებს შორის, და აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრი და აგრეთვე ექსპერტების აზრი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ინგლისი გვიჩვენებს ჩვენ გზას, რომელიც ამერიკაში თავის დროზე მიღებულ უნდა იქნეს.

კაიოს პირველი მარცხი

პარიზი, 16 ივლისი. დეპუტატთა პალატის **საფინანსო კომისიამ 14 ხმით 13-ის წინააღმდეგ უარყო მთავრობის საფინანსო პროექტის პირველი მუხლი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ.** ამ მუხლის მაგიერ საფინანსო კომისიამ მიიღო მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს მთავრობას მიმართოს მუხლის სპეციალურ დამატებაში აღნიშნულ ზომებს.

მთავრობამ უარყო ეს წინადადება. კაიოს განმარტებების მოსმენის შემდეგ კომისიამ 15 ხმით 10-ის წინააღმდეგ (13-მა თავი შეიკავა) დაადგინა გადავიდეს პროექტის მეორე მუხლის განხილვაზე.

ბრიანის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 17 ივლისი. **გუშინ, საღამოთი პალატაში უნდობლობის გამოცხადების გამო გადადგა ბრიანის მეათე კაბინეტი. ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 243 დეპუტატმა, ხოლო წინააღმდეგ 288.**

მოლაპარაკება საფრანგეთთან

კაიოს ორგანო საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 16 ივლისი. ეხება რა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების პერსპექტივებს, კაიოს ორგანო „ვოლენტე“ სწერს:

„მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება შეწყდა არდადეგების გამო, ორივე მხარეს ამოქმედებს საუკეთესო განზრახვები. **ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქნეს მიღწეული შეთანხმება.** კრიზისის გაძლიერება ევროპაში გავლენას მოახდენდა აგრეთვე საბჭოთა კავშირზედაც. ამიტომ, განა უფრო მიზანშეწონილი და გონიერი არ იქნება, თუ რუსეთის ხალხი დაანგრევს იმ ბარიერს, რომელიც მან შექმნა თავის თავსა და ევროპას შორის? საფრანგეთმა და ევროპამ ლოიალურად უნდა გაუწოდონ ხელი საბჭოთა კავშირს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაკოვსკის ენერგიის და მოხერხების წყალობით, მოლაპარაკების დროს დაძლეული იქნება ყოველგვარი დაბრკოლებები და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა დასავლეთთან მომხდარი ფაქტი შეიქნება“.

პილსუდსკის რესპუბლიკაში

კონსტიტუციის შეცვლა და მთავრობის უფლებების გაფართოება

ვარშავა, 17 ივლისი. სეიმში დაიწყო კონსტიტუციის შეცვლის პროექტის განხილვა.

ამავე დროს სეიმს საბოლოო რედაქციით წარედგინა კანონპროექტი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ. კონსტიტუციის შეცვლის კანონპროექტის განხილვა დამთავრდება 17 ივლისს. 19 ივლისს დაიწყება განხილვა კანონპროექტისა მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ. ხსენებულ პროექტში ჩამოთვლილია საკითხები, რომლებზედაც არ ვრცელდება მთავრობის რწმუნებები: კონსტიტუციის გადასინჯვა, ახალი გადასახადები, მონოპოლიის დამტკიცება, საარჩევნო კანონის შეცვლა, ჯარში გასაწვევთა რაოდენობის გადიდება, ომის გამოცხადება ხელშეკრულების დადება სხვა სახელმწიფოებთან და სხვა.

მეხუთე არმიის ახალი ინსპექტორი

ვარშავა, 16 ივლისი. მეხუთე არმიის ინსპექტორად დაინიშნა პილსუდსკის მომხრე **ნეივებაუერი.** ამრიგად, მეხუთე არმიის სარდალს — გენ. სიკორსკის კანტრალიორათ დაუნიშნეს პილსუდსკის მომხრე პიროვნება.

საიდუმლო თათბირი

ვარშავა, 16 ივლისი. ინგლისელი ჟურნალისტი სტედი მიიღო პილსუდსკიმ. პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე, თუ რაზე ჰქონდა მას საუბარი პილსუდსკისთან, სტედმა განაცხადა, რომ **საუბარს ფრიად საიდუმლო ხასიათი ჰქონდა.**

თათბირი პილსუდსკისთან

ვარშავა, 16 ივლისი. პილსუდსკიმ მიიღო გენერალური შტაბი უმაღლეს თანამდებობის პირნი და გააცნო მათ არმიაში მუშაობის მომავალი გეგმა. თათბირის მონაწილენი სიით იყვნენ მიწვეულნი. მიწვეულთა შორის იყვნენ ზოგიერთი ოფიცრები, რომლებიც გადატრიალების დღეებში პილსუდსკის წინააღმდეგ იბრძოდენ.

შიმშილობა კრაკოვის ციხეში

ვარშავა, 16 ივლისი. ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, **პოლიტიკურმა პატიმრებმა კრაკოვის ციხეში შიმშილობა გამოაცხადეს.** ნიშნად პროტესტისა ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ. ის პატიმრები, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს, საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ ხელოვნურათ კვებავენ.

ინგლისის ბურჟუაზიის მოკავშირეები

„ინგლისის მინისტრების რეპუტაციის შელახვის“ წინააღმდეგ

ლონდონი, 16 ივლისი. 15 ივლისს ალბერტხოლში შესდგა მიტინგი, რომელიც მოაწყო კონსერვატორების მემარჯვენე ფრთამ ნიშნად პროტესტისა „საბჭოების ჩარევის წინააღმდეგ ინგლისის საშინაო საქმეებში“.

სიტყვები წარმოსთქვეს ლოკერ ლემპსონმა, ჰევლოკ ვილსონმა (მეზღვაურთა და გემების ცეცხლფარეშთა კავშირის მდივანი) და სხვ. მთავარი ორატორი იყო ლოკერ ლემპსონი (გარეშე საქმეთა მინისტრის ძმა, რომელმაც განაცხადა:

„მუშათა პარტია ბრძანებებს იღებს მოსკოვიდან და სცდილობს ინგლისის მინისტრების რეპუტაციის შელახვას, ინგლისის პრესტიჟის დაცემის მიზნით“.

ლემპტონს სიტყვა შეაწყვეტინა მიტინგზე დამსწრე ქალიშვილმა, რომელიც პირველ რიგებში იჯდა. მან განაცხადა, რომ მუშათა პარტიის დეპუტატებს აქვთ უფლება მოითხოვონ ცნობები კაბინეტის წევრების კავშირის შესახებ სამრეწველო და სავაჭრო კომპანიებთან. ქალი იმწამსვე გაიყვანეს დარბაზიდან, რის შემდეგ ლოკერ ლემპსონმა განაგრძო:

„საბჭოებს ინგლისის კრედიტორების მართებთ 950 მილ. გირ. სტერლინგი. რა აზრი აქვს ამ „გაიძვერა ხალხის“ ცნობას, სანამ ის არ დაგვიბრუნებს ჩვენ საკუთრებას, ან არ აგვინაზღაურებს ფულით. მე მომბეზრდა მისი უდიდებულესობის მინისტრების განცხადებები საბჭოთა მთავრობის, როგორც მეგობრულ სახელმწიფოს მთავრობის შესახებ“.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია საბჭოთა აგენტების გამანადგურებელ მოქმედების წინააღმდეგ ინგლისის იმპერიის ფარგლებში.

ტრანსპორტის მუშათა ფონდებში

ლონდონი, 17 ივლისი. ტრანსპორტის მუშათა ტრედუნიონი აღნიშნავს, რომ ტრედუნიონის აქტივი და ფონდები წარსული წლის ბოლოში აღწევდა 500.000 გირ. სტერლინგამდე, მაგრამ მთელი ეს თანხა დაიხარჯა სამთამადნო მუშების ბრძოლაში.

გაფიცვამ დააბრკოლა

ლონდონი, 17 ივლისი. ბრიტანეთის ფირმა „მორგან გრენფელდ და კომპანია“ და ამერიკის საერთაშორისო ნაოსნობის სავაჭრო კომპანიის თავმჯდომარე ფრანკლინი აცხადებენ, რომ ეხლანდელი მდგომარეობის გამო შეწყვეტილია მოლაპარაკება ბრიტანეთის სინდიკატის მიერ ნაოსნობა „უაიტ-სტარ-ლეინის“ შესახებ.

მოლაპარაკება შესწყდა საერთო გაფიცვის გამოცხადებისა და სანახშირო მრეწველობის მუშათა გაფიცვის გაგრძელების გამო.

„უაიტ-სტერ-ლეინი“ ბრიტანეთის კომპანიის ხელში გადადის ყველა მისი გემებით, რომლებიც აღრიცხულია ინგლისში და ბრიტანეთის ბაირაღს ატარებენ; მაგრამ ფინანსიური კონტროლი კვლავ სავაჭრო ნაოსნობის საერთაშორისო კომპანიის ხელში იქნება.

შემთანხმებლები უარს ამბობენ დახმარებაზე

ბერლინი, 16 ივლისი. ამსტერდამში გაიხსნა ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშათა ყრილობა. ჰოლანდიის პროფკავშირების რეფორმისტული გაერთიანების წარმომადგენელმა **დე - ლაბელამ განაცხადა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვას ჰოლანდიაში მხარს ვერ დაუჭერენ.** ინგლისის სამთამადნო მუშები საქმეზე დარწმუნდებიან, რომ საერთაშორისო დახმარების იმედი მხოლოდ მაშინ უნდა იქონიონ, თუ წინასწარ იქნება მიღებული ზომები გაფიცვის ორგანიზაციისათვის.

ფიმმენმა ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის სახელით განაცხადა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი თანაგრძნობის ღონისძიებების ცხოვრებაში უნდა გატარდეს შეძლებისდაგვარად.

ბოლდუინი სანახშირო კონფლიქტის შესახებ

ლონდონი, 16 ივლისი. უოლსენდში დამატებითი საპარლამენტო არჩევნების გამო ბოლდუინმა წერილით მიმართა კონსერვატიულ კანდიდატს, რომელშიაც იგი დაწვრილებით ეხება სანახშირო მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას.

ბოლდუინი კიცხავს სამთამადნო მუშების ფედერაციას, რომ იგი განაგრძობს უარის პოლიტიკას დათმობების საკითხში.

„მე გულწრფელად ვიმედოვნებ და მწამს, სწერს ბოლდუინი, რომ თუ ორთავე მხარე კეთილსურვილებსა და ინტერესს გამოიჩენს, სანახშირო მრეწველობის კრიზისს სულ მოკლე ხანში მოეღება ბოლო“.

ბოლდუინის უკანასკნელ ფრაზას პოლიტიკურ წრეებში სთვლიან იმის დამამტკიცებლად, რომ სანახშირო მრეწველობის კონფლიქტი უკანასკნელ ფაზისში შედის.

საბჭოთა პრესა

მიზანშეწონილი ნაბიჯი

ჩვენს წინაშე დგას მთელი სიგრძე-სიგანითაა წამოჭრილი მმართველობის რაციონალიზაციის ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, გარდა მტკიცე ორგანიზაციულ ფორმების გამომუშავებისა და აპარატის პატიოსანი და მომზადებულ კადრის შექმნისა, მცირე მნიშვნელობა არა აქვს უკანასკნელის მიზანშეწონილ გამოყენებას. ჩვენ ამას წინედ შევეხეთ მუშაკების ხშირ ცვალებადობის ფაქტს, რაც მეტად აფერხებს დაწესებულება-წარმოებათა ნორმალურ მუშაობას. აგრეთვე, ყურადღება უნდა მიექცეს თვითეულ თანამშრომლის ჯეროვან შეფასებას. ამაზე „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“ შემდეგსა სწერს:

„თვითეულ საწარმოს და დაწესებულებების მიღწევები მთელი ამა თუ იმ კოლექტივის მუშაობის შედეგია. ამიტომ საჭიროა, რომ ამ კოლექტივის ხელმძღვანელები ყურადღებით ეკიდებოდნენ ყოველ ცალკე მუშაკის მუშაობას. უნდა სჩანდეს თვითეულ, თუნდაც მეორეხარისხოვან მუშაკის შრომის ნაყოფი. დღემდე კი ყოველი დაწესებულება გარედ წარმოდგენილი იყო მხოლოდ თავისი ხელმძღვანელის სახით, რომელიც ასეულ ქაღალდს აწერდა ხელს აპარატის ცალკე ნაწილების ხელმძღვანელთა მოხსენების მიხედვით; ხოლო ის მუშაკი, რომელიც ნამდვილად ასრულებდა ამა თუ იმ სამუშაოს, სრულებით ჩრდილში რჩებოდა. ბრძანება № 788 სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიმართ ამ მხრივ გადაჭრით უარჰყოფს ტრადიციებს, რომელნიც დღემდე გამეფებული იყვნენ; ამ ბრძანებით ყველა მოხსენებაზე ხელი უნდა ჰქონდეთ მოწერილი არა მარტო ხელმძღვანელებს, არამედ იმ პასუხისმგებელ ამსრულებლებსაც, რომელთაც უშუალოდ შეასრულეს სამუშაო. ბრძანება № 788 უშუალოდ ეხება მხოლოდ სახ. მეურ. უმ. საბჭოს ცენტრალურ აპარატს. ჩვენ გვგონია, რომ ის სამეურნეო ორგანიზაციები, რომელნიც ამას თავის აპარატში გაატარებენ, მხოლოდ მოიგებენ.

მმართველობის მხოლოდ ასეთი სისტემის დროს იქნება უზრუნველყოფილი უფრო ნიჭიერ მუშაკების დაწინაურების შესაძლებლობა და შეიქმნება გარანტიები ბიუროკრატიზმისა და „მახლობელ კაცზე მზრუნველობის“ ცდის წინააღმდეგ, რასაც აქა-იქ აქვს ადგილი. ყველაფერი ეს უდავოა. ამ წესის გატარება უეჭველად შეუწყობს ხელს მუშაკების წაქეზებას, მათი მონდომების და შრომის უნარის გაძლიერებას, უფრო ნიჭიერ და მომზადებულ პირებისათვის მეტი სამოქმედო ასპარეზის გაშლას, საერთოდ მმართველობის გაჯანსაღება-რაციონალიზაციას. როცა ჩვენ მიზნად ვისახავთ სულ უმნიშვნელო მატერიალური ღირებულების აღნუსხვას და რიგიანად მოვლას, გვმართებს ცოცხალ მუშაკს განსაკუთრებული მზრუნველობით მოვეპყრათ. ინტელექტუალურ კაპიტალის რაციონალური გამოყენების საკითხი უნდა დაისვას ფართოდ და მიზანშეწონილად გადაიჭრას“.

ბულგარეთი და რუმინეთი

კამპანია ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 16 ივლისი. **სამხრეთ - სლავიელი ჟურნალისტის პოპოვიჩის მოკვლის გამო მონასტირში, სამხრეთ - სლავიის მთავრობის პრესა განაგრძობს კამპანიას ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვს მაკედონიის კომიტეტების დაშლას.**

სამხრეთ - სლავიის და ბულგარეთის ურთიერთობის გამწვავებას ახასიათებს ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულების ჩაშლა.

ჯარებს უყრიან თავს

ვენა, 16 ივლისი. რუმინეთის პრესის ცნობით, თითქოს ბულგარელი მეამბოხენი თავს დაესხნენ რუმინეთის სანაპირო რაზმს დობრუჯის საზღვარზე. იუწყებიან, რომ ბულგარეთის მთავრობამ გააძლიერა საზღვრების დაცვა. რუმინეთმა ბულგარეთის საზღვრებზე [illegible] დიდძალ ჯარს.

საბჭოთა კავშირი და ბალტიის სახელმწიფოები

საბჭოთა კავშირის ნოტა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

ჰელსინგფორსი, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში **ლორენცმა** ფინეთის მთავრობის მემორანდუმის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ **საბჭოთა მთავრობა მზად არის დასდოს ხელშეკრულება გარანტიების შესახებ,** მოაწესრიგოს ალანდის საკითხი სპეციალური შეთანხმების გზით და ხელი მოაწეროს შეთანხმებას კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ორივე სპეციალური შეთანხმება შეტანილ უნდა იქნეს საგარანტიო ხელშეკრულებაში შემადგენელ ნაწილების სახით.

რეველის თათბირი

ბერლინი, 16 ივლისი. 14 ივლისს რეველში დამთავრდა ლატვიის, ესტონეთის და ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრების არაოფიციალური თათბირი, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი საგარანტიო ხელშეკრულებისა ბალტიის განაპირა სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირის შორის.

არსებული ხმების თანახმად, თათბირს დაესწრო აგრეთვე პოლონეთის წარმომადგენელი, რომლის დაჟინებითი მოთხოვნით თათბირმა გადასწყვიტა შეწყვეტილ იქნეს მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირთან, სანამ არ გადაწყდება საკითხი ბალტიის განაპირა სახელმწიფოების შეთანხმების შესახებ პოლონეთთან, უკანასკნელის წინადადებების საფუძველზე.

ფინანსიური კრიზისი ბელგიაში

ბელგიის მუშების უკმაყოფილება იზრდება

პარიზი, 16 ივლისი. ბელგიის პროფკავშირთა (რეფორმისტულ) ეროვნული გაერთიანების კომიტეტმა აღიარა, რომ ფრანკის დაცემის და სიძვირის ზრდის წინააღმდეგ მიღებული ზომები მიზანშეუწონელი გამოდგა. მთავრობამ ბრძოლა უნდა დაიწყოს სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომლებიც ფრანკის კურსის დაცემას უწყობენ ხელს.

უკმაყოფილება მუშათა შორის იზრდება. ეროვნული კომიტეტი მუშათა მოთხოვნილებების შესახებ შეატყობინებს პრემიერს.

ბრიუსელის მლითონეთა კავშირის საბჭომ დაადგინა, **მოსთხოვოს მინისტრ-სოციალისტებს მთავრობიდან გამოსვლა.**

კანონპროექტი რკინის გზების შესახებ

ბერლინი, 17 ივლისი. ბელგიის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ხელს უწყობს რკინის გზის ეროვნული კამპანიის შექმნას.

ბელგიის ფინანსების გაჯანსაღებისათვის

პარიზი, 16 ივლისი. ბელგიის სოციალისტური პარტიის საბჭომ 38 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 10 ხმისა დაადასტურა მეფისათვის განსაკუთრებული რწმუნებულებათა გადაცემა 6 თვის ვადით. ამ რწმუნებულებათა გადაცემას მიზნად აქვს დასახული ბელგიის ფინანსების გაჯანსაღება.

ანტიგერმანული დემონსტრაციები ბელგიაში

ბერლინი, 17 ივლისი. ამას წინედ გერმანელების წინააღმდეგ მომხდარი დემონსტრაციები ქ. ბალკენბერგსა და ბელგიის სხვა ქალაქებში იმ დემონსტრაციების მაგვარია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში უცხოელების მიმართ და გამოწვეულია ბელგიის ინფლიაციით.

ბრძოლა ჩინეთში

თავზე მოხვეულ ხელშეკრულებათა გაუქმებისთვის

პეკინი, 16 ივლისი. გაზეთ „პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმს“-ში (რედაქციონური ინგლისური ორგანო, რომელიც გამოდის ტიან-ძინში) მოთავსებულ წერილმა სათაურით „უკან ხელშეკრულებებისაკენ“ გამოიწვია პასუხი გაზეთ „ფარისტერნ-ტაიმს“-ში (გამოდის პეკინში ინგლისურ და ჩინურ ენაზე), რომელიც სწერს: **ის საზარალო ხელშეკრულებები, რომელიც თავზე მოახვიეს ჩინეთს მანჯურიის დინასტიის დროს, უნდა გაუქმებულ იქნეს,** რომ დაკმაყოფილდეს ჩინეთის ეხლანდელი საჭიროებანი და მისწრაფებანი. მსოფლიო ომის შემდეგ ჩინეთს დაადვეს 70 მილ. დოლარი კონტრიბუცია, რომლის გადახდაზე ჩინეთმა უარი სთქვა, რადგან მას არ ჰქონდა ამის შეძლება. **წერილი შემდეგ მიუთითებს საბჭოთა კავშირზე, რომელმაც უარი სთქვა მეფის მთავრობის მიერ აღებულ უცხოეთის ვალების გასტუმრებაზე,** და აღნიშნავს, რომ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები უშედეგოთ ცდილობდენ ჯერ სამხედრო ექსპედიციის, შემდეგ კი ეკონომიური ბლოკადის საშუალებით აეძულებიათ საბჭოთა კავშირი შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. **მაგრამ მათ ვერაფერი მოუხერხეს რუსეთს, რომელიც საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები, სწერს გაზეთი.**

ეხლა ყველა ის სახელმწიფოები, რომელთაც საბჭოთა მთავრობამ არ გადაუხადა მეფის მთავრობის მიერ აღებული ვალები, ცდილობენ განამტკიცონ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. სანამ ძალაში დარჩება ჩინეთისათვის საზარალო ხელშეკრულებები, ჩინეთს არ ექნება საშუალება შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ძალიანაც რომ სურდეს.

ამ ახლო წარსულში დადებული ხელშეკრულებები ჩინეთის უბედურების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. დასასრულ წერილში ნათქვამია: ყველა, ვინც ემხრობა პრინციპს „უკან ხელშეკრულებებისაკენ“, ან არ იცნობს ახალ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ჩინეთში, ან შეგნებულად სწამლავს მკითხველებს. ეს მოძველებული პრინციპი ჩინეთში გამოიწვევს მტრულ გრძნობებს ინგლისისადმი და შეუძლებლად გახდის ამ ორი ქვეყნის შერიგებას.

გემ „კვანსის“ გაძარცვა

ბერლინი, 17 ივლისი. ჩინეთის გემი „კვანსი“, რომელიც შანხაიდან კანტონში მიდიოდა, გაძარცვეს ჩინეთის მეკობრეებმა. უკანასკნელნი კაპიტანს რევოლვერით ემუქრებოდენ და აიძულეს გემი საიდუმლო ნავთსადგურში შესულიყო, სადაც გაძარცვეს. წაღებული ქონების რაოდენობა 20.000 გირ. სტერლინგს უდრის.

ჩან-ძო-ლინი

პეკინი, 16 ივლისი. უ-პეი-ფუს წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ ჩჟან-ძო-ლინი ტიან-ძინიდან გაემგზავრა მუკდენში.

შვიდ პროვინციის სამხედრო კავშირი

პეკინი, 16 ივლისი. ჩინეთის პრესა იუწყება სუნ-ჩუან-ფანის ძალაუფლების ქვეშ მყოფ შვიდი პროვინციის სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ.

კავშირს საფუძვლად უდევს შემდეგი პირობები: პროვინციები ძიან-სუ, ანხოი, ძიან-სი, ფუ-ძიან, ჩჟე-ძიან ხუბეი და ხუ-ნან ქმნიან საკავშირო არმიას, რომლის მთავარსარდალი იქნება სუნ-ჩუნ-ფანი: თვითეული პროვინცია იძლევა ჯარების და საშუალებების საკმაო რაოდენობას მისი სამხედრო ძალების მიხედვით; სავალდებულოა ურთიერთ დახმარება გარედან თავდასხმის შემთხვევაში.

„კონსტიტუციის“ „შემუშავება“

პოლონეთის სეიმში დაიწყო კონსტიტუციის შეცვლის პროექტის განხილვა.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ახალი საქართველო"

პარიზიდან მიღებული ცნობით,—ამ დღეებში განახლდება გრ. ვეშაპელის მიერ დაარსებული გაზეთ „ახალი საქართველოს" გამოცემა. გაზეთს ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია.

პანგალოსი „საქმიანი" მთავრობის მომხრეა

ათინა, 16 ივლისი. საბერძნეთის პრეზიდენტ პანგალოსმა ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მან გადაწყვიტა შეადგინოს საქმიანი მთავრობა, რომელსაც მოითხოვდენ პარტიების ბელადები. ასეთმა მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები. მაგრამ პარტიის ბელადები, პანგალოსის სიტყვით, განზრახ აჭიანურებენ საკითხის გადაჭრას, და აყენებენ სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს.

წინადადებას ვაძლევ პარტიებს გარკვეული აზრი გამოსთქვან ამის შესახებ, ხოლო თუ ისინი არ დაანებებენ თავს საკითხის გაჭიანურებას, იძულებული ვიქნები მივიღო სხვა ზომები, რადგან საჭიროა, რომ ხალხმა გაიგოს ვინ უშლის ხელს ნორმალური მდგომარეობის აღდგენას.

◆

სესხი ინგლისის კოლონიებისათვის

ლონდონი, 17 ივლისი. თემთა პალატამ უნდა მიიღოს საფინანსო რეზოლიუცია, რომ შესაძლებელი გახდეს კანონ-პროექტის შეტანა, რომელიც რწმუნებას მისცემს ხაზინას, რომ მან უზრუნველჰყოს სესხის ძირითადი კაპიტალი და პროცენტები; ეს სესხი გამოცემულ უნდა იქმნას ერთის მხრით პალესტინის მთავრობის მიერ და მეორეს მხრით კენიის, უგანდის, ჩრდილოეთი როდეზიის, ნიანცა-ლონდის და ტანგანაიკის მთავრობის მიერ.

გამოქვეყნებულია მემორანდუმი, რომელიც ამ სესხის მიზნებს განმარტავს. ირკვევა, რომ როცა პალესტინას ოკუპაცია მოახდინეს საკავშირო ძალებმა, ეს ქვეყანა აძულებული იყო. სამხედრო გზების გარდა, ფაქტიურად სხვა გზები არ არსებობდენ. სატელეგრაფო სისტემა მიტოვებული იყო. რკინისგზები, თუმცა არსებობდენ, მაგრამ სამხედრო საჭიროებისათვის იყო გამოყენებული.

მთავრობის შენობები ძლიერ დაზიანდენ ბრძოლის დროს. სანავთსადგურო დაწესებულებანი ფაქტიურად არ არსებობდენ.

აუცილებლად იქმნა მიჩნეული აღმშენებლობისა და რემონტის ფართო გეგმები, რომ მთავრობას შესძლებოდა თავის ფუნქციების აღსრულება და ქვესამანდატო ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო და საკომერციო ცხოვრების აღორძინება.

რაც შეეხება ბრიტანეთის სამფლობელოებს აღმოსავლეთ აფრიკაში, აქ განზრახული სესხის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსპორტის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

აღმოსავლეთ-აფრიკის კომისიის მოხსენება აღნიშნავს, რომ ადგილობრივ და არა ადგილობრივ პროდუქციის განვითარება დამოკიდებულია ამ ტრანსპორტების გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით რკინისგზის ქსელის გაფართოებაზე.

ის ადგილები, რომელთა კეთილმოწყობა არის განზრახული, გამოსადეგია ბამბის კულტისათვის, და ადგილობრივი მცხოვრებნი სწორედ ამ კულტურას მისდევენ. ამ ადგილებში მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, ყავა, სიმინდი და ქერი საქონლისათვის. გამოცდილებამ დაამტკიცა ყველა ჩამოთვლილ ნედლეულისა და საკვები პროდუქციის გასაღების შესაძლებლობა მანუფაქტურაზე გადაცვლით. მოსახლეობა მიესალმება ასეთი ვაჭრობის განვითარებას.

◆

ლანსბერი ლენინგრადში გამოემგზავრა

ლონდონი, 16 ივლისი. 15 ივლისს ლენსბერი გემით გაემგზავრა ლენინგრადში.

◆

ბრძოლა ინდოელების უფლებისათვის

ბერლინი, 17 ივლისი. ლონდონიდან მიღებული ცნობის მიხედვით, ინდოეთის მთავრობამ ოფიციალურად მისცა წინადადება სამხრეთ-აფრიკის მთავრობას, გაგზავნოს ინდოეთში დელეგაცია იმ მიზნით, რომ გაიმართოს მოლაპარაკება ეგრედწოდებულ „აზიის საკითხის" შესახებ, ე. ი. იმ ინდოელების უფლების შესახებ, რომლებიც სამხრეთ-აფრიკაში სცხოვრობენ. ინდოეთის მთავრობის წინადადება მიღებულია.

ინდოეთის მთავრობის მიზანია, ხელი შეუშალოს კანონის გამოცემას სამხრეთ-აფრიკის ინდოელების წინააღმდეგ და ამით თავიდან აიცილოს პოლიტიკური მღელვარების მიზეზები.

◆

სხვადასხვა

— **„ეროვნული თავდაცვისათვის".** ავსტრიის სამხედრო ინსპექტორი თავის წლიურ მოხსენებაში მოითხოვდა დამატებით შემოსავალს; მან განაცხადა, რომ წინანდელი თანხა არაა საკმაო იმ ძალების შენახვად, რომლებიც საჭიროა ეროვნული თავდაცვისათვის.

— **ლათინური პრესის კონგრესი.** ლიეჟში ლათინურ პრესის საერთაშორისო კონგრესმა მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია, მათ რიცხვში რეზოლიუცია ლათინური უნივერსიტეტის შესახებ, სადაც შესწავლილი იქნება ლათინთა ქვეყნების ისტორია.

— **„მდგომარეობა აღდგენილია".** კალკუტიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობის მიხედვით, აღდგენილია წეს-რიგი ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც გუშინ არეულობა იყო. 126 დაჭრილიდან 14 კაცი მოკვდა. ქალაქს სდარაჯობს პოლიციის შეიარაღებული რაზმები.

— **აზიური კონფერენცია.** პრეტორიიდან მიღებული ცნობით. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ მიიღო ინდოეთის მთავრობის წინადადება ინდოეთში აზიური კონფერენციის მოწვევის შესახებ.

— **ჰაეროპლანის დამსხვრევა.** კრანუელში, ლინკოლშაირში (ინგლისი) დაიმსხვრა აეროპლანი. პილოტი გარდაიცვალა.

— **სილის გარტყმისათვის** შვეიცარიის მთავრობის დადგენილებით, უნგრელი ჟურნალისტი იუსტი, ჟენევაში, რომელმაც სახეში გაარტყა ბეითლენს სასამართლოშია მიცემული.

— **მელონის გამგზავრება.** ამერიკის სახელმწიფო მოლარე მელონი ევროპაში გამგზავრა.

მიუხედავად იმ განცხადებათა, რომ მელონი მეგზავრება რომში თავის ახლად გათხოვილ ქალის სანახავად, ევროპის ფინანსიური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მის მოგზაურობას.

— **მიწისძვრა.** როგორც ვიქტორიიდან (კუნძულ ვანკუვერის მთავარი ქალაქი, ინგლისის კოლონია) იტყობინებიან, იქ ადგილი ჰქონია ნიადაგის ძლიერ რყევას, რომელიც მთელ საათს გაგრძელდა. მიწის-ძვრის ცენტრი უნდა იყოს 1110 ვერსის დაშორებით, ალიასკის მახლობლად.

— **ნადიმი ღვინით.** ლონდონში ნადიმი გამართეს საუზმე შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებს, რომელნიც ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რომ განიხილონ ინგლისის მთავრობასთან ერთად ამერიკაში ალკოჰოლის აკრძალავი კანონის გატარების მეთოდები. საუზმეზე სვამდენ ღვინოს.

— **მეფის სოციალისტები.** ბელგიის სოციალისტურ პარტიის საბჭომ ხმის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის რწმუნებების გადაცემა მეფისათვის.

ბრიუსელის მელითონეთა კავშირმა დაადგინა მოითხოვოს სოციალისტ-მინისტრების მთავრობიდან გამოსვლა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი კოოპერაცია ეხმარება სამთამადნო მუშებს

მოსკოვი, 16 ივლისი. ქვედა-საფეხურის სამომხმარებლო კოოპერაციამ, ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოდ 13 მაისიდან 25 ივლისამდე შეაგროვა 60.000 მანეთამდე. ეს თანხა შეგროვილია საკუთარი ინიციატივით ქვედა-საფეხურის კოოპერატივების მიერ, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურენ ინგლისის სამთამადნო მუშების მოწოდებას.

ექსპედიცია ჩრდილოეთში

მოსკოვი, 17 ივლისი. მიღებულია შემდეგი რადიო: „დოის „დიურმა" გადაჭრა პოლიარული წრე. 12—13 ივლისს ექსპედიციამ გადაიტანა ზიუდვესტის ქარიშხალი. ყველაფერი რიგზეა. გიძღვნით სალამს. კაპიტანი ლუხმანოვი".

საწარმოო თათბირების გასაცხოველებლად

მოსკოვი, 17 ივლისი. სრ. საკავ. პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ტომსკიმ** და ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ძერჟინსკიმ დაუგზავნა ყველა პროფორგანიზაციებს და სამეურნეო ორგანოებს ცირკულიარული წერილი საწარმოო თათბირების მუშაობის გასაძლიერებლად მისაღებ ღონისძიებების შესახებ.

წერილში აღნიშნულია: „წარმოების შიგნით საწარმოო თათბირების მუშაობის ხელმძღვანელობა წარმოადგენს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის, ხოლო წარმოების გარეთ—სათანადო საკავშირო ორგანიზაციის საქმეს. სამეურნეო ორგანოები მოვალე არიან ყოველ მხრივ დაეხმარონ ამ მუშაობაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს, მაგრამ არასოდეს არ უნდა დააკისრონ საწარმოო თათბირებს ადმინისტრატიული ფუნქციები და არ უნდა ჩააბან ისინი ადმინისტრატიულ მუშაობაში.

თათბირების მუშაობა მხოლოდ მაშინ გამოიღებს ნაყოფს, თუ მასში ჩაბმული იქნება მუშათა ფართო მასსები და ადმინისტრატიულ ტეხნიკური პერსონალი.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუშების მიერ საწარმოო თათბირებზე და აგრეთვე ადმინისტრაციის სახელზე შეტანილ წინადადების განხილვას.

ასეთივე ყურადღებით უნდა იქნეს მოსმენილი ბეჭდვითი გაზეთების მუშკორების და კედლის გაზეთების შენიშვნები, რომელთაც აუცილებლად საჭიროებისამებრ პასუხი უნდა გაეცეთ.

საჭიროა პრემიების შემოღება მუშათა საქმიანი წინადადებისათვის.

სამეცნიერო ორგანოებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ მუშებს და ტეხნიკურ პერსონალს მათი პროექტების განხორციელებაში.

ქარხნების გამგეობებმა უნდა შემოიღონ შემოტანილ წინადადებების აღრიცხვა, მათი მიღების, ან არ მიღების აღნიშვნით.

წერილის ბოლოში ნათქვამია: იმ ამოცანების სიძნელე, რომელიც ამჟამად მრეწველობის წინაშე სდგას, აუცილებელს ხდის საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ხარჯები აღმშენებლობისათვის

ბაქო, 17 ივლისი. ბაქოს საბჭომ კომუნალურ აღმშენებლობისათვის გადასდო—2.450.000 მან., სკოლების, საავადმყოფოების და ბინების ასაგებად—1.350.000 მანეთი.

მიწის უკანონოდ ყიდვა-გაყიდვა

ბაქო, 17 ივლისი. 7-დან 10 ივლისამდე სოფ. ელისავეტპოლში (ყაზახის მაზრა) სასამართლოს გამსვლელმა სესიამ გაარჩია მიწის უკანონოდ ყიდვა-გაყიდვის საქმე.

პროცესი ღია ცის ქვეშ სწარმოებდა, აურაცხელი ხალხის თანადასწრებით. გაარჩეულია 17 საქმე. ორი დღის განმავლობაში საქმის გარჩევის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალით ყველა უკანონო ხელშეკრულებები მიწის ყიდვა-გაყიდვისა და იჯარით გაცემის შესახებ გაუქმებულად არიან ცნობილი; ის პირები კი, რომლებსაც ბრალი ედებათ ამ უკანონო ხელშეკრულებათა დადებაში, მიეცემიან პასუხისგებაში აზერბეიჯანის რესპუბლიკის მიწის კოდექსის 27 მუხლის ძალით. იმ პირებს, რომლებსაც მიწა ჩამორთვათ, უფლება ეძლევა, შეაგროვონ ამ წლის მოსავალი.

საკოოპერაციო ფასების გაერთიანება

ბაქო, 17 ივლისი. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო განყოფილებას, რომ ბაქოს საბჭოსთან ერთად გადასინჯოს ყველა საქონლის პრეისკურანტები იმ მიზნით, რომ ორთავე კოოპერატივში ერთგვარი ფასები იქნას დაწესებული.

რადიო-სადგური

ბაქო, 17 ივლისი. შორს-მაუწყებლი სადგურის მოსაწყობად ბაქოს საბჭომ გადასდო 25.000 მანეთი.

ფაბრიკის საძირკვლის ჩაყრა

ბაქო, 17 ივლისი. ბაილოვის გამასწორებელ სახლთან საძირკველი ჩაეყარა ფაბრიკის კორპუსს. ამ კორპუსში გადატანილ იქნება ყველა სახელოსნოები, რომლებიც ბაქოს გამსახლთან იმყოფება. კორპუსთან მოეწყობა სახარაზო, საკარტონაჟო, საავეჯო და სხვა განყოფილებანი. კორპუსის სივრცე 600 კვად. საჟენი იქნება. მისი აშენება უახლოეს ექვსი თვის განმავლობაში დამთავრდება.

კორპუსი ნავარაუდევია 200 კაცისათვის. კორპუსში იმუშავებენ მხოლოდ პატიმრები და სასჯელის მოხდის შემდეგ მათ შესწავლილი ექნებათ ესა თუ ის ხელობა.

სახ. კომ. საბჭომ და მთელმა რიგმა სხვა დაწესებულებებმა ამ კორპუსის ასაგებად გაიღეს საჭირო თანხა.

დასასვენებელ სახლების გამოკვლევა

ბაქო, 17 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა დაამთავრა აზერბეიჯანის რესპუბლიკის დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმების გამოკვლევა. ინსპექციამ გამოკვლევის დროს გამოარკვია, რომ დასასვენებელი სახლები რიგიანად ვერაა მოწყობილი და არ არსებობს დისციპლინა დამსვენებელთა შორის.

შენიშნულ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად ინსპექციამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებათა.

გზატკეცილი

ბაქო, 17 ივლისი. დამთავრდა გზატკეცილის გაყვანა შიროვო-ბიბი-ეიბატი, რომლის სიგრძე 1.995 კვ. საჟენს უდრის. გზის გაყვანა დაჯდა 16.842 მანეთი.

სომხეთი

ტრესტი „არარატი"

ერევანი, 17 ივლისი. ტრესტმა „არარატ"-მა 1926 წლის სამეურნეო წლის პირველ ნახევარში დაამზადა 1,512,700 გრადუსი კონიაკი, 2,970,000 გრადუსი სპირტი, 92,000 ვედრო ღვინო, რომელთა საერთო ღირებულება 1,228,857 მანეთს უდრის. ქარხანაში მუშაობდა 120 კაცი.

წვიმები

დელიჟანი, 17 ივლისი. 2 ივლისიდან მთელს მაზრაში განუწყვეტლად წვიმები მოდიოდა. მუშაობა შესწყდა; მოსავალი აუკრეფელი რჩება.

მადნის ამოღება

ერევანი, 17 ივლისი. ალავერდის სპილენძის სადნობმა ქარხანამ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ამოიღო 47,077 ფუთი მადანი; საშუალოთ ქარხანაში მუშაობდა 950 კაცი.

ვენერიული დისპანსერი

კარაკლისი, 17 ივლისი. ამამლოის უბ. სოფ. პარანში, გაიხსნება ვენერიული დისპანსერი, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენს ათაშანგთან ბრძოლა, რომელიც ძალიან გავრცელებულია ამ რაიონში.

დღის ცნობები

მელითონეთა კავშირის დახმარება ინგლისის მუშებს

მოსკოვი, 17 ივლისი. მელითონეთა კავშირის ცეკამ აცნობა კუკს, რომ საბჭოთა კავ. მელითონეთა კავშირის ცენტრ. კომიტეტს შეაქვს მეორე შემოწირულება ბრიტანელ მუშების ბრძოლის ფონდში.

ახალი მსოფლიო რეკორდი ფრენოსნობაში

ომსკი, 17 ივლისი. ფრანგმა მფრინავმა ჟირიემ ძირ დაუშვებლად 29 საათსა და 20 წუთში გაფრინდა 4.800 კილომეტრი. ამით ჟირიემ მიაღწია ახალ მსოფლიო რეკორდს შორეულ ფრენოსნობაში. ურალს გადაღმა თვითმფრინავი კოკისპირულ წვიმების ზოლში მოხვდა და ძლიერი ქარის გამო გადაუხვია სამხრეთით, ჩელიაბინსკისაკენ.

მაროკოს სულთანი

პარიზი, 17 ივლისი. მაროკოს სულთანი, რომელიც მეჩეთის კურთხევას დაესწრო, ხვალ წავა პარიზიდან.

პრუსიის ნაწილის ზემო სილეზიის ნაწილზე გადაცვლის საკითხი

ბერლინი, 17 ივლისი. როცა აღმოსავლეთ პრუსიის დელეგაცია ეწვია საკავშირო საბჭოს. **ნოზბისი** თავის სიტყვაში ხაზგასმით უარყოფდა პოლონეთის წყაროების მიერ გავრცელებული ხმებს, რომ თითქოს მისი ჩამოსვლის მიზანი იყო პოლონეთის მთავრობასთან წინასწარ მოლაპარაკებათა წარმოება აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილის ზემო-სილეზიის ნაწილზე გაცვლის შესახებ.

ფინანსიური გასაჭირი

ბერლინი, 17 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით, საფრანგეთის ფრანკის სწრაფი დაცემა სერიოზულ გავლენას იქონიებს სახადებისა და რკინის გზების შემოსავლისა, მაინც არის 21 მილიონი ფრანკის დეფიციტი.

გაფიცვის დამთავრების შესაძლებლობის შესახებ

ლონდონი, 17 ივლისი. სამთამადნო მუშები თითქოს თანახმანი ხდებიან, მიიღონ ინგლისის ეკლესიის დელეგატების შუამავლობა.

ბოლდუინმა გამოსთქვა მთავრობის სურვილი შეთანხმების შესახებ. კუკმა განაცხადა, რომ სამთამადნო მუშები ჯამაგირის შემცირებაზე უფრო ადვილად დასთანხმდებიან, ვიდრე სამუშაო საათების გადიდებაზე.

ფასების შემცირება

მოსკოვი, 17 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით, ივნისში ფასების მცირეოდენი შემცირება ემჩნევა. საბითუმო ბაზარზე ფასების დაკლება უმთავრესად სახოფლო სამეურნეო საქონლის ხარჯზე ხდება. სახელმწიფო ვაჭრობაში ფასები დაეცა 2½%-ით, კოოპერაციაში 3,4%-ით და კერძო ვაჭრობაში—2,9%-ით. საერთო—სავაჭრო ბიუჯეტის ინდექსი 2,8%-ით შემცირდა.

გერმანიის ქვეშევრდომები ამერიკაში

ბერლინი, 17 ივლისი. სენატორმა ბორამ უცხოელთა ქონების დაცვის გამგეს მოსთხოვა, რომ მან გამოაქვეყნოს დიდ-ბრიტანეთთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების შინაარსი, რომელშიაც აღნიშნული არის ამერიკის ვალდებულებანი გერმანიის ქვეშევრდომთა იმ ქონების მიმართ, რომელიც ჩამორთმეული იქნა ამერიკის ომში მონაწილეობის მიღებამდე. ეს კონფისკაცია დადასტურებულ იქმნა შეერთებულ შტატების მიერ.

ერთა ლიგა

ბერლინი, 17 ივლისი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის იურისტებმა დაამთავრეს თავიანთი გამოკვლევა იმის შესახებ, რომ შეუძლია თუ არა ესპანეთისა და ბრაზილიის თვალსაზრისს გავლენა იქონიოს გერმანიის ერთა ლიგაში დაშვების საკითხზე.

სამივე იურისტის გამოკვლევის შედეგი ერთი და იგივეა და მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის ერთა ლიგაში მიღების საკითხის გარშემო ერთსულოვნება იქნება მიღწეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს ყველა წევრები, რომლებიც ცალკე თათბირებზე იღებენ მონაწილეობას გაერთიანდებიან.

ამგვარად „დეილი ტელეგრაფი" ფიქრობს, რომ მომავალ სექტემბრის სესიის იურიდიული დაბრკოლებები თავიდან აცილებულია.

ავსტრალიის თავ-დაცვა

ბერლინი, 17 ივლისი. ავსტრალიის არმიის ინსპექტორმა განაცხადა, რომ ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის მეტად მცირეა და არა საკმარისი ამისათვის, რომ მზად ვიყოთ ჯა- რომ მომავალ სექტემბრის სესიის იურიდიულ- ვის.

შეთქმულების ლიკვიდაცია ოსმალეთში

ანგორა, 16 ივლისი. სისრულეში იქნა მოყვანილი განაჩენი, რომელიც სასამართლომ გამოიტანა ქემალ-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილეებზე.

მფრინავი შებანოვი

ბერლინი, 16 ივლისი. მფრინავი შებანოვი დანციგში მიფრინდა.

პრიმო-დე-რივერა

ბერლინი, 17 ივლისი. პრიმო-დე-რივერა პარიზიდან მადრიდში გაემგზავრა. ახალი დემონსტრაციები არ მომხდარა, ვინაიდან მისი გამგზავრების საათს საიდუმლოდ ინახავდენ.

თამბაქოს მოსავალი

ბათომი, 17 ივლისი. აჭარისტანში თამბაქოს პლანტაციების სივრცე მიმდინარე წელში უდრის 400 დესეტინას. მოსავალს კარგი პირი უჩანს და მოსალოდნელია 20.000 ფუთ თამბაქოს მიღება.

რა ხდება უცხოეთში

როგორ ბატონობენ ინგლისელები აფრიკაში

უკანასკნელ ხანებში ინგლისის პრესაში დაიბეჭდა მთელი რიგი საყურადღებო ცნობები, რომლებიც ნათელს ფენენ ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას ინგლისის კოლონიებში აფრიკაში.

სამხრეთ-აფრიკის კოლონიაში — სამხრეთ-როდეზიაში ამჟამად განხილვის პროცესშია საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შესახებ მიწაზე. მანამდი, სანამ ამ კუთხეს მხოლოდ ინგლისელები დაიპყრობდენ, მიწა, სასაკვირველია, ადგილობრივი მოსახლეობის— ზანგების ხელში იყო. ინგლისის სავაჭრო კომპანიამ—„ინგლისის სამხრეთ-აფრიკის კომპანიამ"—ჩაიგდო რა ხელში ეს მიწები ინგლისის შეიარაღებული ძალების დახმარებით, ნაწილობრივ სრულიად ვარეკა დასახლებულ ადგილებიდან მკვიდრი მოსახლეობა, მეორე ნაწილს კი მძიმე ბეგარა დააკისრა წინათ მათი კუთვნილი მიწებით სარგებლობისათვის.

ინგლისის კოლონიების სამინისტრო განზრახ არ ამჩნევდა ამ აშკარა ყაჩაღობას მანამდი, სანამ 1898 წ. სასოწარკვეთილებამდი მიყვანილმა ზანგებმა სისხლისმღვრელი აჯანყება არ მოაწყვეს. 1898 წ. ინგლისის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ზანგებს უფლება ეძლეოდათ შეეძინათ მიწები (რომლებიც მათ წაართვეს) და ევალებოდა სამხრეთ-აფრიკის კომპანიას გამოეყო ზანგებისათვის მიწის საკმაო სივრცე. კანონი ქაღალდზე დარჩა. კომპანიას არც კი უფიქრია მიწების მიცემა ზანგებისათვის, რადგან მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო სპეკულიაცია მიწებით.

დაბოლოს, კოლონიების სამინისტრომ დანიშნა სპეციალური კომისია ზანგების მიწათმოწყობის საკითხის განსახილველად. მაგრამ წელიწადი გავიდა მანამდი, სანამ 1920 წ. ახალი დეკრეტით გამოყოფილი იქნა 33.750 კვ. მილი სივრცე მხოლოდ და მხოლოდ ზანგების დასასახლებლათ. ამავე დროს ინგლისის მთავრობამ უკანონოთ გამოაცხადა ყველა მიწების მითვისება სამხრეთ-აფრიკის კამპანიის მიერ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ეს მიწები იმ ზანგ-მოიჯარადრეებისათვის დაებრუნებია, რომლებიც მათ ამუშავებდენ, მთავრობამ ისინი ინგლისის სამეფო გვარეულობის კუთვნილებათ გამოაცხადა.

ვინაიდან ზანგებს შორის უკმაყოფილება იზრდებოდა, სამხრეთ-როდეზიის გუბერნატორმა ახალი კომისია დანიშნა მიწის საკითხის მოსაგვარებლათ. ამ კომისიის ანგარიში ამ რამდენიმე ხნის წინათ იქნა გამოქვეყნებული და დიდი ინტერესი გამოიწვია. ანგარიშიდან ნათლად სჩანს, რომ ინგლისელებს საბოლოოდ აქვთ გადაწყვეტილი დაადასტურონ ფაქტი ზანგების გაძარცვისა ევროპიელებისა და მიწით სპეკულიანტების სასარგებლოთ.

ამჟამად კოლონიაში მიწები ასეა განაწილებული: სულ მიწების სივრცე უდრის 150.000 კვ. მილს, აქედან 28.000 მილი უვარგისია სოფლის მეურნეობისათვის. დარჩენილი 122.000 კვ. მილიდან 43.500 კვ. მილი (ე. ი. 2/5) გადავიდა ევროპიელების ხელში, 33.750 კვ. მილი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გამოყოფილია ზანგებისათვის. მაგრამ ვინაიდან თეთრკანიანი მოსახლეობა კოლონიაში არ აღემატება 40.000 კაცს იმ დროს, როცა ზანგების რიცხვი უდრის 814.000, საშუალოდ თეთრ კანიანზე მოდის, ამჟამად, 29-ჯერ უფრო მეტი მიწა, ვიდრე ერთ შავკანიანზე.

თავისუფალი, ე. ი. ჯერ კიდევ იურიდიულათ გაუნაწილებელი მიწების სივრცე უდრის 38.560 კვ. მილს. მთავრობის კომისიამ შეიმუშავა ამ მიწების განაწილების საბოლოო პროექტი: 10.830 კვ. მილი გამოყოფილი იქნება ზანგებისათვის, 27.750 კვ. მილი კი—ევროპიელებისათვის.

თუ რატომ უნდა მიეცეს ევროპიელებს მიწების მეტი ნაწილი—ამის შესახებ კომისიის ანგარიში არაფერს ამბობს. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ სამხრეთ-როდეზიაში მიწით სპეკულიაციას ეწევიან ინგლისის არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ინგლისის მთავრობასთან.

ასეთია ის „ცივილიზაციისა" და „კულტურის" ნიმუშები, რომლებითაც ინგლისის იმპერიალიზმი „აბედნიერებს" „უკულტურო" რასებს.

განხეთქილება პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიაში

ახალი პარტიის შექმნამ „**პოლონეთის მემარცხენე სოციალისტური პარტიის**" სახელწოდებით დიდი აურზაური გამოიწვია პარტიის ზედაფენებში, რომლებიც კარგად გრძნობენ თუ რა საფრთხეს მოასწავებს მათთვის ახალი პარტიის არსებობა. პოლონეთის „სოციალისტური" პარტიის ორგანო „რაბოტნიკ" უარყოფდა და უარყოფს პარტიაში მომხდარ განხეთქილებას. „რაბოტნიკ" აცხადებს, რომ ის პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ახალი პარტიის დეკლარაციას, დიდი ხანია გამოვიდენ ან გამორიცხული იქნენ პარტიიდან. სასოწარკვეთილებამდი მისული „რაბოტნიკ" ცილისწამებასაც კი მიმართავს და აცხადებს გვარების დაუსახელებლად და ფაქტების დაუდასტურებლად, რომ ზოგიერთებმა იმ პირებიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ახალი პარტიის დეკლარაციას, გაფლანგეს პარტიული ფულები.

სინამდვილეში კი საქმე სულ სხვანაირად არის. ახალი პარტიის უმრავლესობას შეადგენენ პარტიის ხელმძღვანელობით უკმაყოფილო მუშები, რომლებიც პარტიის შიგნით „მათივე განცხადებით, დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდენ ტაქტიკის შესაცვლელად. დარწმუნდენ რა იმაში რომ პარტიის შიგნით არაფერი გაკეთდება, რადგან პარტიას სათავეში უდგანან მოღალატეები და გამცემლები, ისინი იძულებული შეიქნენ წასულიყვნენ პარტიიდან, რომლის რიგებში იბრძოდენ ათეულ წლების განმავლობაში.

სულ სხვანაირად აფასებენ პარტიაში მომხდარ განხეთქილებას პოლონეთის „სოციალისტური" პარტიის მოწინააღმდეგეები მარჯვნიდან და მარცხნიდან.

— მუშათა სახალხო პარტიის ორგანო „გლოს ცოდჯენნი" წერილში სათაურით „წითელი ღმერთების დაისი" სწერს:

„ეხლანდელი განხეთქილება პ. ს. პ. მოგვაგონებს განხეთქილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმის წინ, როცა შექმნილი იქნა პარტიის ფრაქცია. მაშინ ამბებმა დროს წრეგადასული ლიდერობის მიერ გაღვიძებულ რადიკალურ ელემენტებს პარტია აუცილებელი განხეთქილებისაკენ მიჰყავთ. პოლონეთის სოციალისტებმა აამოქრავეს მასა, ასწავლეს მას სისხლის ღვრა ბარიკადებზე და დემონსტრაციების დროს, გააბრუეს მასები განუხორციელებელი ლოზუნგებით—მათ დათესეს ქარი და ახლა მკიან გრიგალს. ახლა **სოციალისტებს ჰერ უშველის ჟერავითარი მახინაციები** — თუგინდ „რადიკალურ" დეპუტატის ზარემბას გაგზავნა ტრიბუნაზე. **მასები მოითხოვენ მაინც დაპირებულ მუშურ-გლეხურ მთავრობას.** ისინი არ კმაყოფილდებიან სოციალისტების მიერ ხიმში ბიუროკრატ პროფესორების და კონსერვატორებისაგან შემდგარი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტისათვის ხმის მიცემით. მასებს ასეთი მეჯლიშისათვის ლოლიკურია. მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ლოღიკურად პოლიტიკა. პარტიის ლიდერების, რომლებმაც ჯერ აამღვრიეს მასები და შემდეგ შეშინდენ. ეს არის წყალის დასხმა კომუნიზმის წისქვილზე".

რადიკალური ინტელიგენციის ორგანო „თავისუფლება" შემდეგს სწერს განხეთქილების შესახებ:

„განხეთქილება სოციალისტურ პარტიაში დიდი ხნით ადრე იყო მოსალოდნელი. მაგრამ ოპოზიცია პარტიის შიგნით ყოველთვის მარცხით თავდებოდა. გარდა პარტიული დისციპლინისა იყო კიდევ ერთი მომენტი, რომლებიც აშინებდა უკმაყოფილო ელემენტებს. **პარტიის ის წევრები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ, შავ სიაში შეჰყავდათ და მას დ[illegible]გაბათ სდევნიდენ.** მოსკოვის აგენტად, ქურდად, ბოლშევიკების მიერ მოსყიდულ ადამიანად აცხადებდენ. ოპოზიციის ჩაქრობა ზედაფენებში, საპარლამენტო კლუბში, ადვილი იყო, მაგრამ რთული იყო ასე ადვილი ეს საქმე ქვედა ფენებში. მემარცხენე სოც. პარტია მუშების ქვედაფენებმა წარმოშვა და ამიტომ მას გამოეხმაურებიან ძველი პარტიის ფართო მასები".

თითქო ამ სიტყვების დასადასტურებლად, გაზ. **„ნამ პშეგლონდ" იუწყება რომ ლოძის [illegible] სოციალისტური პარტიის მოწვეულმა მიტინგმა კომუნისტების წინადადებით უნდობლობა გამოუცხადა პარტიის ლიდერებს.**

◆

აღმოსავლეთში

მაროკოს გარშემო

ბურჟუაზიული დიპლომატიის ყურადღება კვლავ მაროკოკენაა მიპყრობილი. სწარმოებს ფარული ბრძოლა. თვითეულს სურს მეორე მოატყუოს, თავისი საქმეები მოაჭახრაკოს.

ასეთივე მახინაციებს ჰქონდა ადგილი, როცა რიფების ბელადი აბდ-ელ-ქერიმი ჯერ კიდევ დამარცხებული არ იყო, როცა ფრანგები და ესპანელები ან მარცხდებოდენ, ან იმარჯვებდენ, აბდ-ელ-ქერიმის მცირერიცხოვან, ცუდათ შეიარაღებულ და შეუკავშირებელ რაზმებზე.

მეგობარი—„მეთვალყურეები" (ინგლისი, იტალია და შემდეგში შეერთებული შტატებიც) დაცდის პოლიტიკას აწარმოებდენ და დაახლოებით შემდეგნაირად მსჯელობდენ:

1) თუ რიფები ბოლოს და ბოლოს დაამარცხებენ ფრანგებსა და ესპანელებს, აიძულებენ მათ დასთმონ ნაწილი თავის გავლენის სფეროებისა,—ამ შემთხვევაში „მოგება" უზრუნველყოფილია ყველა მეგობარ-მეთვალყურეებისათვის. აუცილებელი შეიქნება ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მაროკოს საკითხებზე და მაშინ თავისთავად დაისმება გავლენის სფეროების გადაჯგუფებათა საკითხი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ კომბინაციებთან დაკავშირებით (და არა რიფებისადმი თანაგრძნობის გამო) „მეთვალყურეები" ყოველმხრივ უწყობდენ ხელს აბდ-ელ-ქერიმს.

კომპარტიის წევრის დეპუტატ დორიოს მიერ დეპუტატთა პალატაში გამოქვეყნებულ ცნობიდან გამოირკვა, რომ ბრძოლის პირველ პერიოდში საფრანგეთი აბდ-ელ-ქერიმს ეხმარებოდა ესპანეთის წინააღმდეგ, რადგან ესპანეთის გავლენის შესუსტება მაროკოში საფრანგეთის პირდაპირ ინტერესს შეადგენდა. საფრანგეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ესპანელების დამარცხების შემდეგ, მათი სამფლობელო გადავიდოდა საფრანგეთის ხელში.

2) თუ, ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ, ფრანგები და ესპანელები გაიმარჯვებენ, ამ შემთხვევაში გამარჯვებულები მოისურვებენ მონაპოვარის შენარჩუნებას, მაგრამ განა შესაძლებელია ეს იმ სახელმწიფოების დასტურის გარეშე, რომლებმაც ერთხელ უკვე (1906 წ. ალჟეზირასში) „მოაწესრიგეს" მაროკოს ბედი!

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეორე კომბინაციასთან დაკავშირებით, მუსოლინი წარსულ წელს მხურვალედ მიესალმა პირველ ცნობებს ფრანგების გამარჯვების შესახებ. იტალიის იმპერიალიზმის იდეოლოგები ამას იმით ხსნიდენ, რომ იტალია, რომელსაც მუსლიმანებით დასახლებული ტერიტორია უჭირავს (ტრიპოლიტანია), დაინტერესებულია „მუსლიმანური" (ე. ი. რიფების) აჯანყების ჩაქრობაში. რადგან, თუ აჯანყებამ გაიმარჯვა, იგი იტალიის გავლენის სფეროებზეც გავრცელდება.

საეჭვოა, რომ მუსოლინიმ დაარწმუნა ფრანგები თავის კეთილ სურვილებში. მაგრამ ერთში მართალი აღმოჩნდა იგი: რიფები დამარცხდენ. ხორციელდება კომბინაცია № 2, რომელიც თავის დროზე მხედველობაში ჰქონდა მიღებული ჩემბერლენსაც და ამ კომბინაციის გარშემო სწარმოებს ახალი დიპლომატიური ბრძოლა.

ფრანგებს ძალიან სურთ „დახარჯული ფულების და დაღვრილი სისხლის" ანაზღაურება. ამას მოითხოვს პრესტიჟი მემარცხენე ბლოკის, რომელმაც უკანასკნელ ხანებში დიპლომატიურ ფრონტზე მრავალი დამარცხება იგემა—დაწყებული ლოკარნოდან, გათავებული შეერთებული შტატების წინაშე კაპიტულაციით ვალების საკითხში. მაგრამ უფრო მეტად მოითხოვს ამას უფრო „რეალური" ინტერესები: რიფების ოლქი მდიდარია სპილენძისა და ტყვიის მადნებით, რომლებიც ძალიან „აინტერესებს" საფრანგეთის კაპიტალს. მაგრამ ამ ოლქის ან მისი რომელიმე ნაწილის შემოერთებას აუცილებლად მოჰყვება კომპენსაციის მიცემა ინგლისისათვის ტანჟერში, რომელსაც ვერ დასთმობს საფრანგეთი, რადგან ეს იქნებოდა გასაღების მიცემა მოწინააღმდეგისათვის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ რაიონში.

ახლა კი მდგომარეობა ტანჟერში ისეთია, რომ მისი „ინტერნაციონალური" ხასიათი თითქმის უზრუნველყოფილია და ამიტომ უზრუნველყოფილია იქ საფრანგეთის ბატონობა. ინგლისელებს არ უჭირავთ საბატონებელი მდგომარეობა. 1923 წ. შეთანხმება ძალაში რჩება. თუმცა ინგლისელების ხელშია ისეთი პუნქტები, როგორც არის ჰიბრალტარი მისი შორსმსროლელი ზარბაზნებით, მაგრამ სამხედრო საქმის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ჰიბრალტარს მნიშვნელობას უკარგავს ის გარემოება, რომ მეორე ნაპირი ინგლისელების ხელში არ არის.

ასეთ ინგლისის დიპლომატიას არ მალავს, რომ [illegible] საფრანგეთის [illegible] გამარჯვებისათვის ის მოითხოვს „ინტერნაციონალური" ტანჟერის გადაქცევას ინგლისის სამფლობელოდ, თუ გინდ სათანადო საერთაშორისო გარანტიებით.

„ინგლისი არაფერს გააკეთებს სხვისთვის, თუ სამაგიეროს არ მიიღებს". ეს აქსიომა კარგად აქვთ შეთვისებული ფრანგებს. მათ ეს თავის ზურგზე განიცადეს 5—6 თვის წინად, როცა იძულებული შეიქნენ მთლიანად დაეჭირათ მხარი ინგლისის პოზიციისათვის მოსულის საკითხში და ამით გაეფუჭებინათ თავისი მეგობრული დამოკიდებულება ოსმალეთთან. სამაგიეროდ ჩემბერლენმა აღუთქვა ფრანგებს, რომ მხარს დაუჭერს პოლონეთის პრეტენზიებს ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობის შესახებ.

ინგლისის შიშით საფრანგეთი იძულებულია შეკვეცოს თავისი მადა რიფების ოლქში. ბრიანი განზრახ აჭიანურებს მოლაპარაკებას ლონდონთან იმ იმედით, რომ ინგლისის იმპერიის რომელიმე კუთხეში შენიშნავს სუსტ პუნქტს, რომელსაც გამოიყენებს თავისი ზრახვების განსახორციელებლად მაროკოში, მით უფრო, რომ სექტემბრიდან უნდა შეიკრიბოს ერთა ლიგის საბჭოს სესია.

მაგრამ ამავე დროს საფრანგეთის დიპლომატიის საქმეს უჭირებს მუსოლინი.

მუსოლინი ოცნებობს იტალიის დიდი იმპერიის შექმნაზე და მოითხოვს იტალიისათვის „შესაფერ ადგილს ცის ქვეშ".

საფრანგეთის დიპლომატია ნათლად გრძნობს, რომ თუ რაიმე რეალურ დათმობებზე არ წავიდა ფაშიზმის ბელადის მიმართ, ვერაფერს გახდება.

ინგლის-იტალიის ფრონტი ჯერ მტკიცეა და ბრიანი ვერ ახერხებს აბდ-ელ-ქერიმზე გამარჯვების მთლიანად რეალიზაციას.

სამი დღე თელავის მაზრაში

დაახლოვებით ამ ორი კვირის წინედ მე გავემგზავრე **თელავის მაზრაში.** ამ მგზავრობის უმთავრესი მიზანი **პირიქით თუშეთში** გადასვლა იყო. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ მიზნის განხორციელება ამ ხანად შეუძლებელი შეიქნა, და ეს სხვა დროისთვის გადაიდვა. მაგრამ თელავის მაზრაში მე მაინც დავყავი სამი დღე და ვინახულე ის რაიონები, სადაც მე წინედ არ ვყოფილვარ. ამ გარემოებამ საშუალება მომცა გამეგო ბევრი ისეთი რამ, რაზედაც წინედ ან სრულებით არავითარი წარმოდგენა მქონდა, ან თუ მქონდა, მეტად ბუნდოვანი.

უწინარეს ყოვლისა იქ ერთი საერთო ხასიათის შენიშვნაა საჭირო სახელდობრ აი რა: საქართველოს ზერელე გაცნობაც საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ აქ თითქმის ყოველი მაზრა, ყოველი კუთხე და რაიონი განირჩევა მეორისაგან, რომ მეტად იშვიათია ერთი მაზრა მეორე მაზრას გავდეს და არ განირჩეოდეს მისგან. ამგვარად თითქმის თვითეული ჩვენი მაზრა და ხშირად რაიონები მაზრის წარმოადგენენ განსაკუთრებულს და თავისებურს ერთეულებს. ამიტომ, თავის თავად აშკარაა, თვითეული ჩვენი მაზრა და ზოგ შემთხვევაში მისი ცალკე რაიონებიც—კი თხოულობენ განსაკუთრებულ დაკვირვებას და შესწავლას. უამისოდ შეუძლებელია რაიმე პრაქტიკული ზომების გამომუშავება და იმათი ცხოვრებაში გატარება. ეს უნდა ითქვას თელავის მაზრაზედაც. დიდი უმრავლესობა ჩვენში ვერ იცნობს ამ მაზრას ან თუ იცნობს, იცნობს მხოლოდ იმ რაიონს, რომელიც ალაზნის ხეობის ნაწილს შეადგენს. მაგრამ რაც შეეხება თელავის მაზრის დასავლეთ და ჩრდილოეთ - დასავლეთ ნაწილს, ე. ი. **პანკისის** და განსაკუთრებით **ფშავეთს** და თუშეთს, — ამაზე სწორი წარმოდგენა იშვიათად თუ ვისმეს აქვს. აქ მე მინდა რამდენიმე მაინც შევეხო თელავის მაზრის ამ რაიონებს,— იმდენად მაინც, რამდენადაც მე თვითონ გავეცანი იმათ ჩემი მოკლე ვადით იქ ყოფნის დროს.

პანკისის ხეობა

დავიწყებ **პანკისის ხეობიდან.** ეს ხეობა ბევრს ჩვენგანს ალბად გაგონილი აქვს „ცნობილი" ჩოლოყაშვილთან დაკავშირებით. ერთ დროს მთელი ეს ხეობა ჩოლოყაშვილის და მისი ბრბოს სანავარდოთ იყო გადაქცეული, აქ იგი ერთ დროს ბატონობდა. ხალხი მას აქ ერთნაირ ნდობას უცხადებდა და ინახავდა კიდეც. ამას ხელს უწყობდა პანკისის ხეობის როგორც **ადგილმდებარეობა** (გეოგრაფიული პირობები) ისე **ეთნოგრაფიული** შემადგენლობაც. ეს ხეობა წარმოადგენს მეტად ვიწრო ყელს, რომელიც შეჭრილია მთებში და რომელსაც სამი მხრიდან გარს აკრავს მაღალი მთები, დაფარული ხშირი ტყეებით. რაც შეეხება მოსახლეობას, პანკისის ხეობა ამ მხრით საკმარისად ჭრელ სანახაობას წარმოადგენს. აქ ჩვენ გვყავს: ერთი მხრით **ფშაველები და თუშები** და მეორე მხრით **ქისტები და ოსები.** ყველა ესენი აქ ჩამოსახლებული არიან რამდენიმე ათეული წლების წინედ, გარდა ქისტებისა, რომლებიც ჩამოსახლებული არიან აქ დაახლოვებით 150 წლის წინედ. ყველა ამათ საერთო ის აქვთ, რომ ისინი მთიელებია, მიწის დამუშავებას შედარებით ნაკლებად მისდევენ, სამაგიეროდ მთაში გავრცელებულია მესაქონლეობა. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულია დღემდისაც, თუმცა ემჩნევა კი, რომ უკანასკნელ დროს მიწის დამუშავება ამათში თანდათან იკიდებს ფეხს. ასევე უნდა ითქვას სწავლა - განათლებაზედაც: ამ მხრით ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქისტებია, შემდეგ ოსები. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ამათ მრავალი საერთო თვისებები აქვთ, მათში განსხვავებაც ბევრია. ფშაველები და თუშები (გარდა ერთი ნაწილისა წოვა თუშებისა) იგივე ქართველებია, და ამ უკანასკნელებთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ოსები ჩამოსახლებულია აქ 30—40 წლის წინედ ქართველ თავადების მიერ, რომელთაც ეს მიწები ეკუთვნოდათ მაშინ. ეს თავადები ამ მიწებს ან ყიდდენ მათზე ან აძლევდენ საიჯაროდ. ქისტები კი დიდი ხანია რაც ჩამოსახლებული არიან აქ ჩრდილოეთ - კავკასიიდან; ესენი იგივე ჩეჩნებია. დღეს ისინი, როგორც აგრეთვე ოსებიც საკმარისად კარგად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. ეს უფრო მამაკაცებზე ითქმის. რაც შეეხება ოსს და ქისტ დედაკაცებს, იმათ ქართული ძლიერ ნაკლებად ესმით. უნდა ითქვას, რომ დღემდის ყველა ესენი თავისთვის განმარტოებით ცხოვრობდენ, ერთმანეთში არ ითქვიფებოდენ. ფშაველები და თუშები მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ჩამოესახლენ პანკისის ხეობაში ფშავეთიდან და თუშეთიდან. რამდენადაც იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელიც ჩემს განკარგულებაში იყო, მე შემეძლო გამომერკვია, დღეს შედარებით წარსულთან პანკისის ხეობაში საკმარისი მშვიდობიანობაა დამყარებული. მაგრამ ამ რამოდენიმე წლის წინედ კი აქ სრული ანარქია არსებობდა, ასე რომ, როგორც იტყვიან, აქ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა. ხელისუფლება არ არ არსებობდა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ პანკისის ხეობა შედიოდა თიანეთის მაზრაში, რომლის ცენტრიდან— თიანეთიდან, ის თითქმის სრულებით მოწყვეტილი იყო, და მაშასადამე, მაზრის ხელისუფლება მოკლებული იყო საშუალებას დროზე მიეღო ზომები იმ სისხლის სამართლის დანაშაულთა წინააღმდეგ, რასაც ადგილი ქონდა პანკისის ხეობაში, სადაც მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და სხვაგვარი ბოროტება იმ ხანებში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სწორედ ეს უნდოდა ჩოლოყაშვილსაც. მან გამოიყენა თავის თავად - აზნაურულ — მენშევიკურ ბრბოსათვის პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობა ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ. ამ მდგომარეობის გამწვავებას ხელს უწყობდა რამდენიმედ აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენლების უტაქტო მოქმედებაც, რაც აიხსნებოდა უმეტეს ნაწილად გამოუცდელობით. იყო, მაგალითად ასეთი შემთხვევა: ქისტ - ყაჩაღების დევნის საქმეში გამოყენებულ იქნენ ადგილობრივი ოსები და დაივიწყებულ იქნა ის, რომ ამ ორთავე ხალხში დღემდისაც დარჩენილია **საგვარეულო წესწყობილება** და მასთან **შურისძიების** ჩვეულება. ასე რომ თუ ოსმა მოკლა ქისტი ან ქისტმა—ოსი, სულ ერთია რა ნიადაგზედაც არ იყოს მომხდარი ეს მკვლელობა, თვითეული ამათგანი ამას თავის გვარის შეურაცხყოფად სთვლის და ჩვეულება მას ავალებს სისხლი აიღოს. იმ გარემოებამ, რომ ოსებს დაევალათ ქისტ-ავაზაკების დევნა და ზოგიერთი იმათგანი ამ დევნის დროს მოკლულ იქნენ, ურთიერთობა ოსებსა და ქისტებს შორის გაამწვავა, ქისტებმა ამას შეხედეს როგორც თავისი გვარის შელახვას ოსების მხრით.

რა თქმა უნდა, ჩოლოყაშვილის ბრბოების მოსპობის შემდეგ ერთი მხრით და პანკისის ხეობის თელავის მაზრაზე მიწერის შემდეგ მეორე მხრით პანკისის ხეობაში მდგომარეობა ძირიანად გამოიცვალა. ხალხი დაწყნარდა, მკვლელობა, ძარცვა - გლეჯა და ქურდობა თითქმის სავსებით მოისპო ან ისპობა. ამჟამად მთელი პანკისის ხეობა სოფ. **მატანს** ზევით გაერთიანებულია ერთ თემად, რომლის ცენტრი სოფ. **ჯოყოლოშია.** აქ არის თემის აღმასკომი, პარტიული უჯრედი, სკოლა, კოოპერატივი და ვგონებ საექიმო პუნქტიც. მუშაობა თანდათან უმჯობესდება. სამაზრო ხელისუფლება შედარებით დიდ ყურადღებას აქცევს პანკისის ხეობას. მართალია, მდგომარეობა დღეს იქ შედარებით წინანდელთან ბევრად უკეთესია, მაგრამ თქმა იმის, რომ ეს მდგომარეობა სავსებით მოგვარებული იყოს, შეუძლებელია.

ეს უნდა ითქვას უმთავრესად ოსების და ქისტების ურთიერთობის შესახებ. უკანასკნელ დროს ურთიერთობა მათ შორის თითქოს გამწვავებულა კიდეც. ამას აქვს რამდენიმე მიზეზი. ერთი ის, რომ ჩოლოყაშვილის ბრბოების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდენ რამდენიმე ქისტი—ყაჩაღები, გამოყენებულ იქნენ ოსები, რომელთა დახმარებით რამდენიმე ქისტი მოკლულ იქნა. შემდეგ ქისტები (სოფ. ომალო) და ოსები (სოფ. დუმასტური) ედავებიან ერთმანეთს ერთი ნაჭერი მიწის შესახებ, და დღემდის მათ შორის გრძელდება ეს დავა. მიწათმოქმედების ორგანოებმა ეს მიწა არგუნეს სოფ. ომალოს მცხოვრებლებს, მაგრამ სოფ. დუმასტურის მცხოვრ[illegible] ხმდებიან და ეს საქმე დღეს გასაჩივრებულია იმათგან საქართველოს ცაკში. მდგომარეობის დასახასიათებლად—უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ პანკისის ხეობაში ამჟამად მიწის მხრივ საკმარისად დიდ სივიწროვეს განიცდიან ყველა მცხოვრებლები, როგორც ქისტები, ისე ოსებიც. ასე რომ საკითხი დგას მცხოვრებთა შორის ერთი ნაწილის იქიდან გადასახლების შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს ურთიერთობა ქისტებსა და ოსებს შორის გაამწვავა კიდევ ერთმა მკვლელობამ, რომელიც მოხდა სოფ. დუმასტურში და რომელიც დღემდის გამოურკვეველი დარჩა, თუმცა ხელისუფლების მხრით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყოველივე ზომა იქნა მიღებული. მოკლულ იქნა ერთი ყველასაგან პატივცემული ოსი თავის სახლში ვახშმის დროს. ოსები ამბობენ, რომ ეს მკვლელობა ქისტებისაგან არის ჩადენილი და კიდევაც უთითებენ ერთ ქისტზე, მაგრამ გამოძიებით ეს არ დამტკიცდა. თავის მხრით ქისტები ამბობენ, რომ ეს დანაშაული ალბად რომელიმე ოსმა ჩაიდინა ან პირადი მტრობით ან კიდევ საპროვოკაციო მიზნით, რომ ოსები ამ მკვლელობას უთუოდ ქისტებს დააბრალებენ და ეს გამოიწვევს მათ შორის ხოცვა-ჟლეტას, რაც იმავე დროს იქნება ხელისუფლების პრესტიჟის დაცემა ხალხის თვალში. მოდით და გამოერკვიეთ ასეთ რთულ პირობებში. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო კარგი გამოსავალი იქნებოდა ის, თუ ხელისუფლება აღმოაჩენს ნამდვილ დამნაშავეს. ამ დამნაშავეს სასამართლო გაასამართლებდა ხალხის დასწრებით და სასტიკად დასჯიდა მას. მაშინ ორივე მხარეს ხელიდან გამოეცლებოდა უსაფუძვლო ბრალდების ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ წასაყენებლად. მიღებულია ზომები, რომ მკვლელი აღმოჩენილ იქნას. საერთოდ სამაზრო ხელისუფლება იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ბოლო მოეღოს ოსებსა და ქისტებს შორის ყოველგვარ გამწვავებას და დავას და დამყარდეს ძმური ურთიერთობა. უნდა ვთქვა, რომ, როგორც გამოირკვა, ს. ჯოყოლოში ყოფნის დროს, ძმურ ურთიერთობის დამყარებაში აქ თითქმის ყველა დაინტერესებულია და ამას ყველა ცნობს აუცილებლად, მაგრამ ამას ხელს უშლიან ზოგიერთი პირები, რომელნიც ხალხს აღიზიანებენ. ყოველ შემთხვევაში, მე პირადად, იმ თათბირიდან, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა იქ მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლებმა, ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ნიადაგი შეთანხმებისათვის ოსებსა და ქისტებს შორის არსებობს, და ეს შეთანხმება და ძმური ცხოვრება უთუოდ დამყარდება იქ, მხოლოდ საჭიროა, რათა როგორც ხელისუფლების, ისე პარტიის ორგანოებმა განაგრძონ იმ ტაქტიკით მუშაობა, რომლისაც ისინი აქ უკანასკნელ დროს [illegible].

თუშ-ფშავ-ხევსურეთი

ჩვენ ვიცით, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში არის ისეთი ადგილები, სადაც გარეშე ადამიანს ფეხი ძალიან ძნელად მიუწვდება. დასავლეთ საქართველოში ასეთ ადგილად ითვლება **სვანეთი,** განსაკუთრებით, **ზემო-სვანეთი.** მაგრამ გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან ამ მხრით აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ზოგიერთი ადგილები. მე ვამბობ **არხოტის** და **შატილის** რაიონებზე და **თუშეთზე.** არხოტის და შატილის რაიონებში ცხოვრობენ **ხევსურები,** ხოლო **თუშეთში**—თუშები. ეს რაიონები მდებარეობენ კავკასიონის მთავარ ხერხემალს გადაღმა და ამიტომ იმათ სამართლიანად ეწოდებათ **პირიქითი ხევსურეთი** და **პირიქითი თუშეთი.** ეს ადგილები საქართველოს ცენტრებიდან გაცილებით უფრო მოწყვეტილია, ვინემ თვით ზემო-სვანეთიც, და ამათ მიმოსვლა ბევრად უფრო ეხერხებათ ჩრდილოეთ კავკასიასთან, ვინემ საქართველოსთან. მხოლოდ გვარტომობით კავშირი და ისტორიული ტრადიციები აახლოვებენ პირიქით ხევსურებს და თუშებს საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. ალბად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ როგორც პირიქითი ხევსურები, ისე პირიქითი თუშები არ სწყვეტენ კავშირს საქართველოსთან და გამოუთქმელი გაჭირვებით და ვაივაგლახით ახერხებენ სისტემატიური მიმოსვლის დაჭერას საქართველოსთან. ისინი ესახლებიან ბარად, აწარმოებენ ყიდვა - გაყიდვას, იძენენ ჩვენ ქალაქებში სწავლა - განათლებას (განსაკუთრებით ამ მხრივ ცნობილი არიან თუშები) და სხვ. ასე, რომ დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორც თბილისის, ისე კიდევ უფრო თელავის მაზრაში მრავალი სოფელი დასახლებულია ხევსურებით, თუშებით და ფშაველებით.

უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ ხევსურები, ფშაველები და თუშები ესახლებიან ბარად, მაგრამ ისინი არ სწყვეტენ კავშირს თავიანთ პირველ საცხოვრებელ ადგილებთან, ე. ი. პირიქით ხევსურეთთან და პირიქით თუშეთთან. ზაფხულობით ისინი მთელი თავისი ოჯახებით, ბარგითა და საქონლით ისევ ადიან მთებში უმთავრესად საძოვრებისათვის. ეს ითქმის განსაკუთრებით თუშებზე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მათ არ აქვთ გზა. კლდეებზე უხდებათ სიარული როგორც საქონელს, რამდენადაც დაკითხვიდან გამოვარკვიე, შეიძლება ითქვას, რომ გზების მხრით ხევსურეთი და თუშეთი ბევრად უფრო სავალალო და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ვინემ სვანები. ჩვენ მხოლოდ დაახლოვებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება ხევსურებს და თუშებს ისინი თითქმის ველურად ან ნახევრად ველურად ცხოვრობენ. ბუნება იმათ არ სწყალობს, გზა იმათ არა აქვთ და კვალი. მიმოსვლა უკიდურესად გასაჭირია; საექიმო დახმარებას სრულებით მოკლებული არიან. სწავლა - განათლება ასეთ პირობებში იქ ფეხს ვერ მოიკიდებს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ხალხი ვერ იცხოვრებს, ვერ გასძლებს. მიუხედავათ ამისა, ისინი დღემდის არ მომსპარან და რამდენიმედ ზრდაც ეტყობათ.

ამ ხალხთა რიცხვის შესახებ ჩვენ სწორი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება. **გუსტავ რადდეს** ცნობებით გასული საუკუნის მესამოცე წლების ბოლოს იმათი რიცხვი უდრიდა:*)

ფშავების — — — — 6.796
ხევსურების — — — 5.996
თუშების — — — — 5.103

ავიღოთ ეხლა მარტო თუშები. თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც ამჟამად ჩვენ დაწესებულებებს მოეპოვებათ, მაგალ., გადასახადის გაწერისთვის, საერთო ყველა თუშების კომლთა რიცხვი დაახლოვებით აღის 2.200-მდე; ამათგან წოვა — თუშები (თუ ვინ არიან ისინი, ამაზე მოკლედ ქვემოდ ვიტყვი) შეადგენენ 600-დე კომლს. დანარჩენი 1.600 კომლს შეადგენენ ქართველი თუშები; ამათგან 1.000-დე კომლი ცხოვრობს მუდმივ პირიქით თუშეთში, ხოლო 600 კომლამდე ცხოვრობენ ქვემო და ზემო ალვანში და ნაწილობრივ აგრეთვე კახეთის სხვა სოფლებშიაც არიან გაბნეული. რაც შეეხება **წოვა—თუშებს,** ისინი ცხოვრობენ განსაკუთრებით მხოლოდ სოფ. **ზემო ალვანში.** თუ მივიღებთ საშუალოდ თითო კომლზე 5 სულს, გამოვა, რომ დღეს საერთოდ თუშების რიცხვი დაახლოვებით იქნება 11.000 სული; მაშასადამე, თუ ეს ცნობები რამდენიმედ მაინც მართალია, თუშების საერთო რიცხვს ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში უმატნია ორჯერ. მაგრამ ეს ცნობები საერთოდ სწორი არაა, ასე რომ იმათზე დაყრდნობა მეტად საეჭვოა.

თუშები **საერთოდ,** როგორც ზევიდან იყო ნაჩვენები, ორ ნაწილად იყოფიან. უმეტესი ნაწილი დაახლოვებით 1.600 კომლამდე ქართველი თუშებისაგან შესდგება. დაახლოვებით 600 კომლამდე—კი არიან **წოვა-თუშები.** ეს უკანასკნელნი ბინადრობენ სოფ. ზემო-ალვანში, რომელიც მდებარეობს ქ. თელავიდან 40—45 ვერსის დაშორებით ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით ვაკე ადგილას. ზაფხულობით ისინი თავიანთი ოჯახებით და **საქონლით** ადიან **ტბათანაზე,** სადაც იმათი საზაფხულო სძოვრებია. წოვა-თუშები თავის წარმოშობით ქისტების (ჩეჩნების) მოდგმას ეკუთვნიან, იმათი ენა იგივე ქისტური ენაა ცოტაოდენი ცვლილებით. მიუხედავათ ამისა, ისინი თავის თავს თუშებს უწოდებენ. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ ოდესღაც ისინი დაესახლენ იმ ადგილას, რომელსაც თუშეთი ერქვა და სადაც ქართველი თუშები ცხოვრობდენ. წოვა-თუშებს — დედაკაცების გამოკლებით— ქართული ენა კარგად ესმით. მათში ბევრია ქართული გვარი, როგორც მაგალ., ქადაგიძენი, ცისკარაშვილები და სხვ. წოვა-თუშებსა და ქართველ თუშებს შორის კარგი ურთიერთობა არსებობს.

თუშები საერთოდ სწავლა - განათლებას ხალისით ეკიდებიან. იმათში მოიპოვებიან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. საკვირველი ის არის, რომ ნასწავლი თუში ძლიერ იშვიათად ან სრულებით არ რჩება ქალაქში ან სხვა ადგილას, იგი ბრუნდება ისევ სახლში და მიდის ისევ ცხვარში, როგორც ჩვეულებრივი უსწავლელი თუში. სწავლა - განათლებას ერთნაირად მისდევენ როგორც ქართველი, ისე წოვა-თუშები.

სოფლები **ქვემო** და **ზემო ალვანი,** რომლებიც თუშების სოფლებია, როგორც მდებარეობის, ისე ჰავის მხრით ახდენენ მეტად ცუდ შთაბეჭდილებას. ესაა დაბლობი, ჭაობიანი და ნესტიანი ადგილი. არათუ მთას დაჩვეული, არამედ ბარის ხალხსაც გაუჭირდება აქ ცხოვრება, მეტადრე ზაფხულობით. ეს ციებ-ცხელების, მალარიის ადგილია. ეს ატყვია მცხოვრებლებს, ყველას ჩაყვითლებული ფერი აქვს. თუ რომ დროზე სანიტარული ზომები არ იქნა მიღებული ჭაობების ამოსაშრობად და სოფლის გასაჯანსაღებლად თუშებს უბედურება მოელისთ. ამას გრძნობენ თვით თუშებიც, და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თუშებში ბევრია შეძლებული ხალხი, ამ სოფლების გაჯანსაღება ადვილი შესაძლებელია. სხვათა შორის, სოფ. ქვემო და ზემო ალვანში, თვით ადგილობრივი გლეხების ინიციატივით დაწყებულია ქუჩების შემუშავებული გეგმით გაყვანა. მაგრამ მხოლოდ დაწყებულია. ქუჩების გეგმით გაყვანა საქმეს ვერ უშველის. საჭიროა სხვაგვარი ზომების მიღება, რათა ხსენებულ სოფლების სანიტარული პირობები გაჯანსაღდეს. დღემდის თუშების ხსნა სხვადასხვა სენიდან და განსაკუთრებით მალარიიდან—მდგომარეობს იმაში, რომ დადგება თუ არა ზაფხულის თვეები თუშები მთელი ოჯახობით და საქონლით მიეშურებიან პირიქით თუშეთში და ტბათანის მთებზე. სოფლები სრულიად იცლება, სახლებს კეტავენ, ტოვებენ მხოლოდ ყარაულებს მოხუცებულებიდან. ორი-სამი დღე გრძელდება ასვლა, ამდენივე უკან დაბრუნება. ეს მოგზაურობა ნამდვილი ტანჯვაა. ხშირად მოდის წვიმები, სეტყვა, გზაზე კი არსად თავშესაფარი არაა. არაა არა თუ გზა. არამედ ბილიკიც. მაგრამ თუშები ყოველივე ამას შეგუებული არიან. იმათ, ვისაც ცხენი ყავს, მოგზაურობა რამდენიმედ უადვილდება, თუმც ცხენზე მოგზაურობა თუშების მთებზე მხოლოდ სანახევროდ თუ შეიძლება. ყველა თუშმა — დიდმა და პატარამ ქალმა და კაცმა საუცხოვოდ იცის ცხენოსნობა. პატარა ბავშვებს კი ხურჯინებში აჯენენ და ისე მიაკრავენ ცხენებზე. ცხენოსნობაში დედაკაცები მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან. უნდა ითქვას, რომ თუშის დედაკაცი უზომოდ შრომის მოყვარულია, იგი ტყუილად არ გაჩერდება.

ახლა გადავდივარ თუშების მთავარ გასაჭირზე, იმაზე, თუ რაზე აცხადებენ ისინი საჩივარს.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ თუშებისაგან მე არ მომისმენია კერძო ხასიათის საჩივარი ან რაიმე პირადი ხასიათის შუამდგომლობა. ეს ერთნაირ დასახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუშების მთავარი **საჩივარი** ეხება იმ დიდ გაჭირვებას, რომელსაც ისინი განიცდიან ჩეჩნებისაგან. ეს უკანასკნელები ჩრდილოეთ - კავკასიიდან გადმოდიან თუშეთში და არ აძლევენ თუშებს მოსვენებას, სტაცებენ მას საქონელს და შეტაკების დროს ამ ნიადაგზე ხოცავენ ხალხს. რამდენიმეჯერ იყო ცდა ჩეჩნების მთავრობის წარმომადგენლებთან, რათა ასეთ თავდასხმას, მტაცებლობას და კაცის კვლას ბოლო მოღებოდა, მაგრამ აქამდის ეს საქმე ვერ მოგვარდა, ეს თავდასხმა თუშებზე ხდება უმეტეს ნაწილად უკან დაბრუნების დროს ეგრედწოდებულ ნაქერალას მთაზე. თვით თუშები მეტის მეტი მშვიდი და უწყინარი ხალხია, მაგრამ იმავე დროს ისინი მეტად გაბედულებიც არიან, ამიტომ გაძარცვას და შეწუხებას არავის აპატიებენ. მაგრამ გარდა ამისა, რომ ჩეჩნების თავაშვებულების წინააღმდეგ ბრძოლა თხოულობს ბევრ დროს და დიდ ენერგიას, ეს იწვევს ხშირად სისხლის ღვრასაც. თუშები შუამდგომლობენ, რომ მთავრობამ გაუწიოს მათ ამ საქმეში დახმარება იმ მხრით, რომ აღიძრას შუამდგომლობა ჩეჩნების მთავრობასთან, რათა ამ უკანასკნელმა ალაგმოს ის ჩეჩნები, რომლებიც თუშებს აწუხებენ. როგორც მოვიხსენიეთ, ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა ზომები მიღებული, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს საკითხი ჯერაც არაა მოგვარებული. ამიტომ საჭიროა, რომ ის საბოლოოდ იქნას მოწესრიგებული ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის მთავრობასთან მოლაპარაკებით.

არანორმალური ურთიერთობა არსებობს აგრეთვე ლეკების ანუ დაღესტანის რესპუბლიკასთანაც. მაგრამ ეს ურთიერთობა სულ სხვა ხასიათისაა. თავდასხმებს ლეკების მხრით ადგილი არა აქვს; უკმაყოფილება აქ სხვა ნიადაგზე ხდება. მისი მიზეზი შემდეგი გარემოებაა; საქმე იმაშია, რომ ალვანიდან უშუალოდ გადასვლა პირიქით თუშეთში ხანდისხან თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგანაც გადასასვლელია მეტად მაღალი უღელტეხილი. ამიტომ თუშები ხშირად ცდილობენ ამ უღელტეხილის შემოვლას დაღესტნის მხრიდან, ვინაიდან დაღესტნის მხრიდან ბევრად უფრო დაბალი უღელტეხილებია პირიქით თუშეთში გადასვლისათვის. მაგრამ ამ გადასვლას აბრკოლებს დაღესტნის მთავრობის მიერ დაწესებული კარანტინი, რათა საქონლის ჭირი არ იქნას იქ შეტანილი. ამიტომ ამ კარანტინზე, სადაც არავითარი

---

*) См. „Записки Кавк. отд. Рус. Географ. О-ва", кн. XI Хевсурия и Хевсуры. Тифлис, 1881 г.

პარტიული ცხოვრება

კავშირი წითელ ჯარის პარტორგანოებთან

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პარტ. კოლეგიის ცირკულიარული წერილი ამიერ-კავკასიის წითელ დროშიან არმიის პარტკომისიებისა და საკონტროლო კომისიის შორის კავშირის შესახებ

საკავშირო კომპარტიის წესდების მე-14 განყოფილებაში წითელი არმიის პარტორგანიზაციებთან მუშაობას ხელმძღვანელობს—კანდიდატების მიღების, პარტიის წევრებად გადაყვანის, პარტ. წესდების დარღვევის საქმეში, ადგილობრივი პარტკომები საკონტროლო კომისიები ანხორციელებენ დივიზიებსა და პოლკო პარტკომისიებში ამ მუშაობის შესახებ სისტემატიური მოხსენებების მოსმენასა და უკანასკნელთათვის სათანადო დირექტივების მიცემის გზით".

ამხ. ვაცეკას მოხსენებიდან ამიერ-კავკასიის წითელი არმიის პარტიული კომისიის პლენუმის შესახებ, გამოირკვა, რომ რესპუბლიკანური პარტორგანიზაციებისა და საკონტროლო კომისიების მხრივ არ ექცევა დივიზიის პარტკომების მუშაობას ის ყურადღება, რომელსაც ითვალისწინებს პარტიის წესდება და დებულება პარტიულ კომისიების შესახებ. ასე მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ოქმებიდან არა სჩანს, რომ იგი ისმენდეს საქართველოს პირველ და მეორე დივიზიის პარტკომებისა და თბილისის გარნიზონის პარტკომისიის მოხსენებებს და ამ მოხსენებების მიხედვით აძლევდეს რაიმე დირექტივებს.

აგრეთვე არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის კავშირი სომხეთში მყოფ პარტკომების მიმართ (სომხეთის დივიზიის პარტკომი, 3 ცხენოსანი სამგურბრო დივიზია და ცხენოსანი ბრიგადა). ცენტრალური საკონტროლო კომისია, უმეტეს შემთხვევაში, თავის კავშირს სხდომებზე წარმომადგენლობის გაგზავნით განსაზღვრავს, რის გამოც ამიერ-კავკასიის წითელი არმიის პარტიულ კომისიას, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან დივიზიის პარტკომები, არ აქვს შესაძლებლობა, რომ თავის მუშაობის დროს მხედველობაში იქონიოს რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სახელმძღვანელო დირექტივები.

ითვალისწინებს რა ამას, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიების პარტკოლეგიებს, რომ ზაფხულის განმავლობაში მოისმინონ დივიზიის პარტკომების მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ და აცნობონ საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას იმ დირექტივების შესახებ, რომლებიც მიცემული იქნება ამ მოხსენებათა გამო.

სასურველია, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი ან ცენტრ. საკონტ. კომისიის რწმუნებული ადგილობრივ (ბანაკებში) გაეცნოს დივიზიის პარტკომების მუშაობას და ინახულოს ზოგიერთი პარტორგ. ნაწილები, რომლებშიაც დივიზიის პარტკომები მუშაობენ.

შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საკავშირო კომპარტიის ამ.-კავკ. ცენტ. საკონტ. კომისიის პარტკოლეგიას.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია.

ფოთის ორგანიზაციის მდგომარეობა

(სამთვიური ანგარიში)

აპრილში ყულევის თემში დაარსებულ იქნა თემკომი. ერთი კომუჯრედი, რომელიც იქ ითვლებოდა დაყოფილ იქნა სამად. ამავე თვეში სოფელ პატარა ფოთში დაარსებულ იქნა კანდიდატთა ჯგუფი. ამ რიგად ფოთის ორგანიზაციას აპრილის თვეში მოემატა ორი კომუჯრედი და ერთი კანდიდატთა ჯგუფი—რის შემდეგაც ორგანიზაციაში ითვლებოდა 18 კომუჯრედი და ერთი კანდიდატთა ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა 511 წევრს და 158 კანდიდატს—სულ 669 წევრი და კანდიდატი. ამათში ქალები 28 წევრი და 23 კანდიდატი სულ 51 ქალი.

მაისში ორგანიზაციაში შედიოდა 18 კომუჯრედი და 1 კანდიდატთა ჯგუფი, რომლებიც აერთიანებდა 508 წევრს და 154 კანდიდატს სულ 662 წევრი და კანდიდატი. ამათში ქალები 29 წევრი და 20 კანდიდატი, სულ 49 ქალი.

ივნისში გაუქმებულ იქნა მასწავლებელთა კომუჯრედი, რომლის წევრებიც მიმაგრებულ იქნენ სხვადასხვა კომუჯრედზე—ამის შემდეგ ივნისის თვეში ორგანიზაცია აერთიანებს 17 კომუჯრედს და 1 კანდიდატთა ჯგუფს,—ითვლებოდა სულ 503 წევრი და 153 კანდიდატი. ამათში ქალები 29 წევრი და 20 კანდიდატი.

საანგარიშო თვეების განმავლობაში პარტიული კომიტეტი კომუჯრედებს საკმაო ხელმძღვანელობას უწევდა. ყველა კომუჯრედზე არის მიმაგრებული კომიტეტის თითო წევრი. პარტიული კომიტეტი, გარდა ამისა, ხშირად იწვევს კომუჯრედების მ.-მგ. მდივნების თათბირს უჯრედებზედ მიმაგრებულ ამხანაგების თანდასწრებით, უჯრედების მდივ. აკეთებენ მოხსენებას მუშაობის შესახებ, ხოლო მათ თანამოხსენებლად გამოდიან მიმაგრებული ამხანაგები. ამათის დასრულების და მუშაობის გადაფასების შემდეგ პარტკომი მათ აძლევს დირექტივებს შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმეტესად ხდებოდა ღია კრებები, რომლებზედაც ესწრებოდენ უპარტიო მუშა-მოსამსახურეები, (ქალაქში) და უპარტიო გლეხები (სოფლად) ღია კრებებზე კეთდებოდა მოხსენებები ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე, კამათში მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიოებიც. უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედებში უპარტიოებთან დაახლოების საქმე სასურველ სიმაღლეზე იდგა.

პარტიული კომიტეტი აწარმოებდა და აწარმოებს პარტამხანაგებს შორის აღმზრდელობითი მუშაობას და სასტიკად ებრძვის პარტდისციპლინის დარღვევას.

საანგარიშო თვეების განმავლობაში კომიტეტის პლენუმი შესდგა ორჯერ.

აღსანიშნავია კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელიც 27 მაისს გაიხსნა და იმუშავა ორი დღე.

აღნიშნულ პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1) საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა და მომჭირნეობის რეჟიმი.
2) პროფ-ბიუროს მოხსენება.
3) გლეხკომის და მუშკოოპის მდგომარეობა
4) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. გოგიამ. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც პლენუმი აუცილებლად სცნობს ფოთში არსებულ დაწესებულებების გამორკვევას ხარჯების შემცირების მიზნით, რისთვისაც გამოყოფილ იქნა ცენტრალური კომისია ს. კ. პ. (ბ) ც. საკონტროლო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა გამოყოს ადგილობრივი კომისიები სხვადასხვა დაწესებულებებიდან.

ადგილობრივ კომისიებში შევიდენ ადმინისტრაციის, კომუჯრედების და ადგილკომების წარმომადგენლები. ადგილობრივი კომისიები მუშაობენ ცენტრალურ კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ. საკავშირო კომპარტიის ცირკულიარის და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის დადგენილების მიხედვით.

გლეხკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორმა ამხ. მეუნარგიამ, რომელმაც დაახასიათა გლეხკომების მუშაობა მათი მიღწევები და ნაკლოვანებანი.

პლენუმმა გლეხკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

მუშკოოპის მუშაობის და მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ამხ. ნოღაიამ, რომელმაც ვრცლად გააშუქა მუშკოოპის მდგომარეობა.

პლენუმმა გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და გამოიმუშავა და გამგეობას დაავალა შემდეგი: 1) მიღებულ უნდა იქნას ზომები წევრების რიცხვის გასადიდებლად. 2) მიღებულ უნდა იქნას ზომები საწევრო გადასახადის ასაკრებად 3) აკრძალული უნდა იქნას სხვადასხვა პირებზე ინდივიდუალურად საქონლის ნისიათ გაცემა.

ვ. კალანდაძე.

ჩხიროულის კომუჯრედის გამოკვლევა

(შორ. მაზრა)

შორაპნის მაზრკომმა მოისმინა ინსტრუქტორის მოხსენება ჩხიროულის თემის კომუჯრედის მუშაობის შესახებ,—მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უჯრედში ირიცხება 4 კომპ. წევრი და 10 კანდიდატი; ბიურო სრულ უმოქმედობას იჩენს, სხდომები ნაკლებად ეწყობა, ოქმები არ ინახება, ქალთა სადელეგატო კრებებს, უჯრედმა რაკი ვერ გაუწია ხელმძღვანელობა, დაიშალა და ქალთა შორის მუშაობა სავსებით არ სწარმოებს.

თუმცა დისციპლინა უჯრედში კარგია, კრებას ყველანი ესწრებიან, კომუნისტური ეთიკა არ არის დარღვეული. თუმცა უჯრედმა შესძლო თემისთვის გამოეწერა 180 ც. გაზეთი, მაგრამ უჯრედის მუშაობაში ნაკლი სჭარბობს ვიდრე მიღწევები, უჯრედში პოლიტმეცადინეობა ცუდათ სწარმოებს, უჯრედების კრებებზე მხოლოდ ცირკულიარის კითხვას უნდებიან. კომკავშირთან თუმცა არის წარმომადგენლობითი სისტემის საშუალებით დაცული კავშირი, მაგრამ ეს ფორმალურად არის, საქმით მათ მუშაობას მიმაგრებული ამხ. და საერთოდ უჯრედი ვერ უწევს ხელმძღვანელობას. ქალთა და პიონერთა ორგანიზაციაში მუშაობა სრულიად არ სწარმოებს. საბჭოს და სხვა ორგანიზაციების კომფრაქციებს არ ეძლევად უჯრედიდან რაიმე დირექტივები რის გამო ფრაქციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, საქმეში მათი ინიციატივა და მოქმედება არ სჩანს.

გლეხკომებიც ასეთივე მდგომარეობაშია, ისინი მხოლოდ კომიტეტის ქაღალდზე არსებობენ, წევრები კი მათ არ მოეპოვებათ. ამ შემთხვევაში უჯრედი არ ცდილა ზომები მიეღო გლეხკომის მუშაობის გასაფართოებლად.

უჯრედის მუშაობა რჩება კარჩაკეტილად, გლეხობამ არც კი კი იცის არსებობს უჯრედი თუ არა, ღია კრებები დიდი ხანია რაც არ მოწვეულა. ამის გამო გლეხობაც ნაკლებად ეტანება უჯრედში ჩასაწერად. სოფლად რელიგიურ ცრუმორწმუნეობას კიდევ აქვს ადგილი, ექიმბაშები თავისუფლად დათარეშობენ.

უჯრედი არ აწარმოებს პოლიტგანმანათლებელ მუშაობას გლეხობაში.

ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად მაზრკომმა გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები და დაავალა უჯრედს დაუყოვნებლივ გაატაროს ის ცხოვრებაში:

1. რადგან უჯრედში ირიცხება მხოლოდ ოთხი პარტწევრი, ბიუროს მაგიერად იქნას შემოღებული უჯრედის მდივნის თანმდებობა და შერჩეულ იქნას ამისთვის სათანადოთ მომზადებული ამხანაგი.
2. უჯრედში გაძლიერებული უნდა იქნას პოლიტმეცადინეობა რისთვისაც მიმაგრებულ ამხანაგს ევალება უხელმძღვანელოს უჯრედის წევრთა მეცადინეობას, კრებებზე საკითხების სწორად გადაჭრას და გატარებას ცხოვრებაში.
3. კომკავშირში მუშაობა უნდა გაძლიერდეს, ხშირად უნდა ხდებოდეს მათთან გაერთიანებული კრებები და ეძლეოდეთ მათ სათანადო დირექტივები.
4. საჩქაროდ უნდა იქნას მიღებული ზომები ქალთა და პიონერთა ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად.
5. გამოცოცხლებული უნდა იქნას კომფრაქციების მუშაობა, რისთვისაც მათი მოხსენებები ხშირად უნდა ისმებოდეს უჯრედის კრებაზე და უნდა ეძლეოდეთ მათ სათანადო დავალებები. თუ რა კითხვები უნდა გაირჩეს და დამუშავდეს საბჭოში, გლეხკომში, კოოპერაციის გამგეობაში და სხვა.

გ. ჯ—შვილი.

იურიდიული დახმარება ღარიბ გლეხებს

(წერილი სიღნაღის მაზრიდან)

კომპარტიის სიღნაღის მაზრის ორგანიზაციის უკანასკნელ (მერვე) სამაზრო კონფერენციაზე იდგა საკითხი რევოლიუციონური კანონიერების მტკიცედ გატარების შესახებ. ამ კითხვაზე სათანადო მოხსენების მოსმენის შემდეგ, კონფერენციამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებისა რევოლიუციონურ კანონიერების დაცვისა და გატარების შესახებ. ეს კითხვა რამოდენიმეჯერ დასმული იქნა სიღნაღის მაზრკომის პლენუმის და პრეზიდიუმის სხდომებზე, სადაც დამუშავდა კონკრეტიული ღონისძიებები კონფერენციის დადგენილებათა განსახორციელებლად.

მაისის დამდეგს პარტკომის ინიციატივით მოწყობილ იქნა იურიდიული დახმარების სამაზრო სექცია. ხსენებულ სექციის მიერ მოწვეული იქნა მაზრის ფარგლებში მომუშავე მოსამართლეების, იურისტ-ვექილების და გამომძიებლების თათბირი. ამ თათბირზე გაირჩა და დამუშავდა რევოლიუციონური კანონიერების გასარკვევად სერიოზული საპროპაგანდო მუშაობის დაწყების კითხვები... ამავე თათბირმა გამოიმუშავა საუბრების პროგრამა. ეს პროგრამა—შემდეგი უმთავრესი ნაწილებისაგან შესდგება: მიწათმოწყობა, ოჯახის გაყრა, ქორწინება-განქორწინება და სისხლის სამართლის დანაშაულობანი...

იურიდიული დახმარების სექციის წევრების შორის ზემოხსენებული პროგრამის საფუძველზე განაწილებულია სამუშაო და უკვე დაიწყო საუბრების კითხვა გლეხობაში.

რამოდენიმე საუბარიდ ჩატარდა ქალაქ სიღნაღის და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში.

27 ივნისს მოწვეული იქნა სოფელ გურჯაანში, ღარიბ გლეხთა ჯგუფის „ეპოს“ საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულების და თემის საბჭოს წევრების გაერთიანებული სანიმუშო კრება. ამ კრებაზე მიწის საკითხის გარშემო ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ვექილმა მიხ. ნასიძემ. დამსწრეთა შორის არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია მოხსენებამ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აუარებელი მტკივნეული საკითხები წამოიჭრა. მოხსენება და შეკითხვები მიუხედავად დარბაზში საშინელი სიცხისა 5 საათი გაგრძელდა. მასსებისათვის გამოირკვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების კანონები ღარიბი გლეხების ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული, მაგრამ ამ [illegible] ის უცოდინარობა ხელს უშლიდა მის [illegible] ას და დაცვას. ყოფილა ისეთი მაგა[illegible] რომ გლეხს არ ცოდნია, არსებობს, თ[illegible] რაიმე კანონი მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კანონების პოპულიარიზაცია გადაუდებელი ამოცანაა. გლეხმა უნდა იცოდეს რა შეღავათები ენიჭება მას ამ მხრივ იურიდიულ დარგში მომუშავეთა ფართოდ გამოყენება საბჭოთა კანონების მასიურ პროპაგანდისთვის დიდს შედეგს მოგვცემს. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა ეძლევა სასამართლო სესიებს სოფლებში მივლინებას იმისთვის, რომ დანაშაულის გარჩევა ხდებოდეს იმ სოფელში სადაც დანაშაულობა იქნა ჩადენილი. ამას დიდი ზნეობრივი აღმზრდელობითი და საპროპაგანდო მნიშვნელობა ექნება. ეს პრაქტიკა ხშირია სიღნაღის მაზრაში და მას მეტად სასარგებლო შედეგები მოაქვს.

აკ. ჭოჭუა.

ამხ. ს. ფარცხალაძის ხსოვნას

ქუთაისის მაზრას გამოაკლდა ერთი საუკეთესო, დაუღალავი ენერგიით სავსე ამხანაგი. ამხ. სონია ფარცხალაძე. ასეთი ამხანაგის დაკარგვა პარტიისა და მშრომელი ქალებისათვის დიდ დანაკლისს წარმოადგენს.

ამხ. სონია ნიკოლოზის ასული ფარცხალაძე დაიბადა 1896 წ. 2 ივლისს, შორაპნის მაზრის სოფ. ფონაში. ბავშობა გაატარა მან ქარელში. სადაც მამა მისი მსახურობდა რკინის-გზას მოხელეთ. ოთხი წლის არ იქნებოდა, როდესაც მამა გარდაიცვალა, ამ დღიდან დედა მისი იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო ხონში. დედა მისი საკუთარ შრომით ირჩენდა თავს და დიდი წვალებით გამოზარდა სამი შვილი. ექვსი წლის იქნებოდა სონია, როდესაც უფროსმა დამ მას შეასწავლა წერა-კითხვა.

1920 წელში მიაბარეს ხონის კერძო „პროგიმნაზიაში“. რამდენიმე წლის შემდეგ სიღარიბის გამო მან პროგიმნაზიაში სწავლას თავი დაანება.

შემდეგ იგი შედის ხონის ოთხკლასიან სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1909 წელში. ამ დროის განმავლობაში, როგორც ხელმოკლე ოჯახის შვილი და ობოლი, ზაფხულობით მუშაობდა პარკის სახმობ და სალებ ქარხანაში, სადაც დღიურათ ეძლეოდა 20-30 კაპიკამდი.

1910 წელში მან ჩააბარა გამოცდები კაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიაში, ხოლო 1914 წელს დაამთავრა ყოფილი „წმინდა ნინოს“ სასწავლებელი.

სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი იწყებს მასწავლებლობას. ამ საქმეს ის დღემდის პირნათლად ასრულებდა. ამხ. სონია თვითვე ებმება რევოლიუციონურ მოძრაობაში.

იგი ჯერ კიდევ ბავშობისას ღებულობს მონაწილეობას იმ დროს არსებულ პოლიტიკურ წრეებში. რეაქციის დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს გაფიცვაში. 1917 წლიდან იგი დგება კომპარტიის რიგებში და პარტიის არალეგალობის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ მუშაობაში. საქართველოს გასაბჭოებიდან იგი უკვე სათავეში უდგება სხვადასხვა ორგანიზაციებს, როგორც უკვე სათანადოთ მომზადებული ამხანაგი. იგი ამავე წელს ინიშნება ხონის ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორ-ორგანიზატორათ, და ენერგიულ მუშაობით პარტიის ირგვლივ რაზმავს მშრომელ ქალებს.

ამხ. სონია იყო ქუთაისის სამაზრო აღმასკომის წევრი და ხონის რაიონის აღმასკომის წევრი. ის აგრეთვე იყო ხონის რაიკომის წევრი, „ზაკროსტა“-ს კორესპონდენტი და სხვა.

არ არის ისეთი საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანიზაცია, სადაც ამხ. სონია არ ითვლებოდა აქტიურ მუშაკათ.

აი ვინ იყო ამხ. სონია. ასეთი ამხანაგის დაკარგვა განსაკუთრებით ძნელია მშრომელ ქალებისათვის.

ინო.

—:—

პარტიული ქრონიკა

— **აგიტპროპორგანიზატორების არჩევა მუშურ უჯრედებში.** შორაპნის მაზრკომის აგიტკოლეგიამ აგიტპროპის მუშაობის გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილად სცნო გამოყოფილი იქნას ყველა თემკომებთან და აგრეთვე „კარატოს“ ფირმის და ჭიათურის რონოლის მტვირთავი უჯრედებთან აგიტპროპორგანიზატორები.

— **საკონფლიქტო კომისიის მუშაობა.** 1 ივლისიდან კომკავშირის სენაკის სამკომთან არსებული საკონფლიქტო კომისია შეუდგა მუშაობას. საჭიროებისამებრ საკონფლიქტო კომისია საქმის გამოსარკვევად ადგილებზედაც მიემგზავრება.

თავშესაფარი არაა არც ადამიანისათვის და მით უფრო არც საქონლისათვის, საქონელს აჩერებენ, ცხვარს 9 დღეს და ძროხას 21 დღეს. ტყავის გატანის ნებას სრულებით არ აძლევენ. საქონელს აჩერებენ იმ შემთხვევაშიაც, როცა აქვთ ბეითლის მოწმობა, რომ საქონელი ჯანმრთელია. გარდა ამისა, თუშების სიტყვით იქ ადგილი აქვს მექრთამეობასაც. ყველაფერი ეს უძნელებს თუშებს ისარგებლონ დაღესტნის ტერიტორიით პირიქით თუშეთში გადასასვლელად ან იქიდან დასაბრუნებლად.

ამნაირად ერთი მხრით მაღალი უღელტეხილი, რომლის გადალახვა მეტად ძნელია, მეორე მხრით შორი გზა და კარანტინი უძნელებენ ალვანელ თუშებს მიმოსვლას პირიქით თუშეთსა და თავის სოფლებს შორის, რაც ამათთვის დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ისინი შუამდგომლობენ, რათა კარანტინის საკითხი ლეკების მთავრობასთან მოწესრიგებულ იქნას.

შემდეგი საკითხი, რომელიც თუშებმა აღძრეს, შეეხება **საძოვრებს.** უნდა შევნიშნოთ აქ, რომ საძოვრების საკითხი დღეს საქართველოში ყველაზე უფრო მწვავედ დგას. ამ საკითხის ირგვლივ სწარმოებს დღეს ჩვენში ნამდვილი ბრძოლა. ედავებიან ერთმანეთს მაზრა-მაზრას, სოფელი - სოფელს და მეზობელი - მეზობელს. საქონლის, განსაკუთრებით ცხვრის რაოდენობა უკანასკნელ დროს შესამჩნევად მატულობს, საძოვრების არე არ მატულობს, თითქმის კლებულობს კიდეც. ასეთ პირობებში რა თქმა უნდა, საძოვრების საკითხი თანდათან მწვავდება. ასევე ხდება თუშეთშიაც. მაგრამ თუშები სჩივიან კიდევ იმის შესახებ, რომ საძოვრის სიძვირის გამო იმათ ერთი ცხვრის შენახვა უჯდებათ დაახლოვებით 1 მან. 1 მან. 50 კაპიკამდე, წინედ კი ერთი ცხვარი ბევრად უფრო იაფად უჯდებოდათ. მაგალითისათვის უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ აზერბეიჯანში ერთ დესეტინა საძოვარზე ვიხდით 50 კაპ., და საქართველოში კი 70 კაპ. ერთ მანეთამდე მაშინ; როცა აზერბეიჯანის საძოვრები ბევრად უკეთესია საქართველოს საძოვრებზე,—აცხადებენ ისინი.

გარდა ამისა ალვანელ თუშების სიტყვით, თუშების საქონელი უფრო მეტად არის დაბეგვრილი, ვინემ ქიზიყელების, იქ, სადაც ქიზიყელი იხდის ვთქვათ 100 მანეთს, თუში იხდის 200 მანეთსო. მე არ ვიცი, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ყველა ეს განცხადებები. მაგრამ იმათ გამოსარკვევად უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

დასასრულ ყველა თუშების, როგორც პირიქითელების, ისე პირაქეთელების, ყველაზე უდიდეს გასაჭირს წარმოადგენს სრული უგზოობა. როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, პირიქით თუშეთი სრულიად მოწყვეტილია საქართველოზე ჩვენ არ ვიცით თუ როგორ, რა პირობებში ცხოვრობს ხალხი პირიქით თუშეთში, მაგრამ თუნდაც, რომ ყოვლივე ეს ზედმიწევნით ვიცოდეთ, რანაირად უნდა დავუახლოვდეთ ჩვენ იქ ხალხს თუ იქ მისვლა - მოსვლა შეუძლებელია. მაგრამ გზის გაყვანა იქ, არა თუ საურმე გზის, არამედ თუნდაც საცხენო ბილიკის, ადვილი არაა. მთავრობას არ შეუძლია დღეს ამ გზის გაკეთება თავის [illegible]. თუშები თითონ გრძნობენ ამას, ამიტომ ისინი თითონ ფიქრობენ თავისი ძალებით შეუდგენ ამ გზის გაკეთებას. მთავრობას თხოვენ მხოლოდ ტეხნიკური ძალებით დახმარებას ამ საკითხის გამოსარკვევად მთავრობამ უკვე გაგზავნა იქ ტეხნიკური კომისია ინჟ. **ჩხეიძის** მეთაურობით. გზის სიგრძე იქნება დაახლოვებით 50—60 ვერსი. ის დაიწყება სოფ. **ფშაველიდან** სოფ. ლეჩურამდე 9 ვერსის მანძილზე უკვე არსებობს საურმე გზა. ლეჩურს ზევით 9 ვერსის მანძილზე გზა ნაკეთებია და ცხენით სიარული შესაძლებელია, ისე რომ ამ მანძილზე გზის შეკეთება ადვილი იქნება. უფრო დაწვრილებით ყველა ამ საკითხებს გამოარკვევს იქ გაგზავნილი კომისია, თუ რა დაჯდება მისი გაკეთება, ან რას გაიღებენ თვითონ თუშები.

რაც შეეხება თუშების სასკოლო შენობების მდგომარეობას, ეს არაფერს სანუგეშოს წარმოადგენს. სამწუხაროდ ზემო ალვანის სკოლის შენობის დათვალიერება მე ვერ მოვასწარი, რაც შეეხება ქვემო ალვანის სკოლის შენობას, ის მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია—ის პირდაპირ ნანგრევებს წარმოადგენს. ჩვენ მიუთითეთ ამაზე მცხოვრებლებს და მივეცით წინადადება, რომ სკოლის შესაკეთებლად და სათანადო დონეზე დასაყენებლად ისინი მოვალენი არიან მიიღონ სათანადო ზომები.

კოოპერატივი არის მხოლოდ ზემო ალვანში, მაგრამ მის მუშაობის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც იქ ჩვენ ცოტა ხანს დავრჩით.

ზემო და ქვემო ალვანს არ აქვს **საექიმო პუნქტი,** და ეს გარემოება დაუშვებელია. მაზრას დღეს არ შეუძლია იქ საექიმო პუნქტი გახსნას. ამიტომ წინადადება მიეცა **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას** დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები იქ საექიმო პუნქტის გახსნისთვის. ამასთან დაკავშირებულია სასმელი წყლის გამოყვანა ზემო და ქვემო ალვანში და იქ ჭაობების ამოშრობა. ყოველივე ამას შესძლებენ თვით ალვანელები, მათ ესაჭიროებათ მხოლოდ ტეხნიკური ძალებით დახმარება მთავრობის მხრით და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა.

ამით ამოიწურება ყველა ის საკითხები, რომლებიც აღძრულ იქნენ გლეხების მიერ ჩვენ იქ ყოფნის დროს.

საერთოდ პირობები საბჭოთა აღმშენებლობისათვის თუშების სოფლებში საკმარისად ხელსაყრელია. საჭიროა მხოლოდ სათანადო ხელმძღვანელობა სამაზრო ხელისუფლების მხრით. რასაც იმედია ამხანაგები არ დაიშურებენ.

(დასასრული იქნება)

ფ. მახარაძე

ამხ. კახიანი და მათიკაშვილი ხაშურში

გუშინ, დღის პირველ საათზე, ხაშურის მუშებს ესტუმრა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ. **მ. კახიანი** და ამხ. **შ. მათიკაშვილი.** დაახლოვებით ორის ნახევარზე რკინის გზის კლუბის შენობაში გაიხსნა რკინის გზის მუშათა კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხანაგი კახიანი. დარბაზი ამხ. კახიანის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშით შეეგება.

თავის მოხსენება ამხანაგმა კახიანმა დაიწყო ინგლისის უკანასკნელი ამბების მიმოხილვით.

უკანასკნელ ხანებში, სთქვა მომხსენებელმა, ინგლისის მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე საგრძნობლად შეირყა. ის თანადათანობით ჰკარგავს მსოფლიო ჰეგემონიის, რაც, რასაკვირველია, სათანადო გავლენას ახდენს ინგლისის საშინაო მდგომარეობაზეც.

ბურჟუაზიას აღარ აქვს ისეთი ზემოგება, როგორიც ჰქონდა წინეთ. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სანახშირო წარმოებაში, რომელიც ინგლისის მრეწველობის დედა-ძარღვად ითვლება.

თავის ჯიბეების შევსებას ინგლისის კაპიტალისტები სცდილობენ მუშათა კლასის ხარჯზე. სწორედ ამიტომ არის, რომ კაპიტალი მძაფრ შეტევაზე გადავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ საერთოდ, ხოლო პირველ რიგში ის მაღაროს მუშებს დაესხა თავს. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ინგლისის მაღაროს მუშათა ბრძოლა და აღნიშნა ის ღალატი, რომელიც ტრედ-იუნიონთა გენერალურმა საბჭომ ჩაიდინა საყოველთაო გაფიცვის ჩაშლით.

დაახასიათა რა ინგლისის მუშათა ბრძოლა—და ის ხრიკები, რომელსაც კონსერვატორები და სოციალ-გამყიდველები მიმართავენ მაღაროს მუშათა გაფიცვის ჩაშლელათ, ორატორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გაფიცულთ მძიმე პირობებში უხდებათ ბრძოლა და დახმარებას საჭიროებენ. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უკვე გაუწოდა მათ ძმური დახმარების ხელი და შეაგროვა საკმაოთ მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც გადაეგზავნა კიდეც გაფიცულებს.

ჩვენ მიერ ინგლისის მუშებისათვის დახმარების აღმოჩენამ მოთმინებიდან გამოიყვანა კონსერვატორები, ხოლო ჩემბერლენმა, კერზონის არ იყოს, ნოტა გამოგვიგზავნა, რომლითაც „ზრდილობიანათ“, უზრდელ საქციელს სჩადიოდა. ის აცხადებდა, რომ ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების გადაგზავნა საბჭოთა კავშირიდან „ხელს ვერ შეუწყობს ორივე ქვეყნის კეთილგანწყობილების განმტკიცებასო“. ეს ნოტა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის ცდა იყო. რაზედაც საბჭოთა მთავრობამ საკადრისი პასუხი გასცა.

ორატორმა მოუწოდა კრებას, რათა გაძლიერებულ იქნეს დახმარება გაფიცულ მეშახტეებისადმი.

შემდეგ მან დაწვრილებით დაახასიათა პოლონეთის, საფრანგეთის და გერმანიის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ყველა ამ ქვეყნებში კაპიტალიზმს, ეგრედწოდებული, სტაბილიზაცია მერყევია და არ ატარებს მტკიცე ხასიათს.

დასასრულ ის ვრცლად შეეხო საბჭოთა კავშირის, კერძოთ, საქართველოს, მდგომარეობას და აღნიშნა საზღვარგარეთ მოკალათებულ ემიგრაციის დაშლა.

მომხსენებელი დაჯილდოვებული იქნა ხანგრძლივი ტაშით.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება ესალმება ინგლისის მაღაროს მუშათა ბრძოლას და აღუთქვამს მას დახმარებას.

რკინის გზა აგიტატორის როლში

ყველამ იცის, რომ რკინისგზა და საერთოდ ტრანსპორტი დიდ როლს თამაშობს სახალხო მეურნეობაში. ტრანსპორტის მთავარი დანიშნულებაა ნაწარმოები მომხმარებელს დაუახლოვოს, სოფლის ნაწარმოები ადვილად მიაწოდოს ქალაქს და ქალაქის—სოფელს.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში ტრანსპორტის შესახებ მთავრობა მხოლოდ ერთ ხაზს ატარებდა: ტრანსპორტს მხოლოდ იქ უნდა ემუშავნა, სადაც უკვე მზად იყო დამუშავებული ნაწარმოები. სხვა ხაზი, სხვა დანიშნულება ტრანსპორტს არ ჰქონდა.

მე აქ არას ვამბობ ტრანსპორტის კიდევ ერთ დიდ დანიშნულების შესახებ,—სტრატეგიული მიზნით რკინისგზების გაყვანაზე.

გასაბჭოების შემდეგ და უფრო კი მას შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირი სახალხო აღმშენებლობას შეუდგა, საბჭოთა ხელისუფლებამ რკინისგზას ახალი ამოცანა დაუყენა: ის არ უნდა დაკმაყოფილდეს გამზადებული ტვირთის გადატან-გადმოტანით, არამედ ის უნდა შეიქნეს სახალხო ძალთა ამამოძრავებელ აპარატად; მას დაევალა სახალხო მეურნეობის ამოძრავების და განვითარების ხელის-შეწყობა.

ერთი სიტყვით, უწინ რკინისგზას აამუშავებდენ იქ, სადაც უკვე იყო ტვირთი, ახლა კი ამუშავებენ იქაც, სადაც რკინისგზის საშუალებით ასეთი ტვირთი მომავალში იქნება.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რკინისგზის გაყვანას დიდი თანხები უნდა და, ამიტომაც, ძნელია. ასეთ შემთხვევაში რკინის-გზას აქვს მეორე საშუალება. მე ვგულისხმობ ქალაქის სადგურებს. ბევრმა არც კი იცის, რა არის ქალაქის სადგური და მას ხშირად რკინის-გზის სახაზო სადგურში ურევენ. ქალაქის სადგური რკინისგზის ერთ-ერთი დამხმარე აპარატთაგანია. ის ასრულებს ყველა იმ დავალებას, რომელსაც ასრულებენ ხაზის სადგურები (ბილეთების გაცემა, ბარგის და ტვირთის გადაგზავნა და მიღება) და, გარდა ამისა, ბარგ-ტვირთის ბინიდან ხაზის სადგურზე მიტანა და სადგურიდან ბინაზე მიტანა, ტვირთის გირაოთი სესხის მიზნობრივი სესხის მიცემა. ეს უკანასკნელი ნიშნავს: მწარმოებელი, მაგალითად, ზუგდიდიდან, აგზავნის ტვირთს თბილისში და გადასაგზავნი ფული კი მას არ აქვს; მას ნისიად გადაუგზავნიან ტვირთს სამი თვის ვადით. ქალაქის სადგური ასეთ და ბევრ სხვა წვრილმან შეღავათებს აძლევს რკინის-გზის კლიენტებს.

ცხადია, ქალაქის სადგური აახლოვებს მწარმოებელს მომხმარებელთან და მოსახლეობისათვის ძლიერ ხელსაყრელ პირობებში აწარმოებს მუშაობას. მეტადრე ეს ითქმის სოფლის მოსახლეობის შესახებ. ვინ არ იცის, რომ ჩვენ რკინისგზის ლიანდაგიდან დაშორებულ სოფლებში ბადრწიან ვაჭრუკანები, ყოველგვარი სპეკულიანტები და სოფლის ნაწარმოებს „მამა-შვილურ“ პირობებში ყიდულობენ. და აი გაჩნდა რომელიმე თემში ქალაქის სადგური და სოფელს ეძლევა საშუალება თავისი ნაწარმოები ჩააბაროს სადგურს, რომელიც მას ბაზარზე გაიტანს და გაყიდის კიდეც: ქალაქის სადგურებს ამის უფლებაც აქვთ. გლეხი სოფლიდან ფეხს არ მოიცვლის და ნაწარმოებს კი გაასაღებს. ამით ხელი ეწყობა, სხვათა შორის, ქალაქ-სოფლის ერთი მეორესთან დაახლოებას, მათი ერთი-მეორესთან გადაბმას.

გარდა ამისა, სოფლად ქალაქის სადგურების გახსნას აქვს კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა.

უდავოა რომ სოფელი იტანჯება უგზოობით. სოფელმა იცის, რომ მისთვის გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გზის გაყვანის უახლოვეს და უშუალო შედეგებს ის ვერ ხედავს. თუ თემის რომელიმე ცენტრში ქალაქის სადგური გაიხსნა, სოფელი ნათლად ხედავს, რომ მისი ასეთ ცენტრთან გზით დაკავშირება აუცილებელია, რომ ამას მოითხოვს მისი უახლოესი ინტერესი. და ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქის სადგურების გახსნასთან ერთად სოფლებს დაჩქარებით გაყავთ გზები და ამით მათი ნაწარმოები ბაზარზე იოლად გადის. აღსანიშნავია ერთი მოვლენა. იმ ადგილებში. სადაც რკინის გზამ ქალაქის სადგურები გახსნა (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, ხონი და სხ.) კერძო საკომისიო-სატრანსპორტო კანტორები ან დაიხურენ ან სულს ღაფავენ, ვინაიდან ისინი ვერ უწევენ შეჯიბრებას ქალაქის სადგურებს: ასეთი კანტორები ფუთზე საკომისიოს ღებულობენ 3—5 კაპეიკს, ქ. სადგური კი ღებულობს ½—1 კაპეიკს. თბილისში, მაგალითად, რკინის გზამ გახსნა ქ. სადგური სამი განყოფილებით და თითქმის ყველა კერძო კანტორები დაიხურნენ. ასევე მოხდა სხვა ადგილებში.

თუ რამდენათ ხელსაყრელია ქ. სადგური, სჩანს იქიდან. რომ მით სარგებლობენ თვით სახელმწიფო -საკოოპერაციო დაწესებულებები, მაგ., ხორბლეულობის და შაქრის ტრესტები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც რკინის გზას ფული დასჭირებია ხელზე დროებით და ასეთ ტრესტებს მისთვის, ავანსის სახით, ხელი გაუმართავთ: ა.-წ. მაისში ხორბლეულობის ტრესტმა ავანსით მისცა რკინისგზას 400.000 მანეთი.

ქალ. სადგურების გახსნის საჭიროებას და მათ მიზანშეწონილობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ქ. სადგურების ტვირთ-ბრუნვა წლიდან-წლამდე შესამჩნევად მატულობს. ა.-კ. რკინისგზას აქვს გახსნილი 15 ქ. სადგური, და აი მათი შედარებითი ტვირთ-ბრუნვა:

1923—24 წელში—12.620.009 ფუთი
1924—25 „ —17.002.195
1925—26 ½ წელში—21.871.580

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ წლის მხოლოდ ნახევარში გასულ მთელ წელთან შედარებით ტვირთ-ბრუნვა ხუთი მილიონით მეტი ყოფილა, ე. ი. გაზრდილა 157 პროცენტით თითქმის ასეთივე სურათს მივიღებთ ქ. სადგურების საწყობების მუშაობიდან.

ასეთია ქ. სადგურების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. მათ ამის გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვთ. ზემოთ მე მოვიყვანე ცნობა ქ. სადგურების და კერძო სატრანსპორტო კანტორების გასამრჯელო სასყიდლის შესახებ: სადგური ღებულობს ფუთზე ½—1 კ.,კერძო კანტორა კი—3—5 კ., ე. ი. ფუთზე დაახლოვებით სამი კაპეიკით მეტს. თუ ყოველწლიურ ტვირთბრუნვას ქ. სადგურებზე მივიღებთ დაახლოვებით 40 მილიონ ფუთს, სახალხო მეურნეობა ყოველ-წლიურად ზედმეტს ხარჯებს აიცდენს ერთ მილიონ და ორას ათას მანეთს, მაშასადამე, ქალაქის და სოფლის ნაწარმოები უნდა გაიაფდეს ამავე რაოდენობით.

დასასრულ, მე მინდა მივაქციო ყურადღება ქ. სადგურების გახსნის და მათი მუშაობის ერთ ფრიად დიდ მნიშვნელობას. საბჭოთა კავშირის ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორიც არიან კოგან-ბორშტეინი, კრეშევიცკი, ბრონშტეინი და სხვები, დაჟინებით მოითხოვენ ქ. სადგურების გახსნას: ამასთან ერთად ისინი საჭიროდ სცნობენ, რომ ქ. სადგურები არ მისდევდენ სარგებლიანობას, არამედ იდგენ მხოლოდ თვითღირებულების პრინციპზე. ქ. სადგურების გახსნის აუცილებლობაზე უთითებს აგრეთვე რკინის გზის გამგეობის წარმომადგენლთა ა.-წ. ივნისის მოსკოვის ყრილობა. საჭიროა ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ ახალ-ახალი ქ. სადგურები გახსნას ამიერ-კავკასიაში და მით დაუხლოვოს სოფელი ბაზარს და ბაზარი სოფელს. ხონში და ზუგდიდში ადგილობრივი გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ქ. სადგურების გახსნის წინადადებას, და როდესაც იქ უკვე გახსნეს ქ. სადგურები, მოსახლეობის სიხარულს და მთავრობის „დალოცვას“ საზღვარი არ ჰქონდა. ზუგდიდში, ერთ-ერთ ოფიციალურ ყრილობაზე, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ განაცხადა: „ათას აგიტატორს არ შეეძლო იმის მეასედის გაკეთება, რაც გააკეთა ზუგდიდში ერთმა ქალ. სადგურმა. მას აქვს მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკურიც. მოსახლეობა მასში ხედავს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას და მით გლეხობა აღფრთოვანებულია“. ცხადია, რკინისგზა ერთ საუკეთესო აგიტატორის როლში გამოდის თავისი საქმიანობით.

იაკაშვილი.

ელექტროფიკაციის პერსპექტივები

(საუბარი ინჟ. გრ. შახბულაგოვთან)

ამიერ-კავკასიის რკინიგზების საგეგმო-საკონტროლო განყოფილების უფროსმა ინჟ. გრ. შახბულაგოვმა, ზაჰესს და ელექტროფიკაციის გეგმით გათვალისწინებულ ქუთაისის ჰიდრო-ელსადგურის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა:

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო მიიღებს ძლიერ წყაროს იაფ ენერგიისას, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის რაიონს ელექტრონის ენერგიით და ხელს შეუწყობს აქ არსებულ ყოველი სახის მრეწველობის სწრაფ განვითარებას და ახალი ფაბრიკა-ქარხნების გახსნას.

ამავე ენერგიის გამოყენება ა.-კ. რკ. გზების სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოთ, რისთვისაც საჭირო იქნება მაღალ დამძაფრულიანი ხაზის გაყვანა ზაჰესიდან გორით და ხაშურით შორაპნამდი, მისცემს ხაშურთან ახლო მდებარე რაიონებს იაფ მამოძრავებელ და გამანათებელ ენერგიას. მაგრამ მარტო ზაჰესის ენერგია ვერ შესძლებს ყველა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომელსაც მას წაუყენებს ცხოვრება. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ესაჭიროება იაფი ენერგია, აუცილებელია იქ (დასავლეთ საქართველოში) მეორე ცენტრალურ სადგურის აგება, რადგან ბათუმისა და ფოთის რაიონები მიიღებენ ენერგიას აბაშისა და აჭარის წყლის ჰიდრო ელსადგურიდან და ამრიგად ენერგიით დაუკმაყოფილებელი დარჩება ქუთაისის და საერთოთ მდ. რიონის და ცხენის წყლის რაიონები.

სწორედ ამიტომ ახლო მომავალში განზრახულია სადგურის აგება მდ. რიონზე, ქ. ქუთაისის ახლოს.

ამ სადგურის პროექტის შემდგენელმა ძალიან მოხერხებულად გამოიყენა მდ. რიონის და წყალ-წითელას კალაპოტების და დონის სხვაობა.

განზრახულია მდ. რიონის შეგუბება 16 მეტრის სიმაღლის კედლით და წყლის გადაყვანა წყალ-წითელაში, სადაც დაწოლ მილების ბოლოზე ეწყობა სადგური, 48.000 ცხენის ძალისა.

დამუშავებული წყალი ჩადის წყალ-წითელას კალაპოტში, საიდანაც ისევ ბრუნდება მდინარე რიონში.

რიონიდან გამოყვანილი წყლის ხარჯი მინიმალურად შეადგენს დაახლოვებით 25 კუბიკურ მეტრს წამში, რის გამო მუდმივი წლიური ძალოვნობა სადგურისა გამოიანგარიშება 11.500 ცხენის ძალის რაოდენობით.

ჰიდრო-სადგურის წლიური წარმოება, მისი სრული გამოყენების დროს, აღწევს 180—200 მილიონ კილოუატ საათს, იმ დროს, როდესაც ზაჰესს შეუძლია მოცემა მხოლოდ 56 მილიონამდე.

ამ სადგურის ენერგიის მოსახმარებლად პირველ რიგში იქნებიან: რკინისგზების საუღელ[illegible] [illegible], ხაშური შორაპანი და ზესტაფონი, ჭიათურის რაიონის მრეწველობა, სადგურები—სამტრედიის, ხაშურის, გორის და ძირულის ქარხანა და მის ახლო მდებარე ადგილების სამთო მრეწველობა. საერთო რაოდენობა მათი წლიური მოთხოვნილების ენერგიაზე აღწევს 50 მილიონ კილოუატ საათს.

მეორე რიგში ენერგიის მომხმარებლად გამოდიან: რკინისგზის უბანი თბილისიდან ხაშურამდე (შემდეგში შეიძლება ზესტაფონ-სამტრედიაც) და ქაღალდის ფაბრიკა სამტრედიაში.

იმის და მიხედვით თუ როგორი, იქნება მოთხოვნილება, კილოუატ-საათი ეღირება 2,4-დან 0,75 კაპეიკამდი. ამ ციფრების გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიღებულია 60 პროცენტი დახარჯულ კაპიტალისთვის, 2 პროც. ამორტიზაციისათვის და 1 პროც. საექსპლოატაციო ხარჯებისათვის.

როგორც ვხედავთ თვითღირებულება ენერგიისა, თუ წლიურად გამოყენებული იქნება არანაკლებ 160 მილიონ კილოუატ საათისა, ძალიან მცირეა.

კომისიამ, რომელმაც განიხილა ქუთაისის სადგურის პროექტი, შეადარა იგი ტყიბულის იაფ ქვა-ნახშირის თბიერების სადგურის ვარიანტს. თვითღირებულება ენერგიისა ამ ვარიანტის მიხედვით, პირველ შემთხვევაში იქნება 2,4 კაპეიკი, ხოლო მეორე შემთხვევაში—1,7 კაპ. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ თვითღირებულების თვალსაზრისით ნახშირის სადგურს არა აქვს უპირატესობა ჰიდრავლიურთან.

0,75 კაპეიკში, ხოლო თბიერების (ნახშირის) სადგურის ვარიანტისათვის კი ამავე პირობებში საჭიროა კაპიტალური ხარჯი 12 მილიონ მანეთის რაოდენობით და თვითღირებულება ენერ-

ამრიგად ყოველწლიურად 160 მილ. კილოუატ-საათის ენერგიის მოხმარების დროს ჰიდრო-სადგურისათვის საჭიროა კაპიტალური ხარჯი 12 მილიონ მანეთის რაოდენობით და თვითღირებულება ენერგიისა განისაზღვრება 0,75 კაპეიკში, ხოლო თბიერების (ნახშირის) სადგურის ვარიანტისათვის კი ამავე პირობებში საჭიროა ხარჯი 12.560.000 მანეთის ფარგლებში და ენერგია ეღირება 1.7 კაპ. მომჭირნეობა ხარჯები, რომელსაც მოგვცემს წყლის ძალის გამოყენება გამოიხატება, წლიურად 1.520.000 მანეთში.

ქუთაისის ჰიდრო ელსადგურის აგების საკითხი განხილულ იქნა მთავარ ელექტრო-სამმართველოში და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ელექტროფიკაციის სექციაში.

ამ ინსტანციების საერთო დასკვნები საკმაოდ ხელსაყრელია. მიზანშეწონილად არის ცნობილი სადგურის ასაგებ სამუშაოების დაწყება მომავალ 1926—27 წელს სამუშაოთა ხარჯთ-აღრიცხვაში იმ თანხის შეტანით, რომელიც საჭირო იქნება საბოლოო პროექტის შედგენისა და მოსამზადებელ სამუშაოებისათვის.

საუბარი საფრანგეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტებთან

ემიგრანტთა ერთი ჯგუფის დაბრუნება.—როგორ შეხვდა პარიზის ქართველი ემიგრაცია და საფრანგეთის პრესა ვეშაპელის მკვლელობასა და ჩხეიძის თვითმკვლელობას.—სამშობლოში დაბრუნების სურვილი.—ურთიერთობა ემიგრანტების ჯგუფებს შორის.—ქართული საბჭოთა პრესის გავლენა ემიგრაციაზე.—ემიგრაციის ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთის ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.

16 ივლისს პარიზიდან ბათომით თბილისში დაბრუნდა ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიან კობახიძე გრ. (ყოფილი მენშევიკი სტუდენტი), კაჭახიძე ნესტ. (ყოფ. მენშევიკი ძველი მუშა), ლამბაშიძე ნიკ. (პარიზის ქართული საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარის მოადგილე, ყოფილი სამხედრო პირი), კახიანი ნიკ. (ყოფილი მენშევიკი და სამხედრო პირი), წულუკიძე შალვა (უპარტიო მუშა, შოფერი), ცოტაძე გიორგი (უპარტიო სტუდენტი) და კინოსიანი სედრაკ (მუშა უპარტიო). ყოფ. ემიგრანტთა ეს პარტია წარმოადგენს ქართველ ემიგრანტთა იმ ჯგუფის ნაწილს, რომელსაც ამ ერთი თვის წინად საქართველოს ცაკის მიერ სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცა. ჯგუფის მეორე ნაწილის წამოსვლა დაბრუნებულ ემიგრანტთა გადმოცემით შეაფერხა ტეხნიკურმა მიზეზებმა. ამ მოკლე ხანში გამოემგზავრება მეორე ჯგუფიც.

ყოფ. ემიგრანტებმა პრესის თანამშრომლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი ემიგრაციაში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებისა და ემიგრაციის საერთო მდგომარეობის შესახებ.

მათი გადმოცემით ვეშაპელის მკვლელობამ ემიგრაციის მთავარი მასა, ანტისაბჭოთა ემიგრაციის ოფიციალურ წრეებთან დაახლოვებულ პირების გამოკლებით — **მწუხარებით** შეხვდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ემიგრანტთა **დიდი უმრავლესობა,** თუმცა არა აშკარად, მაგრამ ფარულად **იზიარებდა ვეშაპელის პოზიციას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და მის შეხედულებებს ქართული ემიგრაციის საკითხებზე;** უმრავლესობას ვეშაპელი მიაჩნდა პირად, რომელიც გამოიყვანდა ემიგრანტთა უდიდეს ნაწილს იმ ჩიხიდან, რომელშიაც იგი მოემწყვდა.

ვეშაპელის მკვლელობის შესახებ საერთო შეხედულება ასეთია: ეს არის **პოლიტიკურ ნიადაგზე მოწყობილი მკვლელობა.** საფრანგეთის პრესა, როგორც ბურჟუაზიული, ისე რუსულ - ემიგრანტული და სოციალისტური ვეშაპელის მკვლელის საქციელს შეხვდა **თანაგრძნობით.** მხოლოდ კომუნისტურმა პრესამ, რომელმაც ამ მკვლელობაში დაინახა მენშევიზმის სასოწარკვეთილება, რეალურად შეაფასა ეს პოლიტიკური აქტი. მეორე მოვლენასაც—ჩხეიძის თვითმკვლელობასაც —ემიგრაცია შესაფერისად გამოეხმაურა. ყველა წრეებში განმტკიცებულია აზრი, რომ ჩხეიძემ თავი მოიკლა **კონტრრევოლიუციონურ იმედების გაცრუებისა** და მისი ყოფილი ამხანაგებისგან გარიყვის გამო.

ეს ორი მაგალითი ძლიერ დამახასიათებელია ემიგრაციის მდგომარეობისათვის. ვეშაპელის მკვლელობამ ემიგრანტების წრეებისათვის უფრო ცხადი გახადა, რომ მენშევიკების გაკოტრებული და წყალწაღებული ბელადები არ ერიდებიან არავითარ ბინძურ საშუალებას საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ქართველების დასაშინებლად; მეორე მხრივ, ჩხეიძის თვითმკვლელობა ააშკარავებს, რომ **თვით ხელმძღვანელთა წრეებში თავი იჩინა პოლიტიკურმა პესიმიზმმა და სასოწარკვეთილებამ.** აი, როგორი დასკვნა გამოაქვს ემიგრაციის უმრავლესობას ამ ორი პოლიტიკური ფაქტიდან.

ბუნებრივია, თუ ემიგრანტული მასის მიერ მდგომარეობის ასეთი შეფასების შემდეგ, მათში **იზრდება საბჭოთა საქართველოსადმი თანაგრძნობა და სამშობლოში დაბრუნების სურვილი,** მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სურვილის განხორციელებას ხვდება ათასგვარი დაბრკოლებანი. ყოველი ემიგრანტი, რომელიც ოდნავ თანაგრძნობასა და ლოიალობას გამოიჩენს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იდევნება და „კანონს გარეშე“ ცხადდება რამიშვილისტების მიერ. მაგ., ჩვენი ჯგუფის ერთი წევრი, ამხ. ცოტაძე კინაღამ რამიშვილის აგენტის მსხვერპლი შეიქნა. მაგრამ მდგომარეობა გამწვავებულია არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის, არამედ საბჭოების წინააღმდეგ განწყობილ ჯგუფებს შორისაც. მენშევიკების, ეროვნულ - დემოკრატების და „უპარტიო“ ქართველ ფაშისტების ორგანიზაცია -- „თეთრი გიორგი“ ერთმანეთს სჭამენ და გამწარებული დავობენ, თუ რომელი ამ ჯგუფის „ჰეგემონია“ უნდა დამყარდეს საქართველოში (!). ამაზე იტყვიან: ღვინო არსად იყო, ხოლო ემმაკები ტიკჭორს ალბობდენო. ასეთია ანტისაბჭოთა ჯგუფების მდგომარეობა პარიზში.

სულ სხვა გარემოებას აქვს ადგილი პრაღასა, ბერლინსა და ევროპის სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ ემიგრანტებს შორის. ზემოდ ჩამოთვლილ ქალაქებში ქართველი ემიგრანტები **უკვე ითვლებიან საბჭოთა ახალშენების წევრებად და სამშობლოსაკენ მოისწრაფიან.**

ცოტა ღვაწლი არ მიუძღვის ემიგრაციის გამოფხიზლების საქმეში საქართველოს **საბჭოთა პრესას.** ამჟამად პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში საქართველოდან სისტემატიურად მოდის შემდეგი ყოველდღიური გამოცემები: „კომუნისტი“, „მუშა“, „ზარია ვასტოკა“, და სხვ., რომელთა შეძენა მსურველს ყოველთვის შეუძლია. მაგ., პარიზში არის წიგნის ორი მაღაზია, რომელიც რეგულიარულად ღებულობს თბილისის გაზეთებს.

ემიგრანტები, რომელნიც სამშობლოდან მოსულ ყოველგვარ ცნობას დიდის წყურვილით ეტანებიან, **ხელიდან ხელში იტაცებენ საქართველოდან მოსულ საბჭოთა გაზეთებს.** ობიექტიურად განწყობილი ემიგრანტი ეცნობა ქართული გაზეთების საშუალებით მიმდინარე საბჭოთა აღმშენებლობას და იმსჭვალება თანაგრძნობით საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საბჭოთა გაზეთების გავლენა თანდათან მტკიცდება იმ გარემოების წყალობითაც, რომ გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს ადასტურებენ [illegible] წრეებიც, სადაც მოიპოვება ცნობები აქ მიმდინარე მუშაობის შესახებ. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს „ურწმუნო თომებისათვის“.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც აიძულებს ემიგრანტებს ზურგი შეაქციონ საფრანგეთს და სამშობლოში დაბრუნებაზე იფიქრონ. ეს არის საფრანგეთის დღევანდელი მწვავე ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა. დიდი ნაწილი ემიგრაციისა მუშებად არიან მოწყობილნი საფრანგეთის სხვადასხვა ქარხანა - ფაბრიკებში. ეკონომიური კრიზისის გამო ბევრი ქარხანა კვეცავს თავის საწარმოო პროგრამას და სამუშაოდან ხსნის მუშებს. უმუშევრების რიცხვი მრავლდება. ადგილობრივი მუშები მოითხოვენ, რომ პირველ რიგში მათ მიეცეს სამუშაო და არა უცხოელებს. მაგ., შოფერებმა განცხადება შეიტანეს, რომ უცხოელებს აეკრძალოთ მანქანაზე მუშაობა. ასეთი წინადადებით მიმართეს უცხოელ ექიმებისათვის პრაქტიკის აკრძალვის შესახებ საფრანგეთის ექიმებმა. ასე რომ, მოსალოდნელია ემიგრანტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაჰკარგოს თავისი შრომის გამოყენების საშუალება.

უმუშევრად დარჩენის მოლოდინი ემიგრანტულ მასაში კიდევ უფრო აძლიერებს სამშობლოში დაბრუნების სურვილს. ამ ახლო მომავალში უნდა ველოდეთ ემიგრანტთა ახალ-ახალი ჯგუფების დაბრუნებას.

აბრეშუმის პარკის დამზადება

ერთი კვირის განმავლობაში დავიარე დასავლეთ საქართველოს რაიონები, სადაც ამზადებს პარკს ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკის მიერ მოწყობილი თანხებით, და გავეცანი მუშაობის მსვლელობას 20 პუნქტში—ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

მეაბრეშუმეების მიერ პარკის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში თითქმის უკვე დამთავრდა. მიმდინარე წელს კლიმატიური პირობების და აბრეშუმის თესლის მოგვიანებით დარიგების გამო, პარკის მოსავალი დასავლეთ საქართველოში თითქმის ერთდროულად იქნა დაკრეფილი; დამამზადებელ პუნქტებს ერთბაშად მოაწყდა აუარებელი პარკი. პარკის მთელი რაოდენობა 80 ათას გლეხის ოჯახმა დამამზადებელ პუნქტებში რაღაც 6—7 დღის განმავლობაში ჩააბარა.

პარკის ასეთ მოულოდნელ და ერთდროულ მოზღვავების გამო, ზოგიერთ ადგილებში შეუძლებელი გახდა კამპანიის უმტკივნეულოდ ჩატარება. ზოგიერთ პუნქტებში ყოველდღიურად შემოსული პარკის რაოდენობა აღწევდა 2 ათას ფუთამდე. ასეთი რაოდენობის პარკის დათვალიერება, მისი ხარისხის გამორკვევა, აწონვა, გაფუჭებულ პარკის გადარჩევა, ორდერების გამოწერა, ფულის გადახდა—ყველაფერი ეს უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს მეაბრეშუმე გლეხების ასეთი მოზღვავების დროს. ამით აიხსნება ფულის გადახდის მცირეოდენი დაგვიანება ზოგიერთ ადგილებში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება „აბრეშუმმა“ შესძლო ყველა ამ სიძნელეთა გადალახვა.

სულ საზ. „აბრეშუმმა“ დღევანდლამდე დაამზადა 125.000 ფუთი ნედლი პარკი; მთიან ადგილებში ჯერ კიდევ მიდის დაგვიანებული პარკი, ასე რომ სულ დამზადებულ იქნება 127.000 ფუთი.

მთელს საქართველოში შეუცვლელად დაცული იყო ამიერ-კავკასიის მომწესრიგებელ ორგანოების მიერ პარკზე დაწესებული ფასები; გლეხები პირველი ხარისხის პარკში ღებულობდენ 22 მანეთს და მეორე ხარისხისაში 20 მანეთს ფუთში; პირველ ხარისხის პარკი დამზადებულია საერთო რაოდენობის 60 პროცენტი. პარკის ფასი გლეხებმა მთლიანად მიიღეს, ზოგიერთ რაიონების გამოკლებით, სადაც გლეხები ჯერ არ გამოცხადებულან ფულის მისაღებათ. ფას გაუსტუმრებელ პარკის საერთო რაოდენობა არ აღემატება 5.000 ფუთს, რასაც მოუწყდება 100.000 მანეთი. ეს ფული ადგილებზე უკვე გაგზავნილია.

პარკის თვისება კარგია, შარშანდელს სჯობს, მოსავალი შარშანდელზე 20 პროცენტით მეტია. საზ. „აბრეშუმი“ ქუთაისის და სამტრედიის პუნქტებში დამზადებას აწარმოებდა საკუთარი აპარატით, დანარჩენ ადგილებში მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებათა აპარატით.

უნდა აღინიშნოს ზედმიწევნით ენერგიული მუშაობა და პარკის დამზადების ოპერაციებში მონაწილეობის მიღება მზრუნველობით დამოკიდებულება ზოგიერთ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებათა მხრივ, რომელთაც დამზადება და გაშრობა მშვენივრად ჩაატარეს. მაგალითისათვის დავასახელებთ გუბის, ხონის, ბანძის, საჯავახოს და ჯიხაისის სამომხმარებლო საზოგადოებებს; არის სამომხმარებლო საზოგადოებები, რომელთაც ვერ შესძლეს დამაკმაყოფილებლად დაესრულებინათ საქმე. ასეთია მარტვილის და ღარღლის სამომხმარებლო საზოგადოებები. პარკის გამოშრობა და მისი თვისების გაუმჯობესება განსაკუთრებით გაადვილდა იქ, სადაც მოწყობილი იყო მექანიკური საშრობი—ხონში და სამტრედიაში.

გლეხებთან საუბრის დროს მე არც ერთხელ არ გამიგონია უკმაყოფილება და ნაკლებ მოსავალს ზოგიერთ საგლეხო მეურნეობაში ხსნიან ან ცუდი მოვლით, **ან ცუდი თესლით, მაგრამ მე გამაკვირვა ზოგიერთ გლეხ-ქალების განცხადებამ იმის შესახებ, რომ მათ აძლევდენ დაავადმყოფებულ აბრეშუმის კოლოფებში ლურჯი ბანდეროლით.** მე ვნახე რამოდენიმე ასეთი კოლოფი, რომელზედაც დაკრული იყო თბილისის აბრეშუმის სადგურის ლურჯი ბანდეროლი—წარწერით—„სამრეწველო-უმნიშვნელო მებრინით“. კოლოფებზე, რომელშიაც არის ჯანმრთელი თესლი, გადაკრულია თეთრი ბანდეროლი წარწერით—„უმებრინოთ“.

სრულებით გაუგებარია—როგორ შეუძლია აბრეშუმის სადგურს, რომლის მოვალეობაა სასტიკი კონტროლის გაწევა აბრეშუმის თესლის მიწოდებაზე და ჯანმრთელი ჯიშის თესლის გამორკვევა, გამოუშვას დაავადებული აბრეშუმის თესლი, რომელიც ავრცელებს აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობას. თუ კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბრეშუმის თესლი მებრინით, მაშინ რაღა საჭიროა კონტროლი? აღმოჩნდა, რომ აბრეშუმის სადგურის კონტროლის ქვეშ გატარებულ 110.000 კოლოფ აბრეშუმის თესლიდან, დაავადებული გამოშვებული იქნა 7—8 პროცენტი, მაგრამ აბრეშუმის თესლის გაცოცხლების პროცესში ეს, პირველი შეხედვით, უმნიშვნელო პროცენტი ჯანმრთელ აბრეშუმის ჭიებსაც აფუჭებს. თურმე გლეხები გადაჭრით უარს ამბობენ „ლურჯი ბანდეროლის“ მიღებაზე, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში, „თეთრის“ უქონლობის გამო, იძულებული იყვნენ აეღოთ „ლურჯი“ იმ იმედით, რომ „შეიძლება რამე გამოვიდესო“.

ზოგიერთმა, უფრო მოსაზრებულმა სამომხმარებლო საზოგადოებებმა, რომლებიც არიგებდენ აბრეშუმის თესლს, თვით მოახერხეს ასეთი თესლის მოსპობა, რომ ის გლეხების ხელში არ გადასულიყო. მათ განგებ სითბოს საშუალებით კოლოფებშივე გამოჩეკეს ჭიები, არ აძლევდენ მას საჭმელს და კოლოფებში ხოცავდენ. გამოცდილ მეაბრეშუმეების სიტყვით, ასეთი აბრეშუმის თესლი ან სრულებით იღუპება გაცოცხლების დროს, ან უმნიშვნელო მოსავალს იძლევა. ასეთი თესლის დარიგება, როგორც ჩანს ყოველ წელს ხდება არა ნაკლებ 10 პროცენტისა. ეს დაუშვებელი მოვლენაა და მომავალ წელს ის აუცილებლათ უნდა მოისპოს.

საერთოდ ადგილობრივ აბრეშუმის თესლით, „მწვანე ბანდეროლის“ და ზოგიერთ კერძო დაწესებულებათა თესლის გამოკლებით—მოსახლეობა კმაყოფილია ერთ კოლოფ ადგილობრივ თესლზე 20 გირვანქიდან 4 ფუთამდე აღწევს. მეაბრეშუმეები განსაკუთრებით კმაყოფილი არიან ფაბრიკა „ჩიჩუ“-თი. ეს ფაბრიკა საზ. „აბრეშუმმა“ შეიძინა მიმდინარე წელს. მომავალ წელში ხსენებული ფაბრიკა დაამზადებს 100.000 კოლოფ აბრეშუმის თესლს.

ადგილობრივ მოსახლეობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის სახვევ ფაბრიკების აგებას, რომელთა შორის ხონის ფაბრიკა დიდი ხანია მუშაობს და ორშაბათიდან განზრახულია მეორე ცვლის მუშაობის შემოღება. აღნიშნულ ფაბრიკებში იმუშავებს 600 მუშა და მუშა ქალი. არა ნაკლებ მუშა ხელს მოითხოვს აგრეთვე პარკის დამზადება, გახმობა, დახარისხება და გადაგზავნა. წარსულ წელს პარკის დამზადების ოპერაციას მოუნდა 450.000 სამუშაო დღე; ეს რომ გადავიტანოთ წლიურ პერიოდზე, მივიღებთ 1500 მუდმივ მუშა ხელს მთელი წლის განმავლობაში; მიმდინარე წელს სამუშაო დღეების რიცხვი გაცილებით უფრო დიდი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ საზ. „აბრეშუმმა“ მიმდინარე წელს სავსებით ჩააბარა გამოცდა თავის სამეურნეო მუშაობაში; საქართველოში კერძო ხელში არ გადასულა არც ერთი გირვანქა პარკი და მოსავალის 100 პროცენტის მთლიანად დამზადება ჩაატარა საზ. „აბრეშუმმა“.

საჭიროა, რათა მომავალში კიდევ უფრო განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ეს ძლიერი დარგი, რომელიც დიდ როლს თამაშობს გლეხის ბიუჯეტში. უნდა გაუმჯობესებული იქნეს აბრეშუმის თესლის ხარისხი, გაძლიერებულ იქნეს მუშაობა, რომელიც ჯერჯერობით არ სწარმოებდა, ან ძლიერ მოისუსტებდა. გაფართოებულ უნდა იქნეს მიმდინარე პუნქტებში და პარკის გახმობის მექანიზაცია. საჭიროა აგრეთვე დამთავრებულ იქნეს საზ. „აბრეშუმის“ ორგანიზაციული ჩამოყალიბება.

საერთოდ, გადაჭრით შეიძლება ითქვას. რომ მეაბრეშუმეობას საქართველოში ბრწყინვალე მომავალი აქვს.

კ. ჩხენკელი.

სოფლის მეურნეობის საკითხები

როგორი ღვინოები უნდა დავამზადოთ

საქართველო მევენახეობის ქვეყანაა; აუარებელი გლეხობა ცხოვრობს ჩვენში ღვინის შემოსავლით. კახეთში, შორაპნის და ქუთაისის მაზრებში და ზოგან სხვა რაიონებში თუ გლეხობამ ღვინო ვერ გაყიდა, ულუკმა-პუროთ დარჩება. არ კმარა მოსავალის მიღება, საჭიროა მისი რიგიანათ გასაღება. ნაწარმოების გასაღების საქმეში თავი და თავი ბაზრის ალღოს აღებაა. ბაზარს უნდა ვიცნობდეთ და რასაც მოითხოვს ის უნდა მივაწოდოთ.

ღვინო ბევრნაირი კეთდება და ბაზარი სხვა და სხვა ნაირ ღვინოს მოითხოვს. ღვინო არის სუფრის, მაგარი, ტკბილი, შამპანიური და სხვა ტიპის;

საზოგადოთ ჩრდილოეთის ქვეყნების მცხოვრებთ უფრო მოსწონთ მაგარი და ტკბილი ტიპის ღვინოები, სამხრეთ ქვეყნებში კი მეტი გასავალი აქვთ სუფრის ტიპის ღვინოებს; ამიტომ არის რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში ყოველთვის მეტი გადის პორტვეინები და სხვა მაგარი და ტკბილი ტიპის ღვინოები.

ჩვენ ღვინოებს ფართო ბაზარი აქვს საბჭოთა რუსეთში. საბჭოთა რუსეთის უდიდესი ნაწილი უფრო მაგარსა და ტკბილი ტიპის ღვინოებს ხარჯავს; რუსეთს ბევრი დასჭირდება სუფრის ტიპის ღვინოები—სახელდობრ სომხეთის რაიონებში.

ჩვენში უმთავრესად სუფრის ღვინოები მზადდება; კახური წითელი და თეთრი ღვინოები განთქმული არა მარტო მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც; ჩვენი სუფრის ღვინოები მაღალი ღირსებით უწევენ მეტოქეობას მსოფლიოში ცნობილ საუკეთესო ღვინოებს; ჩვენ სუფრის ღვინოებს საბჭოთა კავშირში სხვა ღვინო იშვიათად შეედრება.

საქმე იმაშია, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის გავრცელებული მაგარი და ტკბილი ღვინოების კეთება. სახალხო მამულების ტრესტი მტკიცეთ იცავს სუფრის ღვინოების მაღალ ხარისხს. მაგრამ ტრესტს აქვს საშუალება დააყენოს აგრეთვე ღვინოები მაგარი და ტკბილი ტიპების.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ასეთი ღვინოებით ტრესტი კიდევ უფრო გაუფართოვებს ბაზარს ჩვენს ღვინოებს. აგრეთვე, ტრესტი გლეხობას მისცემს მაგალითს და ასწავლის მაგარი და ტკბილი ღვინოების წარმოებას.

ასე რომ სუფრის ღვინოების წარმოების გარდა, ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი სხვა ტიპის ღვინოების წარმოებასაც; ამას მოითხოვს ბაზარი და ბაზარს უნდა ავყვეთ. მარტო სუფრის ღვინოების წარმოება ჩვენს მევენახეობას და მეღვინეობას ვერ განავითარებს. რუსეთის ბაზარი მოითხოვს სხვადასხვა ტიპის ღვინოებს, მათ შორის უმეტესად მოითხოვს მაგარსა და ტკბილს.

ჩვენ უნდა გავიდეთ ბაზარზე მაგარი და ტკბილი ღვინოებით; ეს მით უფრო საჭიროა, რომ როგორც ზევით მოგახსენეთ, ბუნებრივი პირობები ამგვარ წარმოებას ხელს უწყობენ. ამ მხრივ შეგვიძლია გაბედულის ნაბიჯით წავიდეთ წინ: ზოგ სახალხო მამულებში უკვე სცადეს მაგარი და ტკბილი ტიპის ღვინოების დაყენება და საუცხოვო შედეგი მიიღეს. უცხოელი და ადგილობრივი მეღვინე სპეციალისტები ღვინოების დაგემოვნების შემდეგ ადასტურებენ, რომ ჩვენში მაგარი და ტკბილი ღვინოების უმაღლესი ხარისხის დგება.

კ. ბერეჟაშვილი

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ამხ. კახიანის წერილში „ქართული ემიგრაციის დაშლა“ გაპარულა შემდეგი კორექტურული შეცდომა. სწერია:

„წერეთელი მოითხოვს პარტიისაგან შეცვლას ასეთ არადემოკრატიულ სისტემის, როცა თვით საზღვარგარეთელ ბიუროს წევრებისაგანაც კი მალავენ ბევრ რამეს. ამის დასამტკიცებლათ წერეთელს მოჰყავს ეროვნულ-დემოკრატებთან შეთანხმების ფაქტი: „**საზღვარგარეთელ ბიუროს უმრავლესობამ** (ე. ი. ფაქტიურად ჟორდანიამ და რამიშვილმა) უარყო ჩვენი წინადადება,—ამბობს წერეთელი—რათა ახალი შეთანხმების პროექტი ძალაში შესვლამდე განსახილველად გადაეგზავნა საქართველოში პარტიისათვის. **ეს ხომ ტეხნიკური კონსპირაციის საკითხია.** და თუ ასეთ საკითხების ირგვლივ არ ამუშავდება პარტიის აზრი, მაშინ რაში უნდა გამოიხატოს პარტიის თვითმოქმედება“,—ამბობს დასასრულ წერეთელი“.

ხაზგასმულ სიტყვების მაგიერ უნდა იყოს: „ეს ხომ ტეხნიკური კონსპირაციის საკითხი **არ არის**“ და სხვა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ზაფლანგვისთვის

ქუთაისი, 17 ივლისი. აღძრულია საქმე, კომუნალურ ბანკის ფოთის განყოფილების მოლარის ა. გვანცელაძის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალდება გაფლანგვა და თანამდებობის ასრულების დროს დანაშაული. აგრეთვე ლენტეხის მაზრის კომუნალურ განყოფილების გამგის დობმაიას წინააღმდეგ, რომელსაც 800 მანეთის გაფლანგვა ბრალდება და უფლების გადამეტება, რომელიც არაკანონიერ დაპატიმრებაში გამოიხატა.

ინჟინერ ბლისენბახის საქმე

ქუთაისი, 17 ივლისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს საკასაციო ინსტანციაში გაირჩა საქმე ინჟინერ ბლისენბახის, რომელსაც ჭიათურის სახალხო სასამართლოს მიერ, შრომის კანონის დარღვევისთვის, მისჯილი ჰქონდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. საოლქო სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ ბლისენბახის მოქმედებაში ვერ აღმოაჩინა დანაშაულის ნიშნები, რომელიც სისხლის სამართლის კანონით ისჯებოდეს და ჭიათურის სახალხო სასამართლოს განაჩენი გააუქმა, ხოლო საქმე მოსპო.

ქუთაისი 17 ივლისი. ქუთაისში და მაზრაში მძვინვარებს ძლიერი დიზენტერია. განსაკუთრებით ბავშვებში. მიზეზია—დაუმუშავებელი ხილი და გადაუდუღებელი წყალი.

ტრანსპორტი

ახალ-სენაკი, 17 ივლისი. საბოლოოთ მოეწყო სისტემატიური საავტომობილო მიმოსვლა ახალ-სენაკსა და მარტვილს შორის (30 ვერსი). ნაქალაქევს და დიდ-ჭყონს შორის (24 ვერსი) სწორდება დილიჟანსის მიმოსვლა. უკანასკნელ პუნქტებს შორის დღეში მიმოსვლა სწარმოებს ქვეითად და ცხენის საშუალებით.

აფხაზეთი

ციმბირის ჭირის წინააღმდეგ

სოხუმი, 17 ივლისი. აჭარის რაიონში ციმბირის ჭირის ეპიდემია მძვინვარებს. სოფელ ზედა-შაშში, სადაც ციმბირის ჭირმა 5 სული საქონელი მოკლა, გაკეთებულ იქნა ჭირის საწინააღმდეგო აცრა 125 ცხოველზე.

საავადმყოფოს აშენება

სოხუმი, 17 ივლისი. გალის მაზრის ს. ოტობაიაში, წითელი ჯვრის საზოგადოების ინიციატივით შენდება საავადმყოფო. სრულიად უსასყიდლოთ და ნებისყოფით მუშაობს 270 კაცი.

პარტიის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 17 ივლისი. გაიხსნა პარტიის სამაზრო და ქალაქის კომიტეტების პლენუმი.

აჭარისტანი

ბამბის ექსპორტი

ბათომი, 17 ივლისი. „ექსპორტ ხლების" საექსპორტო გეგმის მიხედვით, ამ სამ თვეში ბათომში დაგროვებული იქნება 3000 ტონი ბამბა უცხოეთში (გერმანიაში) გასაგზავნათ. ამას გარდა გაზიდულ იქნება 2000 ტონი ბამბის თესლი.

ივლისის ბოლო რიცხვებში მოელიან გემს, რომელიც „ექსპორტ ხლების" ფოთის საწყობებიდან ინგლისში წაიღებს 4000 ტონ ბამბის თესლს.

საქსოვი სავაჭრო განყოფილება

ბათომი, 17 ივლისი. „კომეოლმსიტის" ბათომის განყოფილება გადაკეთდა საქსოვ-სავაჭრო განყოფილებათ, რომელმაც 13 ივლისს გახსნა საცალო და წვრილ საბითუმო ვაჭრობის ოპერაციები სხვადასხვა ბამბის და მატყლის ქსოვილებზე. საქსოვ სინდიკატის ბათუმის განყოფილებიდან საქსოვ-სავაჭრო საზოგადოებამ მიიღო ბამბის და ტილოს ქსოვილების დიდი პარტია. საცალო ფასები საკოოპერაციოზე დაბალია.

გლეხის მეურნეობათა გამოკვლევა

ბათომი, 17 ივლისი. აჭარისტანის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მთელ აჭარისტანში შეუდგა გლეხის მეურნეობათა ათ პროცენტიან გამოკვლევას. გამოკვლევა შეეხება გლეხის მეურნეობის ყოველ მხარეს და 2-3 კვირას გაგრძელდება.

ქიმიურ ქარხნების პროდუქცია

ბათომი, 17 ივლისი. წლის დასაწყისიდან 1 ივლისამდე აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის ქიმიურმა ქარხანამ გაყიდა 86.510 მანეთის სხვადასხვაგვარი საღებავები. საღებავების გაყიდვისგან მიღებული წმინდა მოგება 29.000 მან. უდრის.

ახალი სანავთსადგურო საწყობი

ბათომი, 17 ივლისი. ნავთსადგურის სამმართველო შეუდგა ახალ საწყობის აგებას, რომელშიაც საქციო საზოგადოება „ტრანსპორტის" სატრანზიტო საქონელს შეინახავს.

საწყობის აგება დამთავრდება აგვისტოსთვის და დაჯდება 13.000 მანეთი.

მონადირეთა კავშირში

ბათომი, 17 ივლისი. აჭარისტანის მონადირეთა და მეთევზეთა კავშირში, მისი რეორგანიზაციის გამო, წევრთა ხელმეორე რეგისტრაცია ხდება.

15 ივლისიდან ნება-დართულია მთელ აჭარისტანში ნადირობის დაწყება.

წერილები

„მეორეთ მოსვლის მოლოდინში"

პავლე აკობია საკმაოთ ცნობილი პიროვნებაა. ცნობილია ის უმთავრესად თავის გრძელი... თმით და „ფილოსოფიური აზროვნებით. მას უფრო აინტერესებს სულისა და სარწმუნოების საკითხები. ამბობენ, რომ ამ საკითხზე მას ბროშიურაც კი ჰქონია დაწერილი, რომელიც რამოდენიმე ტომათ გამოუცია.

გარდა ამისა, აკობია საკმაოთ ცნობილი „მოქადაგე"-ც არის. ასე მაგალითად როდესაც აქ შარშან მიტროპოლიტი ვვედენსკი ირმების საშუალებით ამტკიცებდა ღმერთის არსებობას, აკობია გამოვიდა აუდიტორიის წინაშე და თავის გენიალობით ყველა გააკვირვა: მან განაცხადა, რომ ღვთის არსებობის გამოსარკვევად, სრულებით არ არის საჭირო ასეთი დიდი ცხოველის შეწუხება. მას თურმე ამის დასამტკიცებლად თავისი ორიგინალური საშუალება ჰქონია. სამწუხაროდ არ დააცალეს აეხსნა ამ საშუალების შინაარსი, თორემ უეჭველია ბევრი მერყევი ადამიანისათვის გახდებოდა ნათელი ეგზომ რთული და დაბნეული საკითხი. რა უყოთ, ალბათ სხვა უფრო მოცლილ, დროს გვეტყვის ხოლმე ის ამ ამბავს.

ამჟამად აკობია ზუგდიდში იმყოფება და კაცობრიობის სულის ცხონებაზე ზრუნავს.

სჩანს, ამ „ფილოსოფოს"-ს საიქიოდან სარწმუნო ცნობები მიუღია (საიქიოს დელეგატი უნდა იყოს საქართველოს მორწმუნეების მიერ საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული) რადგან მისი ბაგენი ამტკიცებდნენ და მეორეთ მოსვლას აუწყებენ კაცობრიობას.

რასაკვირველია, რაკი მეორეთ მოსვლა მოახლოვდა, საჭიროა სულის ცხონებაზე ზრუნვაც. აკობია გულმოდგინეთ მოუწოდებს ყველას აქეთკენ. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს ის ბებრებს შორის, თუმცა უნდა ითქვას სიმართლე, ახალგაზრდებშიაც საკმაოთ ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას. მასიური მუშაობის მეთოდები მას ზედ მიწევნით კარგათ აქვს შეთვისებული.

ქუჩაში ხშირათ ნახავთ მოქადაგეს ცხონებისა და წარწყმედის საკითხებზე. აკობია, ამასთანავე ერთად მოუწოდებს ყველას დაეწაფონ სახარებას (ის მღვდლების წინააღმდეგია), მაგრამ საყვედურები ესმის, რომ სახარება გაუგებარია.

ამის გამო მას უკისრია სახარების მდაბიო ენაზე შედგენა.

ზუგდიდის მორწმუნე საზოგადოება მწუხარებით აუწყებს კაცობრიობას, რომ მოსალოდნელია მეორეთ მოსვლამდის პავლე აკობიამ ვერ დაამთავროს სახარების ახლად შედგენა და ამიტომ ვისაც სურვილი აქვს შეუძლია თავისებურათ განმარტოს და მდაბიურათ გადააკეთოს ის, რათა საიქიოს მკვიდრი ადგილი მოიპოვოს სასუფეველსა შინა.

გვთხოვენ აგრეთვე, რომ ამ „მოხუცს" მიუჩინონ მყუდრო ბინა კაცობრიობისათვის ეგზომ „სასარგებლო" საქმის „დასასრულებლათ".

მან.

კოოპერაცია ზ-სვანეთში

ზ-სვანეთში კოოპერაციის დიდი მომავალი აქვს. აქ დღემდე არ ყოფილა და არც ახლა არსებობს არავითარი კერძო სავაჭრო დაწესებულება, რომელთანაც კოოპერატივისთვის საჭირო იყვეს ბრძოლა. ხალხი კოოპერატიულ დაწესებულებათ დაარსებას და გაფართოებას დიდი თანაგრძნობით ხვდება. ბევრი სვანი მზათ არის შეიტანოს ორი საპაიო და საწევრო გადასახადი ოღონდ კი მის სოფელში კი არა, თემში მაინც მოეწყოს კოოპერატივი. ამას უკარნახებს მისი ცხოვრების ობიექტიური პირობები.

მიუხედავად ამისა, კოოპერაციის საქმე დღემდე უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებული: ზ-სვანეთის სამაზრო ცენტრში—მესტიაში არსებობს მხოლოდ ერთი კოოპერატივი, ერთი კოოპერატიული განყოფილება ადგილობრივ მასწავლებელ ალი დავითიანის მეთაურობით იქნა მოწყობილი ლახამულის თემში და ერთი განყოფილების მოწყობა აქვთ განზრახული ან ეცერის ან ბეჩოს თემში. დანარჩენი 12 თემი უყურადღებოთაა დატოვებული მოწყობილ კოოპერატივებშიც ვერაა საქმე კარგად დაყენებული; მესტიის კოოპერატივს საქონელი (სავაჭრო) მიაქვს ზუგდიდიდან, ლახამულის გზით მესტიაში და ვერ მოუხერხებია ლახამულას გზამდე დაუტოვოს მისი ხვედრი საქონელი—ეხლა კი საქონელი ჯერ მესტიაში მოაქვთ, ხოლო შემდეგ აბრუნებენ ლახამულაში 35 ვერსის მანძილიდან. ეს გარემოება ზედმეტ საგზაო ხარჯებს იწვევს ლახამულის კოოპერატივისთვის (დაახლოებით ფუთზე 3 მანეთს), რაიც ცხადია საქონელს ზედმეტად აძვირებს. ამ გარემოების გამო კოოპერატივის ავტორიტეტი გლეხობის [illegible] ამართლებს თავის დანიშნულებას: ხშირად ხდება ახლათ მოტანილ საქონლის შეფასება გამგეობის დაუსწრებლათ. ფასები საგნებზე ხშირად მატულობს. იანვარში შაქრის ფხვნილი გირვანქა ღირდა 45 კაპ., მაისში მოტანილი ფხვნილი 50 კაპ. გახადეს; ნავთი ღირდა გირვანქა 20 კაპ., მაისში კი 25 კაპ. გახდა. შეკითხვაზე, თუ რატომ გაიზარდა ფასები, პასუხი ასეთი იყო: საქონლით დატვირთული ჯორი დაიღუპა ხევში და ეს ზარალი მივაწერეთ დარჩენილ საქონელსო. სვანი კი ფიქრობს; ალბათ ჩვენი ფულის კურსი ბონებივით ეცემა და ამიტომ გაძვირდა კოოპერატივში საგნებიო.

მესტიის კოოპერატივში სავაჭრო ბრუნვა ძალიან სუსტია წ. წ. სექტემბრიდან ივნისის გასულამდე მხოლოდ სამჯერ იქნა მოტანილი საქონელი, ხშირად თვეობით ცარიელია კოოპერატივი, მიუხედავად ამისა მას ყავს მესტიაში თანამშრომელი, რომელთა თვიური ხელფასი 500 მანეთს აღწევს თუ ამას მივუმატებთ საქონლისათვის გაგზავნილ პირის დღიურ ხარჯებს, (ეს პირი რჩება ქალაქში არა ნაკლებ ორი-სამი თვისა) მაშინ ცხადია მოხდება ის, რომ კოოპერატივში საქონელი იაფად ვეღარ გაიყიდება.

საჭიროა ამ ნორჩ, ახალგაზრდა კოოპერატიულ საქმიანობას სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, გაუწიონ ხელმძღვანელობა და დახმარება მის გაფართოებისა და სათანადო დონეზედ დაყენების მიზნით.

შ. გუტიკაშვილი.

ხელს ნუ გვიშლით

(პატრიკეთის თემი, ქუთ. მაზრა)

გასაბჭოებამდე და გასაბჭოების პირველ ხანებშიც პატრიკეთის თემი სავალალო მდგომარეობაში იყო, თითქმის ყოველმხრივ დაქვეითებული. გლეხობის როგორც გონებრივ, ისე ქონებრივ ამაღლებაზე არავინ არ ზრუნავდა. ეხლა კი ის ისეა გადახალისებული, რომ ვერც კი იცნობთ ძველსა და ახალ პატრიკეთს.

წინედ აქ არ იყო ექიმი; დღეს კი არა თუ ექიმი, საავადმყოფოც კი აქვს თავისი, რომლის შენობასაც დაასრულებენ სულ მოკლე ხანში, და აფთიაქიც, რომელიც მთელი მოწყობილობით შეიძინა თემმა 1.700 მანეთად. ის ადგილი, მანდორ-ველი, სადაც წინად აშმორებული ტბა იდგა და რომელიც გაყრუებული იყო ბაყაყების ყიყინითა და კოღოების წუილით, დღეს დაქსელილია არხებით, რომლებიც რწყავენ გლეხობის ყანებს და ამუშავებენ კოოპერატიულ წისქვილებს, რიცხვით ექვსამდე. თითქმის ერთი ორად გაიზარდა, როგორც სასწავლებლების, ისე მასწავლებლებისა და მოწაფეთა რიცხვი. მართალია ხელმოკლეობის გამო ვერ მოხერხდა ახალი შენობების აგება, მაგრამ დღეს-დღეობით თემი ოოლად მიდის, ამით სწავლების საქმე არ ფერხდება; გაჭირვებაში ეკლესიაც გამოდგა—შიგ განზრახულია შვიდწლედის გახსნა. თემში არის ხუთი კოოპერატივი, რომელიც აწვდის გლეხობას პირველ მოთხოვნილების საგნებს. შენდება ცალკე შენობა სამკითხველოსთვის. წინედ მიმდინარეობდა გზების შეკეთება, მაგრამ დღეს ის რატომღაც შეჩერებულია. ამ ძარღვ საქმეში ძალიან გვიშლიან ხელს ზოგიერთი გათამამებული არა მკითხე პიროვნებები, რომლებიც ცდილობენ საერთო საქმიანობის ჩაფუშვას და გლეხობისა და ხელისუფლების ერთი მეორეზე გადაკიდებას. კარგი იქნებოდა ამ ლაქლაქა და არაქმიან პირებს ასწავლიდეს ჭკუას, ვისგანაც ეს საჭიროა.

ხელს ნუ გვიშლით!

ბეს—ბერ.

მუშებს ატყუილებენ

(ჩხოროწყუ, ზუგდიდის მაზრა)

დ. ჩხოროწყუში აბრეშუმის მიღების ოპერ. უკვე დამთავრდა ხოლო ფული კი ჯერაც არ არის დარიგებული. იმ თავითვე დაარიგეს 500 მანეთამდე. შემდეგ გლეხები ყოველდღე, დადიან ფულისთვის მაგრამ ვერაფერს ღირსებ. „ეპო"-ს გამგეობა მათ დღე-ხვალიობით ისტუმრებს. ამ გარემოებით გლეხობა მეტად უკმაყოფილოა. საქმეს უფრო ის ამწვავებს, რომ ხმებია გავრცელებული, თითქოს „ეპო"-ს გამგეობამ, მათ აბრეშუმის ფული, სხვა დანიშნულ.-თვის მოახმარიო. აღსანიშნავია ისიც რომ ფარდულში, პარკის დამზადების დროს, დიდი უწესრიგობა სუფევს. ფარდულის გამგე მეტად ახირებული კაცი გამოდგა. ის ყოველდღე ასობით იბარებს სამუშაოდ გლეხქალებს, მათგან გამოარჩევს ოციოდე პირს და დანარჩენებს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ცივად ისტუმრებს ფარდულიდან. საერთოდ მუშების არჩევაში ნათელ-მირონობას დიდი გასავალი აქვს. საჭიროა „აბრეშუმმა" და სხვა ორგანოებმა მიაქციონ ამას ჯეროვანი ყურადღება.

დელეგატი.

სეტყვა ლეჩხუმის მაზრაში

6 ივლისს, ლეჩხუმის მაზრაში, და, კერძოდ ცაგერის რაიონში, მოვიდა ძლიერი სეტყვა. სეტყვამ გაანადგურა ჩხუტელის ქალაზე დათესილ - გათოხნილი სიმინდი და ვენახებსაც დიდი ზიანი მიაყენა. მიღებულ ცნობების მიხედვით, სეტყვისაგან ზარალი ქვემო-სვანეთის ზოგიერთ სოფლებშიაც დიდია. გლეხ ფურცელიანის სარჩო-საბადებელი ნიაღვარმა წაღეკა. დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ და ნიაღვარმა სხვა გლეხებსაც.

ადგილობრივმა ხესისუფლებამ დაავალა საადგ.-მამულო განყოფილებას აგრონომთან ერთად გამოარკვიოს სეტყვის მიერ გამოწვეულ ზარალის რაოდენობა. ცხადია, ჩვენი მხრის აღმასკომი თავისი მცირე ბიუჯეტის მიხედვით ვერ შესძლებს დაზარალებულ გლეხთა დაკმაყოფილებას, თუ ცენტრმა არ გაიღო თავისი წვლილი. საჭიროა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულ გლეხებს.

პ. ფრუიძე.

საქმეს დამთავრება არ ეღირსა

ხოფ. ლია, (ზუგდიდის მაზრა)

მიმდინარე წლის 24 იანვარს, საღ. 5 საათზე ლიის 7 წლედის მასწავლებელს ბაგრატ ბერიშვილს, როცა ის სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, გზაში დაუხვდა შეზარხოშებული ქ. სამუშია, ეცა დანით და მოკვლას უპირებდა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მხოლოდ მძიმედ დასჭრა ბერიშვილი მარცხენა ხელში, რამაც ხელის კიდურის ატროფია გამოიწვია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამნაშავეს დაპატიმრება ვერ შეჰკადრა.

ამის შესახებ საქმე სწარმოებს, მაგრამ მას ბოლო არ უჩანს. ასეთი საქციელი დაუშვებელია.

ერთი დანგრეულია, ეხლა მეორე უნდა დაანგრიონ

(გურია, ზემოხეთის თემი)

ზემოხეთის თემში არის შვიდწლიანი შრომის სკოლა, რომელიც არის აგებული ხის მასალისაგან. სკოლას აქვს საკმარისი პარტები და ოთახების რაოდენობაც საკმაო. ამავე თემის ერთ უბანში, სახელდობრ: „თხილაგანში" არის ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომელიც უპატრონობის გამო ლპება, მას არ აქვს სახურავი, იატაკი ერთობ დაზიანებულია და მოსალოდნელია რაიმე მარცხი, ძირიდან იატაკი სავსებით დამპალია.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამავე უბანში არის დაწყებული 1912 წლიდან ქვის-შენობა სასწავლებლისათვის, რომელსაც თითქმის ნახევრამდის აქვს კედლები ამოყვანილი. ეს შენობა ამ დრომდე დამთავრებული ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომელიც უნდა ყოფილიყო, რომ საქმეს ხელს არ უშლიდეს ამავე თემში შემავალი კვირიკესა და ზემოხეთის უბნები. ისინი იმის მაგიერ, რომ დაამთავრონ ეს შენობა, აპირებენ შვიდწლედის შენობის გადიდებასა და მეორე სართულის დადგმას. მათი გეგმით შვიდწლედის შენობა უნდა დაინგრეს და შემდეგ ისევ უნდა აშენდეს თემის ხარჯზე.

ამრიგათ, ერთ დანგრეულ შენობას მეორეც უნდა მიემატოს. საჭიროა ზომების მიღება იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს.

გლეხიშვილი.

ჩვენი კედლის გაზეთის წლის თავი

27 ივნისს ჩვენი კედლის გაზეთის „თემის მოამბის" წლის თავი აღსანიშნავად, საგარეჯოს თეატრის შენობაში შესდგა საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა თემკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. იმნაშვილმა, რომელმაც მოკლეთ დაახასიათა გაზეთის მნიშვნელობა. მისასალმებელი სიტყვებით გამოსულმა ამხანაგების მთელმა რიგმა, აღნიშნულ გაზეთის დამსახურება ერთი წლის მუშაობის განმავლობაში. საპასუხო სიტყვაში ამხ. გ. გარსიაშვილმა, დამწვრეთ გააცნო ჩვენი კედლის გაზეთის მუშაობა. მან აღნიშნა რა პირობებში გამოვიდა გაზეთი, რა დაბრკოლება ელობებოდა წინ მუშაობის როგორი გეგმა აქვს დასახული სარევიზიო კომისიას მომავლისთვის. შემდეგ წაკითხულ იქნა „კომუნისტი"-ს 145 ნომერში მოთავსებული წერილი ჩვენი გაზეთის შესახებ.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ დადგმულ იქნა ალ. ბურთიკაშვილის ხელმძღვანელობით პიესა „ნიღაბ ქვეშ". რომლის შემოსავალიც ჩვენი კედლის გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად გადაიდო. ფული შემოსწირეს აგრეთვე სხვადასხვა ამხანაგებმაც.

უსურვებ ჩვენი კედლის გაზეთის ხელმძღვანელებს და ყველა კორესპონდენტებს მომავლისთვის ენერგიულ მუშაობას.

გურგენიძე.

მოსავალი კარგი იქნება

(ზუგდიდის მაზრა)

გაზაფხულიდან მეტად ხელსაყრელი ამინდები დაიჭირა, რის გამო ყანები ადრე დაითესა. არ არის ხშირი წვიმები და არც ხანგრძლივი გვალვები, რაც ხელს უწყობს როგორც სიმინდს, ისე აბრეშუმის ჭიასაც.

ს. ც—ი.

გამოხმაურება

— მართალი არ არის. „კომუნისტი"-ს 13 ივნისის ნომერში მოთავსებულია წერილი რომელიც ეხება წავკის თემ - აღმასკომში გამოკიდებული რუსულ ენაზე კედლის გაზეთს და ასკვნის რომ: „გაზეთში მოთავსებული წერილებიც ვერ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას".

წერილის ავტორი, როგორც სჩანს კედლის გაზეთს კარგად ვერ დაკვირვებია თორემ დაინახავდა, რომ ეს გაზეთი გამოგზავნილია ქ. მოსკოვიდან ამხ. რადიჩევის სახელობის სკოლის ახ. კომკავშირის უჯრედის მიერ, რომელთანაც ჩვენ თემ-აღმასკომს კავშირი და მიწერ-მოწერა აქვს. რაც შეეხება აღმასკომის „გაჯერანებულ" ბაღს უნდა განვაცხადო, რომ ეს ბაღი თემ-აღმასკომმა ამ ხუთი თვის წინედ მიიღო გლეხკომიდან თითქმის ნახევრად გამხმარი ხეხილით. ბაღს წყალი არ უდგება, ხოლო ამჟამად თემ-აღმასკომს არა აქვს იმდენი ხარჯები, რომ შესძლოს გაპარტახებული ბაღის გამოკეთება.

გიორგი ქოროღლიშვილი.

წითელ ჯარში

სათადარიგო მეთაურთა სამო. სწავლო. შეკრება დასრულდა

მიმდინარე ზაფხულს საქართველოში მოხდა სათადარიგო მეთაურთა სამოსწავლო შეკრება. ტერიტორიალურ სისტემის დროს სათადარიგო მეთაურის სამხედრო მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სათადარიგო მეთაურების დიდი ნაწილი იმყოფება სამოქალაქო ორგანოებში, ისინი თითქმის ხრულიად მოწყვეტილნი არიან ყაზარმის ცხოვრებას; სამსახურის გამო არა აქვთ შეძლება ადევნონ თვალყური სამხედრო საქმეს და შეავსონ თავისი ცოდნა ახალი ცნობებით.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება უმაღლესმა სამხედრო ორგანოებმა და რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ზემოხსენებული მდგომარეობიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგები, სათადარიგო მეთაურთა ერთი ნაწილი გაწვეულ იქნა სამოსწავლო შეკრებაზე რომელიც გაგრძელდა ექვს კვირას.

შეკრებაზე გამოცხადდნენ ყველა მეთაურნი ვისაც კი გაწვევა ეხებოდა.

შეკრება ჩატარდა ქართული № დივიზიის დაბანაკების ადგილას.

მეთაურნი შეკრების დროს უზრუნველყოფილ იყვნენ ტანისამოსით, საწოლებით, ბინებით, სამეცადინო ნივთებით და სხვა მასალით.

შეკრებაზე განვლილ იქნა სპეციალურად შეკრებისათვის გამომუშავებული სამხედრო პროგრამა, მეთაურნი გაეცნენ წითელი ჯარის სტრუქტურას, ახალ წესდებებს და ყველა იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა წითელი ჯარის წყობაში ამ ბოლო დროს.

მეცადინეობა ატარებდა პრაქტიკულ ხასიათს, მეთაურნი საქმეზე ეცნობოდნენ ყოველივეს.

შეკრების ბოლო ხანებში ისინი მიმაგრებულ იქნენ მეცადინეობას საწარმოებლად ქართულ ჯარის ნაწილებზე, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ შეძენილი ცოდნა გამოეყენებინათ საქმეზე.

სამხედრო მეცადინეობის გარდა შეკრებაზე სწარმოებდა პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობაც. მეთაურნი გაეცნენ წითელ არმიელთა პოლიტიკურათ აღზრდის საქმეს და მათთან პოლიტმეცადინეობის წარმოებას.

შეკრების ადგილას მოეწყო სამაგალითო ლენინის კუთხე, სადაც დაგროვილი იყო პოლიტმეცადინეობისათვის საჭირო მასალა.

სათადარიგო მეთაურნი შეკრებაზე იჩენდნენ დიდ ხალისს და დაინტერესებულნი იყვნენ შეეძინათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მათ მხრივ გულგრილობას ადგილი არა ჰქონდა. შეკრების შედეგებიც დადებითია. პროგრამა სამხედრო და პოლიტდარგებში ამოწურულია სავსებით, შეთვისებაც კარგი იყო.

შეკრების დამთავრებისას მეთაურნი დაუბრუნდნენ თავის ჩვეულებრივ საქმიანობას. მათი ვალია, მეორე მორიგ შეკრებამდე, არ გასწყვეტონ კავშირი სამხედრო ორგანოებთან. ის ცოდნა, რომელიც მათ შეიძინეს შეკრებაზე, უნდა განამტკიცონ, ეს კი მიღებული იქნება მაშინ, როდესაც მათ ექნებათ კავშირი ყაზარმასთან.

ი. ხ—ი.

მორიგი მიწერა

25 ივლისიდან 25 აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე იწარმოებს 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების მიწერა სათანადო გასაწვევ წერტებზე.

მიწერის მიზანია 1906 წელში დაბადებულთა სწორი აღრიცხვა, რომ ყოველ სამაზრო სამხედრო კომისარიატს ჰქონდეს აღნუსხული უტყუარი რიცხვი ახალგაზრდების, რომელნიც შემდეგ გაიწვევიან ჯარის რიგებში სამხედრო სამსახურის გასავლელად. მიწერას აქვს წითელი ჯარისათვის დიდი მნიშვნელობა. როდესაც გამოკვლეულია გასაწვევ ახალგაზრდობის სწორი რაოდენობა, შეიძლება წინდაწინვე სათანადო მზადების რიგიანად ჩატარება, რაც უეჭველია გაადვილებს ჯარში გაწვევას, ნაწილების შევსებას, შეღავათების განაწილებას და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწერის დროს გამოჩნდება ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები: ზოგიერთ ადგილას არ არის სრულიად მეტრიკული წიგნები და ახალგაზრდების სიები; ამ შემთხვევაში გრძელდება წლოვანების გამოკვლევა; აგრეთვე ბევრი ახალგაზრდობა, რომლებსაც ეხებათ მიწერა, წასულია თავის დაბადების ადგილიდან სხვაგან სასწავლათ ან სამუშაოდ.

რათა მიწერამ ჩაიაროს მწყობრად და მივიღოთ კარგი შედეგები, საჭიროა, რომ აგილობრივმა ხელისუფლებამ აღმოუჩინოს სამხედრო კომისარიატებს და სამხედრო მაგიდებს ყოველგვარი დახმარება ცნობების მიცემით მისაწერ ახალგაზრდების წლოვანებაზე, მათ საცხოვრებელ ადგილებზე და სხვა.

აგრეთვე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა მოსახლეობაში წინდაწინვე წარმოებულ იქნას კომპანია მიწერის ირგვლივ, უნდა აეხსნას მოსახლეობას მიწერის მიზნები და მისი მნიშვნელობა, რათა ყოველ ახალგაზრდას ჰქონდეს სწორი წარმოდგენა მიწერაზე და იცნობდეს თავის მოვალეობას.

ი. ხ—ი.

წიგნი წითელ ყაზარმაში

წიგნის პროპაგანდას წითელ ყაზარმაში ექცევა უდიდესი ყურადღება. წითელი ყაზარმა სცდილობს შეაყვაროს წითელ არმიელს წიგნი; რომ იგი გადაიქცეს მისთვის აუცილებელ საგნათ როგორც ბრძოლის დროს, ისე ყანაში მუშაობისას.

ამისათვის მრავალი ხერხია გამოგონებული ნაწილის ბიბლიოთეკების მიერ.

ყაზარმის კედლებზედ მრავლად არის საბიბლიოთეკო ხასიათის პლაკატები, რომელნიც თავისი სილამაზით იპყრობენ წითელ არმიელთა ყურადღებას. თვით ბიბლიოთეკა არ არის რაიმე განცალკევებული დაწესებულება, იგი მჭიდრო კავშირშია ყაზარმასთან, მისი განუყოფელი ნაწილია.

თვეში ორჯერ-სამჯერ ლენინის კუთხეში და ნაწილის კლუბში იმართება სპეციალური „წიგნის საღამო", რომლის მიზანია დააინტერესოს წითელი არმიელი წიგნით, შეაყვაროს წიგნი.

ხშირად იმართება წიგნის მავნებლების საჩვენებელი გასამართლება.

ბიბლიოთეკა მაშინ შეასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას, თუ ეცოდინება მკითხველთა მასა, ეცოდინება ყოველ წითელ არმიელის განვითარების დონე; მაშინ ბიბლიოთეკას ექნება საშუალება შეურჩიოს ყოველ მკითხველს საჭირო წიგნი. მკითხველთა შესწავლა კარგათ არის დაყენებული ჩვენი ჯარის რიგებში.

ლენინის ყოველ კუთხეში შეხვდებით სპეციალურ რვეულს, სადაც მკითხველები დაყოფილნი არიან ჯგუფებათ. არის აქტივთა ჯგუფი, შემდეგ სუსტ-მკითხველთა ჯგუფი და სხვა.

ყაზარმაში არსებობს „წიგნის მეგობართა ჯგუფი". ამის მიზანია წიგნის პროპაგანდის გაწევა ამხანაგებ შორის. ჯგუფში სულ წითელარმიელები არიან.

არიან აგრეთვე წიგნების დამტარებლებიც. ესენი კარგათ იცნობენ როგორც მკითხველებს, აგრეთვე წიგნებს. კვირაში რამდენჯერმე ჩამოივლიან ყაზარმას, მივლენ არმიელთან და გამართავენ საუბარს ამა თუ იმ საკითხზე და როდესაც შეატყობენ, რომ არმიელი დაინტერესდა, აძლევენ განსაზღვრულ დროით წიგნს.

საინტერესოა „მკითხველთა აზრების ჩასაწერი წიგნი". ამ წიგნში შეხვდებით ჯერეთ სუსტი ხელით ჩაწერილ აზრს რაიმე წიგნის ირგვლივ. წითელი არმიელი აღნიშნავს რა მოეწონა წიგნში, რა შეიძინა წიგნის საშუალებით.

„მკითხველთა აზრების ჩასაწერი წიგნი" იძლევა მდიდარ მასალას წითელ არმიელთა შესასწავლათ.

ე. ხ.

სამხედრო წიგნები მოსახლეობისათვის

ქართულ ჯარის პოლიტგანყოფილებები შეუდგნენ პოპულიარულ სამხედრო წიგნების გამოცემას მოსახლეობისათვის.

წიგნებში გაშუქებული იქნება წითელი ჯარის ორგანიზაცია, ტერიტორიალური სისტემა, წვევამდე მზადება, შეღავათების საკითხი და სხვა.

—ზ.

ჩვენი საქმიანობა

(მე-2-ე ქართ. არტლეგიონი)

ჩვენ ლეგიონში ჩამოყალიბებულია რამოდენიმე კომუჯრედი. უჯრედის კრებები ხდება სისტემატიურად. ამხანაგები იჩენენ საკმაო აქტიობას და იღებენ მხურვალე მონაწილეობას ყოველივე საკითხის დამუშავებაში.

უჯრედებს სხდომების დღის წესრიგში, გარდა ზოგადი პარტიული ხასიათის საკითხებისა, ხშირად ისმება ადგილობრივი საკითხებიც, რომელნიც ეხებიან ნაწილის ცხოვრებას, მის უარყოფით და დადებით მხარეებს. ამ გზით პარტორგანიზაცია უწევს ხელმძღვანელობას მთელ ნაწილს და მისი საშუალებით მოგვარებულია მრავალი საკითხი.

უჯრედში შესწავლილია პარტიის ყრილობების და უკანასკნელ პლენუმის მუშაობა და რეზოლიუციები.

ლეგიონის მეორე კომუჯრედის უკანასკნელ სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება ცეკას პლენუმის დადგენილებების შესახებ, მოხსენების შემდეგ ყველა დამსწრე ამხანაგებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა კამათში, აზრთა გაცვლა-გამოცვლით და შეკითხვებით ყველასათვის ნათელი გახდა პლენუმის მუშაობა.

ამავე სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება ლენინის კუთხეების მუშაობაზე. ამხანაგები გაეცნენ ლენკუთხეებში წარმოებულ მუშაობას, ცვალებად წითელარმიელების საქმიანობას. გამოირკვა, რომ მუშაობას ლენინის კუთხეებში თან სდევს ზოგიერთი ნაკლი, რაზედაც კრებამ მიუთითა ლენკუთხეების გამგეებს და მისცა საჭირო დარიგებები.

კ—ძ.

ფიზკულტურა ჩვენთან

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სპორტსმენები გაცხოველებულნი ემზადებიან საარმიო ოლიმპიადისათვის.

დიდ ენერგიას იჩენენ ფეხბურთელები, რათა ოლიმპიადეზე არ შერცხვნენ.

საერთოდ სასპორტო საქმე ჩვენ ლეგიონში კარგათ არის დაყენებული. მხოლოდ უნდა ზომები იქნეს მიღებული, რათა სპორტში ჩაბმულ იქნეს წითელ არმიელთა უფრო ფართო მასა.

მე-4-ე ლეგიონი

ნაწილის წითელ არმიელნი დაინტერესებულნი არიან ფიზკულტურით, ცვალებადელნიც ენერგიულად მუშაობენ.

პირველ რიგში სდგას ფეხბურთელთა წრე. სწარმოებს მეცადინეობა აგრეთვე სხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშობაში.

წრეების ხელმძღვანელები კარგები გვყავს, მხოლოდ არა გვაქვს საჭირო რიცხვი ხელსაწყოების და და იარაღის. შესაძენია აგრეთვე სპეციალური ტანისამოსი.

11 ივლისს დაიწყო სამხედრო სასწავლებელთა ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ გარდა რუსულ და ქართულისა, აგრეთვე სომხეთის და აზერბეიჯანის სამხედრო სასწავლებლები.

—ი.

სამხკორი და მომჭირნეობისათვის ბრძოლა

ჩვენმა სამხკორებმა სავსებით შეიგნეს მომჭირნეობისთვის ბრძოლის აუცილებლობა წითელი ჯარის რიგებში და თავისი მხრივ ხელს უწყობენ მის ცხოვრებაში გატარებას.

გაზეთ „წითელ არმიელს" მრავლად მოსდის სამხკორთა შენიშვნები და წერილები იმაზე, თუ როგორ ტარდება ეკონომიის რეჟიმი ჯარის ნაწილებში და რა პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული ამ დარგში. არის ისეთი შენიშვნებიც, რომელნიც მიუთითებენ ამა თუ იმ უარყოფით მხარეებზე, თანხების არა მიზანშეწონილად დახარჯვაზე, ქონების გაუფრთხილებლობაზე და სხვა.

ნაწილების კედლის გაზეთებში გამოყოფილია სპეციალური განყოფილება, სადაც შუქდება მომჭირნეობისათვის ბრძოლის მსვლელობა ნაწილში და შედეგები.

სამხკორთა წრეების მეცადინეობის დროს ისმევა საკითხები მომჭირნეობისათვის ბრძოლის ირგვლივ, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება სამხკორმა, როგორ უნდა გააშუქოს ესა თუ ის მოვლენა პრესაში.

აგრეთვე სამხკორთა კრებებზე და ყრილობებზე კეთდება მოხსენებები მომჭირნეობისთვის ბრძოლის მსვლელობაზე საერთოდ და იმ მიღწევებზე, რომელიც უკვე აქვს ამ ბრძოლას ჩვენ ქვეყანაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

იცვლება თუ არა ჰავა

უკანასკნელი წლების შედარებით თბილი ზამთრები უნებლიეთ იწვევს კითხვას: ხომ არ ვიმყოფებით ჩვენ კლიმატიური ცვლილებების წინაშე. გეოლოგების გამოანგარიშებით, ევროპაში უკანასკნელი ყინულოვანი პერიოდი იყო 50.000 წლის წინათ. მაშინ ყინულით დაფარული იყო სივრცე პოლიუსიდან გარცამდი (მთაგრეხილი გერმანიაში, მდიდარია მინერალებით) და უზარმაზარ მთებამდე (ეს მთა ყოფს სილეზიას ჩეხო-სლოვაკიისაგან). ყინულის სქელი ფენით იყო დაფარული ჩრდილოეთის ქვეყნები. ზოგიერთი გეოლოგები სკანდინავიის „საუკუნოებრივ ამაღლებას" იმით ხსნიან, რომ ყინულის მთების გადნობის შემდეგ მიწის შიგნითა მაგმა (გამდნარი მასა) განთავისუფლდა საშინელი სიმძიმის დაწოლისაგან და სკანდინავიის ნახევარ-კუნძული თანდათანობით მაღლდება (სკანდინავიის ნაპირების ამაღლება შემჩნეულია პირველათ მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში, ეს ამაღლება ას წელიწადში 1½ მეტრში გამოიხატება). ამავე დროს ყინულით იყო დაფარული ჩრდილოეთ-ამერიკა და სამხრეთ-ამერიკის ნაწილი. ამ უკანასკნელ ყინულოვან პერიოდს წინ უსწრებდა კიდევ ერთი ხანა. მათ შორის იყო პერიოდი, რომელსაც „ყინულთაშორისო" პერიოდი ეწოდება. მაშინ ევროპაში ისეთი ჰავა იყო, როგორც ამჟამად შუა ევროპაშია. ყინულ. პერიოდი 100.000 წელიწადს მაინც გაგრძელდა. ჩრდ. ევროპის მცხოვრებლები სიცივემ სამხრეთისკენ გარეკა. მიუხედავათ იმისა, რომ დედამიწა ყინვამ დაფარა, მაშინდელი დროის საშუალო ტემპერატურა შუა-ევროპის ახლანდელ საშუალო წლიურ ტემპერატურასთან შედარებით 4-5 გრადუსით ნაკლები იყო.

ამრიგათ, ყინულოვან პერიოდს დედამიწაზე წინ უსწრებდა თბილი პერიოდი.

ამ ეპოქის განმავლობაში ტემპერატურა საშუალოდ 8-9 გრადუსზე მაღლა იდგა და უფრო თანაბრად იყო განაწილებული დედამიწაზე. ქვა-ნახშირის საბუდოები შპიცბერგენზე საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ იმ ადგილებში, რომლებიც ახლა ყინულით და წყლით დაფარულ სივრცეს ან უდაბნოებს წარმოადგენენ, არსებობდენ გაუვალი ტყეები და მდიდარი მცენარეულობა. როგორც სჩანს, ჰავის ცვლილებებს ადგილი ჰქონდათ უფრო ძველ გეოლოგიურ ეპოქებშიც.

ისტორიულ ხანაში ასეთი მკაცრი კლიმატიური ცვლილებები არ არის შემჩნეული. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიულ პერიოდშიც ადგილი ჰქონდა უფრო ცივ ზამთრებს ვიდრე ახლა, რომ გლეტჩერები (ყინულის მდინარე, რომელიც ეშვება დაბლობებში) ძალიან იწევდნე წინ და შემდეგ, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, უკან იხევდენ. ბალტიის ზღვა ბევრჯერ გაყინულა 1418, 1422 და 1424 წლებში იგი ისე გაიყინა, რომ შვეციიდან ბალტიის მხარის პროვინციებში ცხენებით მოგზაურობდენ. მეორე მხრივ, ზაფხული უფრო თბილი უნდა ყოფილიყო, რადგან მევენახეობა განვითარებული იყო ისეთ რაიონებში, სადაც ახლა ვაზის ხსენებაც არ არის.

მოსალოდნელია თუ არა ახლა ჰავის გამოცვლა და რა არის ამ ცვლილებების საერთო მიზეზები—აი კითხვები, რომლებიც საყოველთაო ინტერესს იწვევენ. ცნობილ მეცნიერ **სვანტე არრენიუსს**, რომელიც თავის საინტერესო წიგნში „დედამიწა და სამყარო" ეხება ამ კითხვებს, მათ გადასაწყვეტად მეტად საინტერესო მოსაზრებები მოჰყავს.

ეკლიპტიკის დახრა

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ტემპერატურის დაკლებამ 4-5 გრადუსით (თანამედროვე საშუალო ტემპერატურასთან შედარებით) გამოიწვია ყინულოვანი პერიოდი. ტემპერატურის თითქმის ორჯერ გადიდებამ კი წარმოშვა თითქმის ტროპიკული ჰავა. ჰავის გამოცვლის დაწყების მიზეზის ყველაზე სწორ ახსნათ თვლიან ეკლიპტიკის მიმართ დედამიწის ღერძის მდებარეობის გამოცვლას გეოლოგიური პერიოდის განმავლობაში. ეკლიპტიკა არის წარმოდგენილი სიბრტყე, რომელზეც დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. ეს სიბრტყე ეკვატორის მიმართ დახრილია 23-24 გრადუსით. ეს დახრილობა იწვევს წლის დროთა ცვლილებას. თუ მზე მაღლა დგას ეკვატორზე, მაშინ ჩვენთან გრძელი და ცხელი დღეებია, სამხრეთ-ნახევარ-სფეროში კი—ზამთარი. როცა იგი შორდება ეკვატორს, მდგომარეობა იცვლება. რომ ადგილი არ ჰქონდეს ეკლიპტიკის დახრილობას დედამიწის ეკვატორის მიმართ, მაშინ პოლიუსები საერთოდ ვერ მიიღებდენ მზის სითბოს. ახლა კი მზის სხივების 42% პოლიუსებს ხვდება. რამდენათაც მეტია ეკლიპტიკის დახრილობა, იმდენათ მეტ სითბოს იღებენ პოლიარული ქვეყნები, ეკვატორიალური ქვეყნები კი—კარგავენ. მაგრამ ეკლიპტიკის დახრილობის ზრდა არ არის შემჩნეული, ამიტომ გეოლოგიურ ეპოქებში კლიმატიური ცვლილებების არსებითი მიზეზს ვერ დაუკავშირებთ დედამიწის ღერძის დახრილობას მზის გზის სიბრტყის მიმართ.

ნახშირმჟავა გაზი ჰაერში

ფიზიკოსების აზრით უფრო საფუძვლიანია ის მოსაზრება კლიმატიურ ცვლილებების შესახებ, რომელსაც არრენიუსი იცავს: კლიმატიური ცვლილებები შედეგია იმ რყევის, რომელსაც განიცდის ნახშირმჟავას რაოდენობა ატმოსფერაში. ჰაერში ნახშირმჟავის რაოდენობა შეადგენს სულ 0,03 პროცენტს. ეს უმნიშვნელო რაოდენობა, ეჭვს გარეშეა, დიდ ცვალებადობას განიცდიდა გეოლოგიური პერიოდების განმავლობაში, პირველ ყოვლისა ცეცხლის მფრქვეველი მთების ამოხეთქის გამო.

თუ უმნიშვნელო ცვალებადობას ნახშირმჟავას რაოდენობაში გავლენა აქვს დედამიწის ჰავაზე, უკანასკნელი უფრო თბილი უნდა გამხდარიყო იმ პერიოდებში, როცა ვულკანიური მოქმედება ძლიერი იყო და გაზის დიდი რაოდენობა თავისუფლდებოდა დედამიწის წიაღიდან. ეს გაზები უმთავრესად ნახშირმჟავასა და წყალის ორთქლისგან შესდგებიან. ნახშირმჟავა გაზს აქვს სითბოს სხივების შთანთქვის ან უკუგდების თვისება. სინათლის სხივებს იგი ისე უშვებს, რომ არ თბება. ატმოსფერის ყველაზე მნიშვნელოვან გაზებისა და ორთქლებისგან, წყალის ორთქლს ისეთივე თვისებები აქვს, როგორც ნახშირმჟავა გაზს.

შუშა უშვებს სინათლის სხივებს და უკან არ უშვებს იმ სითბოს, რომელსაც ანთავისუფლებს შუშის ქვეშ გამთბარი ჰაერი. ამაზეა აგებული სათბურების აგება მცენარეებისათვის. თუ ყუთს გავახვევთ ბამბაში და დავხურავთ სამი, ერთმანეთზე დაწყობილი მინით, ყუთის შიგნით მზის სინათლეზე მივიღებთ 118 გრადუს სითბოს, გარეთ კი მხოლოდ 10 გრადუსი სითბო იქნება. ნახშირმჟავისა და წყლის ორთქლს ასეთი თვისებები აქვთ. ისინი არ შთანთქავენ, ატარებენ მზის სხივებს, მაგრამ მზის სხივებით გამთბარი დედამიწის მიერ გამოსხივებულ სითბოს უკან არ უშვებენ. არრენიუსმა გამოიანგარიშა, რომ თუ ნახშირმჟავას ეს მცირე რაოდენობა (0,03%) გაქრება ჰაერიდან, ტემპერატურა დედამიწაზე 21 გრადუსით დაიკლებს. მარტო ნახშირმჟავის გაქრობა დედამიწის ტემპერატურას დაიყვანდა—9 გრადუსამდი (9 გრადუსი სიცივე). მაგრამ სიცივის გადიდების გამო დაიკლებდა ორთქლის რაოდენობა და დედამიწა დაჰკარგავდა სითბოს უკანასკნელ საფარს. ამიტომ დედამიწის ტემპერატურა დაიკლებდა —40 გრადუსამდი (ე. ი. დედამიწაზე იქნებოდა 40 გრადუსი ყინვა).

ნახშირმჟავა და ტემპერატურა

ნახშირმჟავა გაზის შემცირება ნახევრათ, არრენიუსის გამოანგარიშებით, დედამიწის საშუალო ტემპერატურას 4 გრადუსით შეამცირებდა, გაორკეცება კი—გაადიდებდა 4 გრადუსით. პირველ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ყინულიანი პერიოდის ხანას, მეორე შემთხვევაში კი მიუახლოვდებოდით ტროპიკულ ჰავას. უკანასკნელ შემთხვევაში, ალბათ, ჰაერის გათბობისა და მასში წყალის ორთქლის რაოდენობის გადიდების გამო, ღრუბლის სქელი ფენები დააკავებდენ სითბოს ჰაერის მაღალ ფენებში და დედამიწაზე, პოლიუსებს და ეკვატორს შუა, ტემპერატურა გათანასწორებული და თითქმის ერთნაირი იქნებოდა ზამთარ-ზაფხულში.

ნახშირმჟავას რაოდენობის გადიდება ჰაერში ჩვენს ჰავარს უფრო თბილად და უფრო თანაბარ ზომიერად გახდიდა. ბევრი საბუთებია იმის, რომ უკანასკნელ ხანებში ნახშირმჟავას რაოდენობა ჰაერში გაიზარდა. შენიშნულია, რომ ნახშირმჟავას რაოდენობა ზღვაზე 10% [illegible] მეტია, ვიდრე ხმელეთზე. ამრიგად ჯერ კიდევ არ დამყარებულა წონასწორობა ნახშირმჟავას რაოდენობაში ჰაერსა და ზღვაში. ზღვა ჯერ კიდევ განაგრძობს ჰაერის ნახშირმჟავას შთანთქვას. ამიტომ ჰავა დასავლეთ ევროპაში, როგორც სჩანს, უფრო თბილი ხდება. გლეტჩერები ალპებში თითქმის ყველგან იხევენ, პოლიარულ წრეს იქით შემჩნეულია ყინულის უკან დახევა. შესაძლებელია ნახშირმჟავას რაოდენობის ყოველწლიური გადიდება $^1/_{800}$-ით (ფაბრიკა-ქარხნებში ნახშირის დაწვის გამო ჰაერს ყოველწლიურათ ემატება ნახშირმჟავა. ეს ზრდა შეადგენს $^1/_{800}$ მთელი ჰაერის მოცულობისას) აქვს ერთგვარი მნიშვნელობა ჰაერის შემჩნეულ გარბილებაში. რასაკვირველია, ნახშირმჟავას ზრდა უფრო მეტ გავლენას მოახდენდა ჰავაზე, რომ ზღვები და ოკეანები არ ნთქავდენ ნახშირმჟავას $^5/_6$-ს. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, ერთგვარის საფუძვლიანობით, რომ უახლოესი ათეული წლების განმავლობაში, ზამთარი, ალბათ, უფრო თბილი იქნება, ზაფხული კი—შედარებით გრილი.

პროფ. ე. მარქსი.

განმანადგურებელი სხივები

უკანასკნელ ხანებში მკითხველი საზოგადოების ფართე წრეებში ვრცელდება კანტი-კუნტი ცნობები ამერიკელ მეცნიერების მიერ აღმოჩენილი ახალი, საოცარი სხივების შესახებ, რომლებიც განმანადგურებელ გავლენას ახდენენ ყველა ცოცხალ არსებებზე. გაზეთების მიერ ხშირად გადაჭარბებული და გადამახინჯებული სახით გადმოცემული ეს ხმები წარმოშობენ წარმოდგენას, თითქოს კაცობრიობას რაღაც საშინელი საფრთხე მოელის.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლაპარაკია ორი სახის ახლად აღმოჩენილ სხივებზე, რომლებსაც არავითარი მსგავსება არა აქვთ თავისი ბუნებით. ერთია—ე. წ. **კულიჯის** სხივები—რომლებსაც ხელოვნურათ იღებენ ლაბორატორიებში; მეორეა—**მილიკენის** სხივები—აღმოჩენილი სამყაროს სივრცეში. ამ უკანასკნელი სხივების მიღება ფიზიკურ კაბინეტში ჯერ ვერ მოუხერხებიათ. ამ ორგვარი სხივების შინაგანი ბუნება სრულიად სხვადასხვა არის და მხოლოდ მათმა უდიდესმა განმანადგურებელმა გავლენამ ცოცხალ ქსოვილებზე გამოიწვია ის, რომ საზოგადოების ფართე წრეებში ისინი გააერთიანეს ერთ ჯგუფში „სიკვდილის სხივების" სახელწოდებით.

დავიწყოთ პირველი კატეგორიის სხივებიდან—კულიჯის სხივებიდან. ამ სხივების აღმოჩენა ამერიკელ მეცნიერის მიერ წარმოადგენს მხოლოდ უფრო ადრინდელი აღმოჩენის განმეორებას. პირველათ იგი გერმანელმა ფიზიკოსმა **ლენარდმა** აღმოაჩინა 1892 წ. კულიჯის სხივები—დიდი ხნის წინათ ცნობილი სხივებია, მხოლოდ ახლა იგი უფრო ძლიერი სახით მიიღეს. გავიხსენოთ თუ რაში მდგომარეობდა ლენარდის აღმოჩენა. მაშინ ნათელი შეიქნება კულიჯის აღმოჩენის არსი.

ყველა ელექტრონებს აქვთ ერთნაირი სიდიდე, ერთნაირი წონა და ერთნაირი ელექტრონული დატენილობა. ელექტრონის არაჩვეულებრივად მცირე სიდიდის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო შედარებით. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი თავი და ყველაფერი, რასაც კი ჩვენს გარშემო ვხედავთ, გადიდებულია **მილიონჯერ**. მაშინ თქვენ იქნებოდით 1.700 კილომეტრი სიმაღლის, თქვენი თმის სისქე იქნებოდა 50 მეტრი, თქვენი სისხლის წითელი ბურთულების განივი კი—7 მეტრი. **ასე გადიდებულ სამყაროში ჩვენ შევნიშნავდით მატერიის ცალკე მოლეკულებს. ისინი მაშინ იქნებოდენ წერტილის ოდენა! ელექტრონებს? ელექტრონებს კი მილიონჯერ გადიდების შემდეგაც კი ვერ დავინახავდით, რადგან ელექტრონის განივი 10.000-ჯერ ნაკლებია მოლეკულას განივთან შედარებით...**

აი ამ არაჩვეულებრივათ პატარა სხეულებიდან,—რომლებიც მიჰქრიან თითქმის სინათლის სხივების თანაბარი სისწრაფით,—შესდგება ის, ე. წ. „კატოდური" სხივები, რომლებიც წარმოიშობიან კრუქსის მილის გათხელებულ არეში. ეს სხივები ვერ გამოატანებენ შუშის მილის კედლებში. ლენარდის აღმოჩენა იმაში მდგომარეობდა, რომ მან მოახერხა ამ სხივების გამოშვება მილიდან. ამისათვის მან მილის ერთი ნაწილი ალიუმინის ფირფიტით შესცვალა. მაგრამ, როგორც კი ამ სხივებმა გათხელებული არედან გამოატანეს ჩვეულებრივი სიმკვრივის მქონე ჰაერში ღრმად ვეღარ შეიჭრენ ამ არეში და მილიდან რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე შთანთქულ იქნენ ჰაერის მიერ.

ამერიკელმა კულიჯმა, რომელმაც დიდი ხანია გაითქვა სახელი, როგორც რენტგენის სხივების საუკეთესო კონსტრუქტორმა, გაიმეორა თავისი გერმანელი წინამოადგილეს ცდები, მხოლოდ გაცილებით უკეთეს ტეხნიკურ პირობებში. საშინელი ჰინვის—250.000 ვოლტი—პირობებში, მან მიაღწია იმას, რომ ატმოსფერულ ჰაერში გამოშვებულ კატოდურ სხივების სხივთა კონამ გაიარა ნახევარი მეტრი და უდიდესი გავლენა მოახდინა ყველ[illegible] კი გზაში შეხვდა. ამ სხივებით გაკვეთილი ჰაერი წითლად ანათებს. ყველა პატარა არსებანი—ბუზები, ბაქტერიები და სხვა მწერები—რომლებიც ამ სხივების გავლენის სფეროში მოხვდენ, იმავე წუთში დაიღუპენ. ბალნით დაფარულ კანზე ბალანი სცვივდება და ახლად ამოსული კი—თოვლივით თეთრია. კანი და ხორცი ამ სხივების ზეგავლენით იშლება და კვდება. აქედან წარმოიშვა ის საშინელი სახელი, რომლითაც ფართე საზოგადოებამ მონათლა კულიჯის სხივები—„სიკვდილის სხივები".

სულ სხვა ბუნებისაა აგრეთვე ამერიკელ ფიზიკოსის—პროფ. **მილიკენის** მიერ აღმოჩენილი სხივები. თუ კულიჯის სხივები „გამოგონებული, ე. ი. ხელოვნურად იქნა წარმოშობილი ფიზიკურ კაბინეტში, მილიკენის მიერ აღმოჩენილი სხივები არსებობენ ყოველთვის და ავსებენ სამყაროს. ეს სხივები ყოველი მხრიდან მიისწრაფიან დედამიწისაკენ და არაჩვეულებრივი გამკვეთი ძალა აქვთ. თავისი ბუნებით ეს სხივები ენათესავებიან არა. კატოდურ სხივებს, არამედ რენტგენისა და რადიუმის ე. წ. გამმასხივებს, ე. ი. წარმოადგენენ არა ელექტრონის ნაკადს, არამედ დიდი სიხშირის (50-ჯერ უფრო მეტის, ვიდრე რენტგენის სხივები) ტალღისებურ რყევას. მაგრამ იმ დროს, როცა ყველაზე ძლიერი გამკვეთი—რენტგენის სხივებისგან შეიძლება თავის დაცვა 1½ სანტიმეტრის სისქის მქონე ტყვიის კედლით, ახლად აღმოჩენილ სხივებს ვერ აკავებს 2 მეტრის სისქე ტყვიის კედელი! თუ გავიხსენებთ, როგორ განმანადგურებელ გავლენას ახდენს ცოცხალ ქსოვილებზე რენტგენისა და რადიუმის გამმა-სხივები, მაშინ ნათელი შეიქნება, თუ რა საშინელ საფრთხეს წარმოადგენს ყოველივე ცოცხალისათვის ეს ახალი სხივები, რომელშიც თითქმის ბანაობს ჩვენი პლანეტა. მათი განმანადგურებელი გავლენისაგან გვიცავს ის ბედნიერი გარემოება, რომ დედამიწის ატმოსფერა ასუსტებს მათ გავლენას. დედამიწამდი მილიკენის სხივები ძლიერ სუსტი სახით აღწევენ. მთებზე და ატმოსფერის მაღალ ფენებში ამ სხივების გავლენა ძლიერდება. 9 კილომეტრის სიმაღლეზე (უდიდესი მთის მწვერვალი) ეს გამოსხივება 4-ჯერ უფრო ძლიერია ვიდრე ზღვის დონეზე. მილიკენმა მათი გავლენა შეისწავლა 15 კილომეტრის სიმაღლემდი, მაგრამ ამ სიმაღლეზეც ეს სხივები იმდენათ შესუსტებული არიან, რომ მათი განმანადგურებელი გავლენა თვალსაჩინო არ არის.

საიდან მოდიან ჩვენთან ეს მართლაც საშინელი სხივები! მათი წარმოშობის წყარო ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკვეული. ყველაზე უფრო შესაძლებელია, რომ ისინი მოდიან უშორეს ნისლოვანებათაგან, რომლებიც უწესრიგოთ არიან გაფანტული სამყაროს სივრცეში. აქ, ნისლოვანებათა წიაღში, ისინი წარმოიშობიან ატომების შექმნის პროცესში და მოჰქრიან ჩვენსკენ სამყაროს უდაბნოებით, მოჰქრიან, შესაძლებელია, მილიონი წლების განმავლობაში, რომ აქ დაკავებული იქნან ჩვენი პლანეტის ატმოსფერის მიერ. პლანეტებზე, რომლებსაც არა აქვთ ასეთი საიმედო საფარი, მხოლოდ ამიტომ შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, რადგან ნაზ ორგანიულ მატერიას შლის და კლავს [illegible]. მილიკენის მიერ აღმოჩენილი ეს განმანადგურებელი გამოსხივება. წარმტაცმა თეორიამ, რომელიც გვეუბნებოდა, რომ სიცოცხლე განვითარდა ერთი პლანეტიდან მეორეზე ჩანასახების გადატანით, უნდა დასთმოს თავისი პოზიციები, გაბედული მეოცნებენი კი, რომლებიც ფიქრობენ საპლანეტთაშორისო გადაფრენებზე, სერიოზულათ უნდა ჩაუფიქრდენ საკითხს, თუ როგორ დაიცვან ამ გამკვეთი სხივების განმანადგურებელი გავლენისაგან სამყაროს მომავალი [illegible].

ი. პერელმანი.

ადამიანის წარმოშობა



ადამიანის განვითარება

ქანდაკებანი დამზადებულია მოქანდაკე მაკ-გრეგორის მიერ ბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმისათვის ნიუ-იორკში.

ადამიანის წარმოშობის საკითხი დიდი ხანია აინტერესებს კაცობრიობას. მის გადაჭრას ცდილობდა სარწმუნოება, მასზე პასუხს იძლეოდენ ხალხური თქმულებები. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე წარმოიშობოდენ და ერთმანეთს სცვლიდენ ადამიანის წარმოშობის ერთი-მეორის საწინააღმდეგო და ხშირათ ზღაპრული ახსნა-განმარტებები.

უკულტურო ერებში ახლაც გავრცელებულია მრავალი ლეგენდები ადამიანის წარმოშობის შესახებ. უმრავლეს შემთხვევებში ეს ლეგენდები ატარებენ იმ გეოგრაფიული და ყოფა-ცხოვრების პირობების ნიშნებს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება ამა თუ იმ ეროვნებას.

წყნარი ოკეანეს კუნძულების მცხოვრებლებს შორის გავრცელებულია თქმულება, რომ პირველი ადამიანები და ყველა ცხოველები, მთელი სამყარო, წარმოიშვა კვერცხიდან. თქმულება იმის ახსნას კი არ იძლევა, თუ საიდან წარმოიშვა თვით ეს კვერცხი.

ახე მაგალითად, ახალი ზელანდიის მცხოვრებლებს სწამდათ რომ პირველი ადამიანები გამოვიდენ ოკეანეში მცურავ კვერცხებიდან. მათ კვერცხში ნავიც ჰქონდათ და ამ ნავით მიაღწიეს ნაპირამდე. თქმულება ამ „მსოფლიო კვერცხის" შესახებ გავრცელებული იყო სხვა, უფრო კულტურულ ხალხებში—ჩინელებში, ინდუსებში.

უფრო ხშირია თქმულებები ადამიანის გაჩენის შესახებ ღმერთების მიერ, იმისდა მიხედვით თუ რა ხასიათი აქვს ამა თუ იმ ტომის ან ეროვნების შინამრეწველობას, ადამიანებიც, თქმულების მიხედვით, ღმერთებს ან ქვიდან გამოუკვეთიათ, ან თიხიდან გამოუძერწავთ, ან ხიდან გამოუჩრიათ.

ძველ ბერძნებში გავრცელებული იყო თქმულება, რომ პირველი ადამიანები გამრავლდენ უკან ქვების გადაგდებით, ამ ქვებიდან გაჩნდენ ახალი ადამიანები. ახეთივე თქმულებაა გავრცელებული ამერიკის ზოგიერთ წითელ-კანიან ტომებს შორის. ინდიელთა ზოგიერთი ტომები ფიქრობენ, რომ პირველი ადამიანები ამოვიდენ ქვესკნელიდან, სადაც დიდ ხანს ცხოვრობდენ, ხანამ ზევით ამოსავალ გზას იპოვნიდენ. სამხრეთ-აფრიკაში ბანტუს ტომი ფიქრობს, რომ პირველი ადამიანები მოვიდენ რომელიღაც გამოქვაბულიდან.

ჩრდილოეთ ინდოეთში არსებობს თქმულება, რომ ტიბეტის მთელი მოსახლეობა წარმოიშვა ორი მაიმუნიდან (ესენი იყვენ ღმერთი და ღმერთა, რომლებმაც მაიმუნის სახე მიიღეს). ერთმა განდეგილმა ასწავლა მათ პურის მოყვანა. ახალმა საკვებმა ისეთი გავლენა მოახდინა მათზე, რომ მათ ბალანი დაცვივნოდათ, კუდი გაუქრათ, მიეცათ მეტყველების უნარი და ნამდვილ ადამიანებათ გადაიქცენ.

ასეთია გულუბრყვილოთა ეს ლეგენდები. პირველი ადამიანები მაიმუნებიდან წარმოიშვენ, მაგრამ მათზე ადრე ყოფილა განდეგილი, რომელმაც მათ ხვნა-თესვა ასწავლა! მხოლოდ უკულტურო, ნახევრათ ველური ადამიანის გონება თუ შეურიგდებოდა ასეთ წინააღმდეგობას.

კაცობრიობის უმრავლესობას დღემდი სწამდა თქმულება, რომელიც ქრისტიანობამ შეითვისა, რომ ადამიანი შექმნა ღმერთმა, რომელმაც იგი გამოძერწა თიხიდან. პირვანდელი სახით ეს თქმულება წარმოიშვა ბაბილონელების შორის, ხალხში, რომელიც 4-ჯ წლის წინათ ცხოვრობდა ახლანდელ არაბეთში. თიხა ყველაზე უფრო გავრცელებული მასალა იყო ამ ქვეყანაში. გარდა ბინებისა და ჭურჭლეულობისა, თიხიდან აკეთებდენ საწერ დაფებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ადამიანიც უნდა წარმომდგარიყო იმავე თიხიდან, რომლიდანაც კეთდებოდა ყველა საგნები. მხოლოდ აქ საჭირო იყო „უმაღლესი ძალის" მოშველება.

ასეთ სურათს გვიხატავენ ადამიანის წარმოშობისას თქმულებები და ლეგენდები.

რა პასუხს იძლევა ამ კითხვაზე მეცნიერება?

მეცნიერული შეხედულებები ადამიანის წარმოშობის შესახებ თანდათანობით ვითარდებოდენ, იცვლებოდენ. მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მუშაობდა ამ საკითხზე. დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა ამ საკითხის გარშემო ის ფაქტიური მასალა, რომლის წყალობით ახლა მეცნიერებას ამომწურავი და გარკვეული პასუხის მიცემა შეუძლია.

თანამედროვე მეცნიერების პასუხი ახეთია: ადამიანი თავის ტანის აგებულობის მიხედვით ცხოველების ოჯახს ეკუთვნის. იგი შედის ხერხემლიანთა ჯგუფში.

ადამიანის ჩანასახის განვითარების შესწავლა და მის ანატომიურ თავისებურობათა და მათ ჩანასახის სახით მისი სხეულის მიერ შენარჩუნებულ ზოგიერთ ორგანოთა ზედმიწევნით გამოკვლევა, არა თუ ადასტურებს ადამიანის ნათესაობას ცხოველებთან, არამედ შესაძლებლად ხდის იმის გაგებას, თუ როგორი გზით მიდიოდა მისი განვითარება.

ყველაზე მეტი მსგავსება ადამიანს აქვს ადამიანის მსგავს მაიმუნთან. მაგრამ ეს მაიმუნები თავისი განვითარებით მუცლად ყოფნის დროს და შემდეგ სულ უფრო და უფრო განსხვავდებიან ადამიანის ტიპისგან. ამიტომ ამჟამად არ იზიარებენ აზრს, რომ თითქო ადამიანი უშუალოდ მაიმუნიდან წარმოიშვა.

ადამიანის უახლოესი წინაპრები იყვენ მაიმუნი-ადამიანები, რომლებთანაც გვაცნობა ჩვენ დ-რ **დიუბუას** მიერ კუნძულ იავაზე აღმოჩენილმა ნაშთებმა. ამ ტიპის წარმომადგენელი უნდა იყოს ადამიანი, რომლიდან მხოლოდ ყბა დარჩა ჰეიდელბერგში (გერმანია).

ადამიანის განვითარების საკითხის განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ადამიანს მრავალი ათეული ათასი წლის ისტორია აქვს. ადამიანმა მოუსწრო ყინულოვან პერიოდს და ევროპაში შემოვიდა თბილ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა უკანასკნელ ყინულოვან ეპოქას.

ადამიანმა შეინარჩუნა ზოგიერთი ძველი ნიშნები. ასე მაგალითად მან შეინარჩუნა ხელის ხუთ-თითიანი თათი. ადამიანის უშუალო წინაპრებმა გადაუხვიეს გამაიმუნების მხრივ განვითარების გზიდან და შეიძინეს ის ახალი თვისებები, რომლებმაც ხელი შეუწყეს თავის ტვინის განვითარებას და პირდაპირ დგომას და სიარულს. ხელსაყრელმა პირობებმა ხელი შეუწყეს ჩვენს წინაპრებს შეენარჩუნებინათ თავიანთი თავისებურებანი და განვითარებულიყვენ გაადამიანების მიმართულებით. თანდათანობით მათმა ფეხებმა დაჰკარგეს ის თვისებები, რომლებიც მათ ზემო კიდურებთან ანთესავებდა და გადაიქცენ ორგანოებათ, რომლებიც ხელს უწყობენ წელში გამართულად დგომას და სიარულს.

თავისი განვითარების განმავლობაში ადამიანმა დაჰკარგა მრავალი ორგანოები, რომლებიც ესაჭიროებოდა წინათ და სამაგიეროთ შეიძინა ახლები, რომლებიც მის განვითარების გზაზე ადამიანისაკენ ხელს უწყობდნენ. განსაკუთრებით განვითარდა მისი ტვინი, რამაც საშუალება მისცა ადამიანს ახალი განვითარების ამ საფეხურზე, რომელზეც ახლა იმყოფება.

კანტორის შრომის მექანიზაცია

საკერავი მანქანის გამოგონებამ თავის დროზე რევოლუცია მოახდინა კერვის მრეწველობაში. კერვა გაადვილდა, უფრო წესიერი გახდა, ნაკლებ შრომას მოითხოვს. ასეთი მექანიზაცია იჭრება თანდათანობით ცხოვრების ყველა დარგებში და ერთად-ერთი, რაც დღემდი ძველებურად მიმდინარეობდა, ტეხნიკის პროგრესს გადაურჩა,—ეს იყო საკანცელარიო მუშაობა. მაგრამ ყოვლის შემძლე ტეხნიკამ აქაც გაიმარჯვა და ახალ საფუძვლებზე გარდაქმნა საუკუნოების განმავლობაში დაფუძნებული წესები.

ჩვენშიც, საბჭოთა კავშირშიც, ყურადღება ექცევა ამ დარგის მოწესრიგებას და მიღებულია ზომები უნაყოფო შრომის შესამცირებლად და დროის მოსაგებათ საკანცელარიო მუშაობაში.

აქ ჩვენ ვაცნობთ მკითხველებს გერმანელების უკანასკნელ მიღწევებს ამ დარგში. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ დაკვირვებით და მიზანშეწონილად არის დაყენებული საქმე ბერლინის მრავალ სავაჭრო-სამრეწველო კანტორებში.

საათი ზარი

დიდი საქმის ხელმძღვანელ პირს აურაცხელი მოვალეობა აწევს კისერზე. დღეში მას ასი საშინაო მოლაპარაკება აქვს, რამდენიმე სხდომას უნდა დაესწროს, ვილაცას ტელეფონით უნდა დაელაპარაკოს და სხვა. ყველაფერის გახსენება ძნელია. აქ დაწესებულების ხელმძღვანელს დახმარებას უწევს პატარა დასადგამი საათი. ციფერბლატს საათზე ნახვრეტები აქვს გაკეთებული. როცა დილით დაწესებულების ხელმძღვანელი მოდის თავის კაბინეტში, იგი იხსენებს თუ როდის რა აქვს გასაკეთებელი. გასაკეთებელ საქმეს პატარა ქაღალდზე ჩაიწერს, ქაღალდში ქინძისთავს გაუყრის და საათის ციფერბლატის შესაფერ ნახვრეტში ჩაარჭობს. მოაწევს თუ არა ამ საქმის გაკეთების დრო, საათი რეკს 5 წამის განმავლობაში. ნერვებ-აშლილებისთვის, საათს ზარის მაგიერ, პატარა ელექტრონის ლამპა აქვს გაკეთებული და შესაფერ დროზე ანთება.

ორი კაცი 20-ის მაგიერ

ბევრ ხარჯს მოითხოვს კანტორის შტატის შენახვა. შრომის მექანიზაცია არაჩვეულებრივად ამცირებს ამ ხარჯებს. იმ მუშაობას, რომელსაც ბუხჰალტერიაში ასრულებს 20 კაცი, მექანიზაციის გატარების შემდეგ ასრულებს ორი კაცი. ეს მიღწეულია საბუხჰალტრო მუშაობაში **გერცის** მიერ ახლად გამოგონილი საანგარიშო მანქანის შემოღებით.

ეს მანქანები ძვირი ჯდება, მაგრამ ხარჯების არაჩვეულებრივათ შემცირებით მათი ღირებულება ჩქარა იქნება ანაზღაურებული.

განა ღირს, მაგალითად, ჯამაგირის და ხელფასის გამოსაანგარიშებლად მოსამსახურეთა მთელი შტატის შენახვა? ტეხნიკა გვეუბნება—არა. მან შექმნა ხელფასის გამომანგარიშებელი მანქანა. ქარხანაში, სადაც 20.000 მუშაა, 6 მოსამსახურე ერთი ასეთი მანქანით 3 დღის განმავლობაში ადგენს ჯამაგირის უწყებას. უმანქანოთ ამ უწყების შედგენას 6 კაცი ერთ თვეს მოანდომებდა.

ფოსტის გახსნა

აურაცხელი დრო მიაქვს მაგალითად კორესპონდენციის გახსნას. უცხოეთში შემოღებულია სპეციალური მანქანა, რომელიც ამ მუშაობას ასრულებს. ეს მანქანა წუთში 5.000 კონვერტს ხსნის. ნიუ-იორკის ერთ დიდ სავაჭრო სახლს ეს ცოტათ ეჩვენა. ამ სახლის პატრონებმა განიზრახეს წერილების შინაარსის გაგება მანამდე, სანამ კონვერტებს გახსნიდენ. არ იფიქროთ, თითქოს ვინმე მკითხავი მოიწვიეს. სტატისტიკურად გამოარკვიეს, თუ რამდენი დაკვეთა მოდის გირვანქა წერილებზე. ფოსტას ყოველ დილით სწონიან და ყველა განყოფილებამ იცის, თუ რა სამუშაო მოელის მას.

დილით ადრე ფოსტის მიღების შემდეგ ყველა დავალებები იწერება სპეციალურ ჟურნალში.

იმის მაგიერ, რომ დაკვეთამ შემოიაროს ათოდე მაგიდა, ბრძანება იმ წამსვე იბეჭდება კლიენტის ანგარიშზე და ათ ცალათ. ერთი ასლი მექანიკური საშუალებით იგზავნება კანტორის გამგესთან, მეორე—დირექტორის კაბინეტში, მესამე—ფაბრიკაში, მეოთხე—საწყობში და სხვ.

ცოცხალი ანგარიში

მაგრამ კლიენტის დავალება ამის შემდეგ არ იკარგება სქელ „საქმეებში". არა. იგი საჭიროა ყოველთვის და ამიტომ თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგას ყოველთვის, გარეშე ამისა—საჭიროა თუ არა იგი ამ წუთში. მას დებენ სპეციალურ ყუთში. ყველა საბუთები აქ დალაგებულია ბარათების სისტემით და დაყოფილია შინაარსის მიხედვით. განსაზღვრული შინაარსის ბარათის შესაფერი ფერის ქაღალდი აქვს მიწებებული.

თუ მაგალითად დირექტორი მოისურვებს საქმის მდგომარეობის გაცნობას, საკმაო არის თვალი გადაავლოს ამ ფერადი ქაღალდებით აჭრელებულ ყუთს, რომ მისთვის ნათელი იქნება ყველაფერი. ყვითელი ფერი—ეს შეკვეთის ხვების ნიშნავს, მწვანე—დაკვეთებს, წითელი—ფულის გადახდას, შავი—საქმის გადაცემას სასამართლოში და სხვა.

მანქანა-სტენოგრაფი

დღე არ გაივლის ისე, რომ ტელეგრაფმა არ მოიტანოს ცნობა ადამიანის მიერ ფოლადიდან შექმნილ რაიმე ახალი საოცრების შესახებ. პარიზის ერთ-ერთ ქარხანაში დაამზადეს მანქანა-სტენოგრაფი, რომელიც წუთში 270 სიტყვას სწერს.

ახლო მომავლის სურათი

ჯერ კიდევ ახლა შესაძლებელია კონცერტების და ლექციების მოსმენა რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზე. რამდენიმე მეცნიერმა უკვე გამოიგონა მანქანა, რომლითაც შესაძლებელია დანახვა იმის, თუ რა ხდება მეორე ქალაქში.

სულ ახლო მომავალში, როცა ტეხნიკა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, შესაძლებელია ვიხილოთ შემდეგი სურათი:


თბილისის განყ.
ყიხიმის განყ
ლენინგრადის განყ.
ხარკოვის განყ
ხარბინის განყ.
მოსკოვი

დირექტორი ზის თავის კაბინეტში ესაუბრება ტრესტის განყოფილებების გამგეებს სხვადასხვა ქალაქებში. თეთრ კედელზე გაკრულ ტილოზე მოსჩანან განყოფილებების [illegible]. ისინი მოძრაობენ, ტუჩებს ამოძრავებენ; მათი სახე ხან გაკვირვებას გამოთქვამს, ხან უდიდეს ყურადღებას: ხმამაღლა მოლაპარაკეები კი გადმოსცემენ მათ ნალაპარაკევს და გადასცემენ იქით რასაც დირექტორი ამბობს.

ავიაქიმის კვირეული

ქიმიური „ომი“ თბილისში

ორშაბათს, 19 ივლისს, დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე ავიაქიმის თბილისის საბჭო აწყობს საჩვენებელ საჰაერო-ქიმიურ ომს თბილისში.

დილის 10½ ს. მიცემული იქნება პირველი გამაფრთხილებელი ნიშნები, ამის წამის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტზე გადაუფრინდება აეროპლანი. აეროპლანებიდან ისერიან დაუტენელ ყუმბარებს და გააჩენენ ცეცხლს. ამავე დროს პროსპექტზე ავიაქიმის რაზმი გადაყრის ცეცხლწაკიდებულ უვნებელ მაშხალებს, რის შემდეგ მოვა ცეცხლის მქრობელი რაზმი და მოაწყობს საჩვენებელ ცეცხლის ქრობას, ცეცხლის მქრობელ რაზმთან ერთად მოვა სასწრაფო დახმარების რაზმი და საჩვენებელ დახმარებას აღმოუჩენს გაზით მოწამლულებს. ოპერის და რუსთაველის თეატრების და მუშათა სასახლის სახურავებზე ანთებული იქნება კვამლიანი მაშხალები, რომლებსაც ჩააქრობენ ცეცხლის მქრობელი რაზმები. მუშათა სასახლეში, სახლში № 3 განთის ქუჩაზე, და ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში მოწყობილი იქნება გაზებისაგან თავის დასაცავი ადგილები. ქიმიური ომის აგიტაციის შემდეგ ზემელის აფთიაქთან მოეწყობა მიტინგი და „ომის“ მონაწილეთა აღლუმი. რუსთაველის პროსპექტზე მცხოვრებლებმა უნდა „ომის“ წარმოების დროს დახურონ ფანჯრები და კარები.

თათბირი მებამბეობის შესახებ

ა.-კ. მებამბეობის მთავარი კომიტეტის გამობის შესახებ, რომელსაც ესწრებიან საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მებამბეობის კომიტეტების წარმომადგენლები.

მთავარ საბამბო კომიტეტის ანგარიში

ა.-კ. მბამბეობის მთავარი კომიტეტის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ლეონ ერზინკიანმა, რომელიც შეეხო მიმდინარე წლის თესვის კამპანიას და 1925—26 წლის ნედლი ბამბის შესყიდვის პერიოდს.

1925—26 წლის სეზონში შესყიდული ყოფილა 74.941 ტონა ნედლი ბამბა. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით შესყიდული ბამბა ასე ნაწილდება: აზერბეიჯანში შეყიდულია 58.690 ტონა, სომხეთში—13.659 ტონა, საქართველოში—2.410 ტონა, აფხაზეთში—820 ტონა;

ამიერ-კავკასიაში გასულ წელს ბამბით სულ დათესილი ყოფილა 119.257 დესეტინა მიწა. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე კერძო შემყიდველთა მოქმედების გაცხოველება. კერძო პირნი სხვადასხვა ოინებით იძენდენ ნედლ ბამბას. მანუფაქტურის კრიზისის გამო გაძლიერდა აგრეთვე ნედლი ბამბის ადგილობრივი დამუშავება და მოხმარება საკუთარ საჭიროების და საკმაყოფილებლად.

ბამბის მცენარის მოსავლიანობა შეადგენდა აზერბეიჯანში 42,1 ფუთს ყოველ დესიატინაზე, სომხეთში—58,8 ფუთს, საქართველოში—30 ფუთს.

საშუალო ფაქტიური ფასები ბამბაზე უდრიდა: აზერბეიჯანში—4 მან. 83 კაპ.—ფუთი, სომხეთში—4 მან. 98 კაპ. საქართველოში—4 მ. 90 კაპ.

მებამბეობის ორგანიზაციის აპარატი მიმდინარე წელს შესამჩნევად გამტკიცდა და გაუმჯობესდა, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში. სუსტია მხოლოდ ცენტრის კავშირი რესპუბლიკანურ განყოფილებებთან. მიმდინარე წელს მოსალოდნელია ბამბის შემდეგი მოსავალი: აზერბეიჯანში 3.750.000 ფუთი, სომხეთში—500.000 ფუთი; საქართველოში—245.000 ფ. აფხაზეთში—30 ფუთი. სულ ამიერ-კავკასიაში 4.525.000 ფუთი.

საქართველოს კომიტეტის საბამბო მუშაობა

ამიერ-კავკ. მებამბეობის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქმნა ამხ. გიგინეიშვილის მოხსენება საქ. მებამბობის კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ საქართველოში ბამბით ნათესი სივრცე მიმდინარე წელში 7.018 დეს. უდრის 1926—27 წლისათვის მებამბეობის კომიტეტს განზრახვა აქვს, დასთესოს 10.000 დეს. ბამბა. ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა საქართველოს მებამბეებს ავანსად მისცა 211.720 მანეთი. საქ. მებამბეობის კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია ბამბის დათესის მექანიზაციას; ასე, მაგ. ყარაიაზის რაიონში ტრაქტორებით დახნულია 400 დეს., ბორჩალოს მაზრაში—200 დეს. მიმდინარე წელში ბამბის მოსავალი თითო დესეტინაზე 40 ფუთამდე იქნება. საქ. მებამბეობის კომიტეტს განზრახვა აქვს შეისყიდოს მიმდინარე წელში 200—245 ფუთი ბამბა.

მებამბეობა სომხეთში

ამის შემდეგ მოსმენილ იქმნა ამხ. რატნერის მოხსენება სომხეთის მებამბეობის კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარსულ წელს სომხეთში შეგროვილ იქმნა 263.984 ფუთი ბამბა მიმდინარე წელში მუშაობა უფრო კარგად მიდის, ვიდრე შარშან: წელს უფრო მეტი ბამბა იქნება დამზადებული და ქარხნების ნაყოფიერებაც იზრდება.

ჩვენი გაზეთების გარშემო

ხაშური

გუშინ, ხაშურის რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე გაზეთ „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. ვ. ბერაძემ გააკეთა მოხსენება გაზეთების ნაღდ ფულზე გამოწერის სისტემაზე გადასვლის შესახებ. ამავე საკითხზე სიტყვა აიღო ამხ. კახიანმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, რომ გაზეთ „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს რედაქციებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან შემოიღონ გაზეთების ნაღდ ფულზე გამოწერის სისტემა. კრება ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ გაზეთების ნისიათ გამოწერის შედეგათ ხელისმომწერლებზე საგრძნობი დავალიანება ირიცხება, რაც ხელს უშლის და აფერხებს გაზეთების საქმეს, მიზანშეწონილად სთვლის რედაქციების მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

კრება მოუწოდებს ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მუშა-მოსამსახურეებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი გაზეთების გავრცელების საქმეს და ცხოვრებაში გაატარონ რედაქციების გადაწყვეტილება გაზეთების ნაღდ ფულზე გამოწერის სისტემის შემოღების შესახებ“. (რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად).

რკინისგზელთა დასასვენებელ სახლში

წლევანდელ ზაფხულის სეზონში რკინისგზელთა დასასვენებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზების დამზღვევმა სალარომ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსაგან წაღვერის დასასვენებელ სახლებში მიიღო ასი ადგილი.

სულ ამიერ-კავკასიის რკინის გზებიდან წელს განზრახულია 1.552 რკინისგზელის გაგზავნა დასასვენებლად.

საერთოდ, რკინისგზელთა დასვენების საქმე მთლიან დასასვენებელ სახლის უქონლობის გამო გაძნელებულია. ამის გამო რკ. გზის დამზღვევ სალაროს განზრახული აქვს ტბაზე (ლიბანის ახლოს) მთლიანი სახლის აგება რკინისგზელებისათვის. ამ სახლისთვის უკვე შეძენილი იყო ხე-ტყე, ღირებული 585 ათას მანეთათ, მაგრამ მომჭირნეობის რეჟიმის გატარების გამო სახლის აშენება დროებით შეჩერებულ იქნა.

რაც შეეხება რკინისგზელების მკურნალობას სანატორიუმებში, წლევანდელ ზაფხულის განმავლობაში 60 საწოლი მათთვის დათმობილია ბორჯომში, 16—აბასთუმანში, 120—დიდი ცემის სანატორიუმში, 161 წყალტუბოში, 120 ახტალაში, და 26 ჩრ. კავკასიის სანატორიუმში.

იმ ავადმყოფებს, რომლებიც ვერ იქნენ მოთავსებული სანატორიუმებში, მაგრამ საჭიროებენ ექიმობას, მიეცათ კომპენსაცია და შვებულება.

ქრონიკა

ჯანმრთელობის შემოწმება

— ჯანმრთელობის შემოწმება. საქართველოს პროფსაბჭომ დაამტკიცა იმ წარმოება-დაწესებულებების სია, რომლებშიაც მისაღები თანამშრომლების ჯანმრთელობა წინასწარ შემოწმებული უნდა იქნას საექიმო კომისიის მიერ.

თბილ. აღმასკომში

— საბინაო კანონი. ახლო ხანში დამტკიცდება ახალი საბინაო კანონი.

— ახალი კურსები. განათლების განყოფილება მომავალ სასწავლო წლიდან ხსნის ელექტრო-ტეხნიკურ და კოოპერატიულ კურსებს.

— 7 წლედები. განთ. განყოფილების დადგენილებით მომავალ სასწავლო წლიდან თბ. მაზრაში 7 წლედები გადაკეთებული იქნებიან პროფსკოლებათ.

— საბავშვო სანატორიუმში. განათლების განყოფილებამ თავის ხარჯზე გაგზავნა 20 ბავშვი.

— სანიტარული გამოფენა. კლუბებთან არსებული სანიტარული გამოფენა ჯანმრთელობის განყოფილებას, გადააქვს ამბულატორიებთან და საავადმყოფოებთან.

— საბინაო გადასახადი. დღემდე ქალაქში აკრეფილია საბინაო გადასახადის 80 პროც.

— დაჯარიმება. საგადასახადო განყოფილებამ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში განიხილა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის მილიციის მიერ შედგენილი 18,406 ოქმი. სულ ჯარიმიდან შემოვიდა ამავე ხნის განმავლობაში 107,426 მ.

განათლების კომისარიატში

— სპეცტეხნიკუმები. კომისარიატის დადგენილებით ყველა სპეცტეხნიკუმები მომავალ სასწავლო წლიდან დაექვემდებარებიან პროფ. განათ. მთავარ მმართველობას.

— მასწავლებლები. წინადადება მიეცათ სპეცტეხნიკუმების გამგეებს განათ. განყოფილებებთან შეთანხმებით წარმოადგინონ მასწავლებელთა სია ხელმეორედ დასამტკიცებლად.

ეროვნებათა უმცირესობის საბჭოში

— კულტურული მუშაობა. ეროვნ. უმც. საბჭომ გადასწყვიტა დაჩქარებით მოაგვაროს ქურთების შორის კულტურული განათლების შეტანის საკითხი, მათთვის სამშობლო ენაზე ლიტერატურის და შრიფტის შეძენის საშუალებით.

— სკოლები. ეროვ. უმც. საბჭო მომავალ სასწავლო წლიდან ადგილებში ეროვნებათა უმცირესობათათვის ხსნის ახალგაზრდობის სკოლებს და პროფტეხნიკუმებს.

— თურქ ქალებისათვის საბჭო შეუდგა პრაქტიკის სკოლის მოწყობას.

— ბერძნულ სკოლასთან მომავალ სასწავლო წლიდან საბჭოს დადგენილებით მოეწყობა ინტერნატი (პანსიონი).

— საბავშვო ბაღი. ორთაჭალაში არსებულ საბავშვო სახლში ეწყობა ბერძენ ბავშვებისათვის განყოფილება.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— საქართველოს გეობოტანიკური რუკა. თბილისის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტებმა დაამთავრეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის განკარგულებით დაწყებული მუშაობა საქართველოს გეობოტანიკური რუკის შესადგენად.

— ჭირის საწინააღმდეგო შრატი სამხრეთ-ოსეთისათვის. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ გაგზავნა სამხრეთ-ოსეთში საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრისათვის საჭირო რაოდენობა საქ. ჭირის საწინააღმდეგო შრატისა, რაც დამზადებულია ტაბახმელის საქონლის ჭირის საწინააღმდეგო სადგურში.

ფოთის დამზღვევ სალაროში

— პენსიონერები. ფოთის დამზღვევ სალაროში 1 ივლისისათვის პენსიონერთა რიცხვი უდრიდა 129, მათ შორის შრომის ინვალიდი—39.

— დახმარებაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვი ამავე ხნისათვის უდრიდა 51, მათ შორის 3 ქალია.

სხვადასხვა

— ქართულ ჯარის მე-6 ლეგიონში პოლიტ-განათლების განყოფილებამ გახსნა 13 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, აქედან 11 ქართულია, 1 სომხური და ერთი თურქული.

— საექიმო პუნქტი. სოფ. უდეში (ახალციხის მაზრა) „წითელ ჯვარმა“ გახსნა საექიმო პუნქტი.

— 20 ივლისიდან თბილისის დამზღვევ სალაროში მუშაობა იწარმოებს დილის 11½ ს. საღამოს 5½ საათამდე.

— „ორიანტი“. საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“ სასტუმრო „ორიანტი“-ს შეკეთება დამთავრდება ამ დღეებში.

— საფუძვლიანი შეკეთების გამო 20 ივლისიდან მე-10 და მე-9 რაიონში დროებით შეწყდება ტელეფონების მუშაობა.

— ახალი წიგნი. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა მკვლევარ ხ. ასლანიშვილის წიგნი. „ექსპედიცია სვანეთში“ მოგზაურობის მიმოხილვა.

— ყოფილ პოლიტკატორღელთა საზ-ბის ისტორიულ-რევოლიუციონური კომისია სთხოვს საზ-ბის ყველა წევრებს წარმოადგინონ ახლო ხანში თავიანთი მოგონებანი წერილობით (ლენინის ქ. № 29).

ხელოვნება

— სარაჯიშვილის სახელობის კლუბში (ოპერის გვერდით), დღეს გაიმართება რუსული წარმოდგენა: „ჩვენი დროის სიყვარული“ შეტორის დადგმით. ორშაბათს, 19 ივლისს, კინო.

— თვითმრომელთა კლუბში მიხეილ კვესაძის სახალხო გუნდი გამართავს დიდ სახალხო კონცერტს.

— „მოლიპულ გზაზე“. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე“. (მეორე გამოცემა).

— მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

შემთხვევები

— კომუნარების ბაღში. 18 ივლისს დილით გრიგოლ ხუტუას უცნობმა სამმა პირმა მოსტაცეს საათი.

— შეპყრობა. ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი მამია თარი ოღლი.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ნიკო პიპია.

— ცეცხლი. 15 ივლისს პუშკინის ქუჩაზე მოქ. სავანელიძის საკონდიტროში გაჩნდა ცეცხლი რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— გუშინ ცეკავშირში (ინტერნაციონალის ქუჩა) ახალქალაქის მუშკოოპის რწმუნებულს არეშევს დაეკარგა პორტფელი, რომელშიაც ჰქონდა 2080 მანეთი.

ფულის მოპარვა

გუშინ ამიერ-კავკასიის საკრედიტო ბიუროს მოლარე კოლესნიკოვას სალაროდან ბოროტმოქმედმა მოპარა 1906 მანეთი.

კვლევა-ძიება სწარმოებს.

ჩეგოლა-ლებარდე

სენაკის აღმასკომი შეუდგა აგარაკ „ჩეგოლა-ლებარდის“ პირველხარისხოვან კურორტათ მოწყობას.

იმ მიზნით, რომ აღმშენებლობამ ფართო სახე მიიღოს, აღმასკომმა ნება დართო კერძო მოქალაქეებს აგონ აგარაკზე სახლები.

კურორტის საერთო გამგებლობა დავალებული აქვს ჯანმრთელობის ინსპექციას, რომელმაც აგარაკზე უკვე გაგზავნა საექიმო პერსონალი.

რევიზია

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმომწყობ განყოფილების მიერ გაგზავნილმა რევიზორებმა დაამთავრეს რევიზია მიწათმომწყობ პარტიების მუშაობისა თბილისის, გორის და დუშეთის მაზრებში.

დაიწყო მიწათმომწყობ პარტიების რევიზია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.

სასამართლო

კოოპერატ. ქონების მოყვარულნი

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან მუშკოოპის საწყობის გაძარცვის ცდის საქმეზე დაპატიმრებული იქნენ, როგორც ამ საქმეში მონაწილენი—საწყობის გამგე ხორხომელიძე, თანამშრომელი გიორგაძე და სხვები.

შემდეგმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია შინაარსი, რაიც შემდეგში იხატება: საწყობის გამგე ხორხომელიძეს თავის მეგობარ გიორგაძესთან ერთად დიდი ხანია აწარმოებდა კოოპერატიული ქონების მითვისება—განიავებას.

ძმა-ბიძებს მჭიდრო კავშირი დაუჭირათ პლეხანოვის პროსპექტზე ტყავეულობით მოვაჭრე მამიკონიანთან, რომლის საშუალებითაც ასაღებდნენ ნაქურდალ საქონელს.

მამიკონიანი კი თავის მხრივ „იაფ“ საქონელს აწვდიდა მოვაჭრე აბგარიანს და ასე ხელიდან-ხელში გადადიოდა სახალხო ქონება.

უკანასკნელად ხორხომელიძემ და გიორგაძემ გაიგეს, რომ მოსალოდნელი იყო საწყობის რევიზია და რომ თავი დაეღწიათ შექმნილი მდგომარეობიდან გადასწყვიტეს მოეხდინათ ქურდობის სიმულიაცია. ამ მიზნით მათ მოიწვიეს „სპეციალისტი“—ცნობილი ქურდი აფერისტი ვ. გუბელაძე, რომელმაც იკისრა ამ საქმის შესრულება, მოიცადა ღამით საწყობში და გამოაძვრა კედელი, მაგრამ მეგობრების საუბედუროდ კედელი იმ რიგად დარჩა გამონგრეული, რომ აშკარა შეიქნა—„ციხე შიგნიდან იყო გამტყდარი“ და დამნაშავენი შეიპყრეს.

კვლევა-ძიებით გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ მოპარულია არა მარტო 7.500 მან. ერბო და კაკაო, არამედ დაახლოებით 3.000 მანეთის—სხვა საქონელიც, რომლის ნაწილი ინახებოდა ვინმე ნინა გოცაძის ბინაზე.

გოცაძისამ როცა გაიგო, რომ ბოროტმოქმედება გამომჟღავნდა, საქონელი გადასცა „შესანახად“ ვასილ გვერსალიას, სადაც იგი იქნა აღმოჩენილი.

აღსანიშნავია, რომ ნაქურდალის შემნახავნი—გვარსალია და გოცაძე აგრეთვე გამსაღებლები მამიკონიანი და აბგარიანი დიდხანს, სანამ თვით საქონელი არ იქნა აღმოჩენილი, არ გამოტყდნენ.

ამის გამო გუბელაძე პასუხისგებაში იძლევა ქურდობისათვის ხელის შეწყობისათვის, ხოლო მამიკონიანი, აბგარიანი, გოცაძე და გვარსალია—ნაქურდალის შესყიდვისა და გადამალვისათვის.

ნაქურდალი საქონლის დიდი უმრავლესობა სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილია.

—ქ—ლია.

მხიარული თაქთაქიშვილი

მიმოდიოდა გზაში მთვრალი შალვა თაქთაქიშვილი და ბარბაცებდა. იყო ღამის 12 საათი. თაქთაქიშვილი თავის სახლის ეზოში ღრიალით შეიჭრა.

— გამოდით გარედ, ვინ ხართ სახლში—ყვიროდა იგი და ვიღაცას უშვერი სიტყვებით ამკობდა. მაგრამ თაქთაქიშვილის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მას ცოლი არ დახვდა სახლში, დაღონებული გასწია ცოლის საძებნად.

— არა როგორ გაბედა მან უჩემოდ სხვაგან წასვლა,—ასე ფიქრობდა თაქთაქიშვილი.

— ქალი არ ვყოფილვარ თუ დღესვე არ მიუზღო სამაგიერო,—ბრაზმორეული იძახდა იგი.

„მძიმე ფიქრებმა“ გაატარეს რუსთაველის პროსპექტზე პაპიროსის გამყიდველს მიაშურა—აახსნა პაპიროსი, გააბოლა, შემდეგ კი ჰკრა წიხლი პაპიროსის ყუთს და ყირამალა გადააბრუნა. მილიციელი ჩაერია საქმეში და წინადადება მისცა თაქთაქიშვილს „ვარჯიშობისათვის“ თავი დაენებებინა და გაყოლოდა კომისარიატში. თაქთაქიშვილმა მილიციელს სილა გააწნა.

რის ვაი-ვაგლახით მიიყვანეს თაქთაქიშვილი კომისარიატში.

— მე ვარ ბიჭი თაქთაქიშვილი.

— დიდკაცები იქნებით თუ არ მესროლეთ—ღრიალებდა იგი.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა თაქთაქიშვილის საქმე.

სასამართლოში ბრალდებულის სკამზე უკვე დამშვიდებული იჯდა თაქთაქიშვილი.

— ბრალდებულო თაქთაქიშვილო—ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ ეკითხება თავმჯდომარე.

— ვცნობ... მხოლოდ არაფერი არ მახსოვს, ვინაიდან „ბახუსის“ გავლენის ქვეშ ვიყავი—უპასუხა ბრალდებულმა.

სასამართლომ თაქთაქიშვილს მიუსაჯა 6 თვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასჯელი შეუმცირა ორი თვით.

ქ.

მუშათა ცხოვრებაში

შრომის გმირი ამხ. ს. ბაჯიაშვილი

(მისი ფიზიკურის შრომის 41 წლის შესრულების გამო)

ამხ. ალექსანდრე მელქოსიძე ბაჯიაშვილი დაიბადა 1868 წ. არავითარ სასწავლებელში იგი არ ყოფილა. ქართულად წერა-კითხვას მას ასწავლიდა ერთი მანდილოსანი, რისთვისაც ყოველთვიურად ის იხდიდა 50 კაპ. ამხ. სანდროს მამა იყო დღიური მუშა და თავისი შრომით არჩენდა ექვს სულისგან შემდგარ ოჯახს. 1882 წ. სანდროს მამა მოუკვდა და მან სწავლასაც თავი დაანება, რადგან 50 კაპ. გადახდა მის ღარიბ ოჯახისათვის ძნელი იყო:

1886-დე სანდროს სხვადასხვა ადგილებში აძლევდენ შეგირდად, მაგრამ შრომის ხელფასს მას იმდენს არ აძლევდენ, რომ დაობლებული დედა და ძმანი ეცხოვრებია და ამიტომ ის შედის თუთუნის ქარხანაში, სამუშაოდ. 1887 წლიდან 1895-მდის.

მან ჯერ მუშათა პოლიტიკური მოძრაობისა არა იცის რა. სამაგიეროდ, იგი ხშირად დადის თეატრებში; მას შეუყვარდება წიგნების კითხვა, შეკრიბავს წიგნის მოყვარე ამხანაგებს, შეადგენს პატარა წრეს და აარსებს არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალებს „კოკორს“, „თარს“, „ზარს“ და უკანასკნელად „სანთელს“.

ამავე წლიდან იგი გაიცნობს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც თავის გამოცემებს აძლევს მას საკითხავად. ამავე დროს ის ეცნობება ევროპის სხვადასხვა რევოლიუციონერ მოღვაწეებს. ამ ამბავმა პოლიციის ყურამდინაც მიაღწია და ამხ. სანდრო აქედან შეუმჩნევლად გადადის ბაქოში, შავ-ქალაქში, ყოფ. მანთაშევის ნავთის სახელოსნო-ქარხანაში, სადაც მუშათა უმრავლესობა დაშნაკცაკანების პარტიას ეკუთვნოდა. ამხ. სანდრო ჰკიცხავს მათ ნაციონალურ შოვინიზმს. ამიტომ მათი ხელმძღვანელები მას წინადადებას აძლევენ განშორდეს იქაურობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასტიკად დაისჯება.



ამხ. სანდრო ბაჯიაშვილი

ამის გამოც ამხ. სანდრო ბრუნდება კვლავ თბილისში 1898 წ. 15 თებერვალს. იგი მონახავს თავის ყოფილ ამხანაგებს და სურს განაგრძოს მუშაობა.

სანდროს პოლიტიკური მოღვაწეობა

1899 წ. ის პირველად იღებს მონაწილეობას არალეგალურ მუშათა დემონსტრაციაზე მახათის მთის უკან, მლაშე ტბაზე. ამავე წელს ის მუშაობას იწყებს ყოფ. ბოზარჯიანის თუთუნის ქარხანაში და აქაც ხელახლა აწყობს საიდუმლო მუშათა წრეებს, სადაც მხურვალე მონაწილეობას იღებს ამხ. კობა, ამხ. სტალინი. აქაც პირველი გაფიცვა თავდება მუშათა სასარგებლოდ.

1901 წელს სანდროს აპატიმრებენ რამოდენიმე ამხანაგებით და ამწყვდევენ მეტეხის ციხეში 8 თვით.

ამავე ქარხანაში ხელახლად ხდება გაფიცვა და რადგანაც მათ ხელმძღვანელი არა ჰყავდათ, გაფიცვა ქარხნის პატრონის სასარგებლოდ თავდება. სანდროზე მეტი მუშები უალაგოდ რჩება და სანდროც მათთან ერთად. სანდრო მაინც უსაქმოდ არ რჩება და ისევ უბრუნდება სახალხო თეატრს მოკარნახედ. ამავე დროს ის არალეგალურად მუშაობს კულისებში. აქ იკრიბებოდენ უფრო მოწინავე მუშები სცენის მოყვარეთა სახით. აქედანვე ავრცელებენ პროკლამაციებს და რევოლ. ლიტერატურას, რაც კი იშოვებოდა. იმ დროს.

ხშირად იმართებოდა არალეგალური კრებები. აქვე სწყდებოდა ამა თუ იმ ქარხნის საკითხი.

1904 წ. ამხ. სანდრო იმყოფება ზოგიერთ ამხანაგების კმაყოფაზე და შემდეგ კვლავ შედის ყოფ. საფაროვის თუთუნის ქარხანაში ექვსი თუ შვიდი თვით. აქაც რამოდენიმე ამხანაგის დახმარებით ეწყობა თუთუნის ქარხნის მუშათა საერთო გაფიცვა, რომლის მიზეზიაც იკეტება ექვსი ქარხანა. ბოლოს გაფიცვები მაინც მუშათა სასარგებლოდ თავდება და იმარჯვებს სანდროს ჯგუფი.

მიუხედავად მძიმე ფიზიკური შრომისა ამხ. სანდრო მაინც შემდეგშიაც არ ჩამოსცილებია არც სახალხო თეატრს და არც პოლიტიკურ მუშაობას. თეატრის, პოლიტიკურ და ფიზიკურ მუშაობის გარდა, მას მეოთხე სამუშაოც აქვს. ეს არის მწერლობა, რომელშიაც არა ნაკლები შრომა მიაძღვის.

მას ამჟამად აქვს 32-მდის ლიტერატურული ნაწარმოები (ხელთნაწერები), როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი პიესები, დრამა, კომედია, მოთხრობები, ზოგი დაიბეჭდა და, სამწუხაროდ, ბევრიც დაუბეჭდავია დღესაც. ამხ. სანდრო მუდმივი მუშა-კორესპონდენტია ჩვენი გაზეთის. წელს მას შეუსრულდა 41 წელი, რაც ქარხანაში მუშაობს.

ძველი რეჟიმის დროს ქალაქის სხვადასხვა უბნებში მუშები მართავდენ ქართულ წარმოდგენებს. აქაც ჩვენი სანდრო დაუღალავად მოკარნახის მოვალეობას ასრულებდა. გარდა სათეატრო მუშაობისა სანდრო ეცნობა პოლიტიკურ მუშაობასაც, რომელსაც პირველი ალაგი ეჭირა რკინისგზის მთავარ სახელოსნოში და შემდეგ თუთუნის ქარხნის მუშებშიაც შეიჭრა.

1896—1897 წლებში მან გაიცნო ვასო ცაბაძე, რკინისგზის მუშები არჩილ არაბიძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქროშვილი და სხ. და ამათთან ერთად ის ემზადება მომავალ რევოლიუციის შესახვედრად. მათი დახმარებით, იგი კარგად ეცნობა პოლიტიკურ საკითხებს და შემდეგ თვითონვე აწყობს რამოდენიმე წრეს. სადაც შეიკრიბებოდნენ სხვა მუშებიც და მათ შორის ცნობილი ტერორისტი გარსო მაჩაცაშვილი და მისი ძმა ვასო. 1896-ში პირველი გაფიცვა ხდება ყოფ. ეფინჯიანცის თუთუნის ქარხანაში. გაფიცვა თავდება მუშებს სასარგებლოდ.

მეორე გაფიცვა უფრო ფართე ხასიათისა ამავე ქარხანაში შტრეიხბრეხერების ღალატით მუშებმა წააგეს, რისთვისაც ჩვენი სანდრო რამოდენიმე ამხანაგით მთავრობის განკარგულებით განდევნილი იქნა თბილისიდან ქალაქ ბაქოში.

აქ ამხ. სანდრო შედის ყოფ. მირზაბეკიანცის თუთუნის ქარხანაში და იქაც აწყობს მუშებში საიდუმლო მუშათა წრეს და აქაც აწარმოებს რევოლიუც. მოღვაწეობას.

ამხ. სანდრო ამჟამად მუშაობს თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ“-ში. იგი უკვე მუშაობს ლენინის პარტიაში. ამხ. სანდრო ამავე დროს ჩვენი „კომუნისტი“-ს საუკეთესო მუშკორთაგანია 1922 წლიდან და ამავე მუშკორთა ბიუროში აქტიურ მომუშავედ ითვლება და „შრომის გმირის“ სახელწოდება მან ორი წლის წინეთ მიიღო.

გაუმარჯოს შრომისა და რევოლიუციონურ ბრძოლის გმირს, მუშათა მეგობარს, ჩვენს სანდროს!

ძველი მუშა.

წერილები

1. მოზარდთა სამუშაოზე დაშვების

ჩვენი პროფკავშირების პრაქტიკულ მუშაობაში და წარმოება-დაწესებულებებში მუშა-ხელის დაქირავების საქმიანობაში ადგილი აქვს შემდეგ დაუშვებელ მოვლენებს: მაგ. როდესაც პროფორგანოები სდებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს დამქირავებლებთან, ისინი (პროფორგანოები) მოითხოვენ, რათა სამსახურში მიღების დროს უპირატესობა მიეცეთ კავშირის წევრებს კავშირის არა წევრების წინაშე. ეს გარემოება ძალიან მძიმე პირობებში აყენებს მოზარდ ახალგაზრდობას, რომელიც პირველად ეძებს სამსახურს და ჯერ კიდევ კავშირის წევრი არ არის. მაგ. მოზარდი, მუშის შვილი, ეძებს სამუშაოს, უნდა გააქირაოს თავისი შრომის ძალღონე და იგი მიდის დაწესებულებაში ან წარმოებაში ხელმძღვანელთან. აქ მას ეტყვიან, უარს, რადგანაც კავშირის წევრი არ არის. ეს უკანასკნელი მიდის კავშირში, სურს გახდეს კავშირის წევრი, მაგრამ მას აქაც უარით ისტუმრებენ და უხსნიან: იმისათვის, რომ გახდეთ კავშირის წევრი, უნდა იყვეთ უპირველეს ყოვლისა დაქირავებული (ე. ი. უნდა იყვეთ მუშა, ან მოსამსახურე). ამგვარად მოზარდი ვარდება გამოუვალ ჩიხში; მან არ იცის, როგორ მოიქცეს, სად და ვის მიაქირაოს თავისი შრომა და სასოწარკვეთილებაში ვარდება.

ეს მოვლენა ყოვლად მიუღებელია და მას უნდა მოეღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოდ. მუშის და გლეხის და საბჭოთა მოსამსახურის ოჯახის წევრები, პირველად სამუშაოს მაძიებელნი, უნდა იქნენ გათანასწორებულნი უფლებებში პროფკავშირის წევრებთან ერთად და მათი ინტერესები ამ მხრივ დაცული უნდა იქნეს თანახმად სრულ. საკავ. პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარი № 654-ის, რომელიც გამოცემულია 1925 წ. 30 ივნისს, და სავალდებულოა ყველა პროფორგანოებისათვის საქ. საბ. სოც. რესპ. მთელ ტერიტორიაზე.

2. კიდევ კოჯორის აგარაკებზე

კოჯორის აგარაკებზე წელს იმყოფება მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრების უმრავლესობა, განსაკუთრებით კოჯორს წელს ეწვია ბევრი ბავშვი. აქ კი სამწუხაროდ, ვითომდა ეკონომიის რეჟიმის თვალსაზრისით აღმასკომს არ გაუგზავნია არც ერთი ექიმი, რომელიც უცქერდა ბავშვებს ავადმყოფობის დროს, უსასყიდლოდ და წამლებსაც უფასოდ გამოუწერდა. აქ არიან კერძო ექიმები, რომლებიც ტყავს აძრობენ მოაგარაკეთ.

აღმასკომმა კოჯორში მოაგარაკე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ხარჯზე არ უნდა გაატაროს ეკონომიის რეჟიმი და აუცილებლად უნდა გაგზავნოს კოჯორში ერთი ბავშვთა სნეულებათა ექიმი.

ქარიშხალი.

აქაც აქვს ადგილი უყაირათობას

წარმოების დეფიციტიანობა გარდა გადაჭარბებული ხარჯებისა და გაბერილი შტატების არსებობისა, გამოწვეულია, რა თქმა უნდა, უყაირათობით. აქ კი საჭიროა მომჭირნეობაზე გადასვლა. მომჭირნეობა უნდა ვეძიოთ ყოველ კუთხეში, ყოველ საგანში, რომელიც კი რაიმე ღირებულებას წარმოადგენს თუნდაც სრულიად მცირე მნიშვნელოვანსაც კი.

ეს მცნება ვერ შეიგნო ყველამ, ან და შეიგნეს, მაგრამ ძალიანაც არ აინტერესებთ მათ, მშრომელი ხალხის ქონების დაზოგვა.

დიდი შრომა და დიდი ბრძოლა არის საჭირო მომჭირნეობის ფართოდ გაგების და გატარების საქმეში.

ავიღოთ მაგალითისათვის რკ. გზის მთავარი სახელოსნოს სადურგლო საამქრო. აღნიშნულ საამქროს აქვს ხე-ტყის გადასამუშავებელი განყოფილება. მის კარ-მიდამოს რომ გახედოთ, არა სასიამოვნო სურათს ნახავთ: აუარებელი მასალა ღია ცის ქვეშ ჰყრია, უთავბოლოდ იმტვრევა—ილეწება ფეხ-ქვეშ, ცვდება და ლპება. მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ეს სახელმწიფო ქონება აალაგოს და შეინახოს გადახურულ ადგილას. აქედან გამომდინარეობს პროდუქციის უვარგისობაც და სახალხო ქონების განადგურებაც. აქვე ფუჭდება ის ავტომობილები და სხ. ავეჯეულობაც, რომლის შეკეთებას აღნიშნული განყოფილება აწარმოებს და ნახევარი წლობით მინდორში ჰყრია.

აქვე არის ხეების სახერხი მანქანა, რომელიც 14—17 ვერშოკიან ხეზე ზევით ვერ ხერხავს. ამიტომ ხშირად კი 17 ვერშოკზე ზევით სიდიდის ხეებს ათლიან ნაჯახებით და აბნევენ ნაფოტებად.

საჭიროა მომჭირნეობის კომისიამ აღნიშნული მდგომარეობა გამოარკვიოს და უყაირათობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს.

მუშკორი ჩიკო.

მისაბაძი მაგალითი

(სოფელ ხევ - ერკეთის ბახმაროს გზის კომისიის საყურადღებოდ). კახეთის რკინის გზის ხაზზე რკინისგზელთა კომისია შეუდგა, რომელსაც დაეკისრა დახმარების შეგროვება ბახმაროს გზის გაყვანის საჭიროებისთვის. კახეთის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეები ამ საქმის დაწყებას გამოეხმაურა და გაიღო შეწირულების სახით 272 მანეთის რაოდენობით. კომისიამ აგრეთვე მოაწყო საღამო ამავე მიზნით.

დღეს კომისიის განკარგულებაში არის 378 მანეთი, რომელიც ხევ-ერკეთის—ბახმაროს გზის კომიტეტს გადაეგზავნება მოთხოვნილებისთანავე.

ერკეთელი.

ჩვენი ქარხკომიც მუშაობს

კომინტერნის სახელობის ბამბის და ძაფის სართავი ქარხნის კომიტეტი ემსახურება 190 მუშა-მოსამსახურეს. ქარხკომში შედის 7 წევრი და ორი კანდიდატი.

ქარხკომი უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სისტემატიურად ახდენდა სხდომებს. სულ მას მოუწვევია 18 სხდომა. სადაც გაურჩევია საყურადღებო, მუშებისთვის საჭირბოროტო საკითხები. როგორც არის შრომის დაცვა, სოც. დაზღვევა, კულტმუშაობა და სხვა. საერთო კრება შემდგარა 8-ჯერ. გარჩეულა 30 საკითხი სპეცტანსაცმელების, ჯამაგირების შესახებ.

ჩატარებულია ქარხანაში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. ქარხკომი მუშების ინტერესებს ენერგიულად იცავს. მაგრამ ამასთან ანგარიშს უწევს წარმოების გაფართოებას.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილი არიან თავისი ქარხკომის მუშაობით.

ქარხკომმა მუშებისთვის გახსნა საზაფხულო ბაღი.

— მუშა ვ. საულუქაძე.

უთავბოლო ხარჯებს ბოლო უნდა მოეღოს

მომჭირნეობის მნიშვნელობის შესახებ ითქვა ათი-ათასჯერ, მაგრამ მარტო თქმა არა კმარა. მომჭირნეობა უნდა გატარდეს მისი ფართო გაგებით. მომჭირნეობის ქარ-ცეცხლში უნდა გაიაროს ყველაფერმა დაწყებული დიდ საქმეებიდან გათავებული წვრილმანებამდე. თვითეული მოქალაქე, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ მოვალეობას საპასუხისმგებლოს თუ „უპასუხისმგებლოს“ უნდა სწონავდეს და ზომავდეს მომჭირნეობის თვალსაზრისით ყველაფერს და ზოგავდეს თვითეულ კაპეიკს. სადაც „მომჭირნეობის“ გატარება შეგნებულად თუ შეუგნებლად მოისუსტებს, საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები.

ავიღოთ მაგალითისათვის თბილისის საყუდის სამასალო განყოფილება. აღნიშნული განყოფილება იძენს საყუდის ორთქლმავლების საჭიროებისთვის შუშებს. კარგი ხარისხის შუშა ღირს 1 მან. 60 კ.—2 მანეთამდე. დაბალი ხარისხისა კი 1—25 კ. ამის გამო მატერიალური განყოფილება იძენს დაბალი ხარისხის შუშებს. თუ ავიღებთ მაგალითისათვის ორთქლმავალს № 1021-ს ჩვენ ვნახავთ, რომ ორი თვის განმავლობაში დაბალი ხარისხის შუშა ორთქლმავალზე გასკდა. მემანქანეს მიერ შეძენილი კარგი ხარისხის შუშა კი უკვე, მეშვიდე თვეა დაუზიანებლად ადგია ორთქლმავალს. ხშირად მემანქანეები მეტი შრომის და წვალების თავიდან ასაცილებლად თავის ხარჯით ყიდულობენ კარგ შუშებს. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ საყუდში 100-ზე მეტი ორთქლმავალია, რომელიც საჭიროებს 1000 და 10.000 ც. შუშებისას. დროა ხელი ავიღოთ დაბალი ხარისხის შუშების შეძენაზე, რაც ასე დიდი რაოდენობით ნადგურდება და გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე კარგი ხარისხის შუშა.

საჭიროა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

მუშკორი შავსოფლელი.

მტვერში ვიხრჩობით

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე ქუჩების დაგვის დროის შესახებ, მაგრამ დღემდე მაინც უყურადღებოდ არის დატოვებული ეს საკითხი. ამ საქმეს არა ეშველა რა.. ქუჩას ჰგვიან სწორედ იმ დროს, დილით, როცა მუშები მიდიან სამუშაოდ და ქუჩაში ისეთი ბული სდგას, რომ შეიძლება, კაცს ისე დაეჯახო, რომ ვერც კი დაინახო.

— რატომ არ რწყავთ, ამხანაგო, ქუჩას, და მერე რატომ არ ჰგვით?—შევეკითხე ერთ მეეზოვეს ელბაქიძის დაღმართზე.

— შენ ვინ გეკითხება. ეს ჩემი საქმეა. ჯერ დავგვი და შემდეგ მოვრწყავ!

ასეთი მოქცევა ყოვლად შეუძლებელია. ყველასათვის ცხადია, რომ მუშა დილით ადრე მიდის სამუშაოზე ცარიელი კუჭით და სანამ ის მივიდოდეს თავის დანიშნულ ალაგს, ვინ იცის რამდენ სხვადასხვა ბაცილებს ჰყლაპავს იგი. და კიდევ ემატება ეს საშინელი მტვერი.

ჩვენ ველით ამ საქმის მოგვარებას, ვინაიდან არც ისეთი ძნელი საქმეა ეს.

სტამბის მუშა.

ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის ლამისყანის კომუნა

ამა წლის 11 აპრილს სოფელ ლამისყანის გლეხობის ერთ ნაწილმა 14-მა კომლმა, რომელშიც შედის 60 სული, დაარსეს „ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კომუნა“. შეაერთეს მთელი თავიანთი უძრავ მოძრავი ქონება და ყოფილ ორბელიანის შენობაში, გორის აღმასკომის თანხმობით დაბინავდნენ. ჰყავთ თავიანთ შორის ამორჩეული საბჭო და პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში შედიან—ნიკო ჭინჭარაშვილი (თავმჯდომარე) გრიგოლ გვრიტიშვილი მისი ამხანაგი და ილიკო ქისტოშვილი (მდივანი). მინდორ - ვენახების შორის გამანაწილებლად ამორჩეული ჰყავთ ხვიმონ ასიშვილი.

მართალია მათი შეერთება გვიან მოხდა, მაგრამ მაინც მოასწრეს დიდძალი ბოსტნეულობის დათესვა. მოიტანეს ვაზის და ხეხილის სასხურებელი აპარატები, წამლები და მოუწამლეს ვენახები მეზობელ ღარიბ გლეხებსაც.

ამ კომუნართა შორის არის ძმური კავშირი და კეთილგანწყობილება. ყველანი მტკიცეთ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. არის შემოღებული მორიგეობა ქალებშიც; აქვთ საერთო სასადილო და ზარის რეკით ატყობინებენ სადილის დროს. ვინც მინდვრათ არის, იმას იქ მისდის სადილი; ბავშვებს სასადილოდ დაბალი მაგიდა აქვთ გაკეთებული.

კომუნას დიდ დახმარებას უწევს კარგათ ცნობილი სამთავისის კომუნა, რომელიც 5 ვერსის მანძილზეა მოშორებული.

— კომუნის წევრებს და მეზობელ გლეხთა შორის არის კეთილგანწყობილება.

კომუნარებმა ჯერ-ჯერობით მოიტანეს პურის სარჩევი მანქანა და ცდილობენ ტრაქტორის მოტანასაც.

სიამოვნებით შესცქერი მათ საცხოვრებელ უზარმაზარ შენობას, რომლის თავზედაც ფრიალებს წითელი დროშა და გაგონდება, რომ ოდესღაც აქ სცხოვრობდა ორბელიანთა გვარეულობა გლეხკაცის სულის ამომხუთავი და ის შესცვალა ლამის-ყანის კომუნამ, რომელმაც უნდა გაუკაფოს გლეხკაცს გზა მომავალი ბედნიერებისაკენ.

მუშა — მსახიობი გიორგი ჯაბაური.

ვინ ვართ მუშკორები?

მუშა და გლეხკორები არიან ბასრი და მჭრელი კალმით შეარაღებული წითელი-არმიელები კულტურულ და აღმშენებლობის ფრონტზე.

როგორც წითელ არმიელი იცავს საბჭოთა წესწყობილებას თოფ-იარაღით ხელში გარეშე, თუ შინამტრებისაგან, ის მუშა და გლეხკორები მოწოდებული არიან დაიცვან წარმოება, ორგანიზაცია, სახელმწიფო დაცემა-განადგურებისაგან, შეცდომა-დანაშაულობისაგან კალმით.

დიდია დანიშნულება და მოვალეობა მუშკორისა. უამრავი მეომრებია ამ დარგშიც საჭირო.

ამიტომაც საბჭოთა რესპუბლიკებმა უკვე დარაზმეს საკმაო რიცხვი მუშკორებისა.

უკანასკნელი ცნობებით ამა წლის დასაწყისში, მუშა და გლეხკორთა რიცხვი საბჭოთა რესპუბლიკებში უდრიდა 220 ათასს. ეს რიცხვი მუდამ დღე იზრდება.

მუშა-კალმოსანთა ჯარი უნდა გამრავლდეს კიდევ. გამრავლებასთან ერთად ის ხარისხითაც უნდა გაუმჯობესდეს.

ვისაც დიდი დანიშნულება აქვს და ბევრი მოვალეობა აწევს, მას მეტიც მოეთხოვება.

მუშა და გლეხკორი ყველა დარგში უნდა შეიჭრას, ყველაფერი უნდა ასწეროს, გააშუქოს ყველაფერი სწორად დახატოს, გამოამჟღავნოს, რომ ეს შესძლოს მუშა და გლეხკორმა იგი თვითონ უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. იყოს უმწიკვლო, შეგნებული, პატიოსანი. უნდა სავსებით ერკვეოდეს, ესმოდეს რაზეც სწერს.

უამისოდ მის ნაწერს არ ექნება მნიშვნელობა.

მუშკორი ნ.

მუშათა ქრონიკა

ტყავ-ტრესტის ქარხანაში

— ხელფასი არ შემცირდება. ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებულ საერთო კრებაზე, ამხ. მოსესოვმა გააკეთა მოხსენება შრომის ხელფასის შესახებ და აღნიშნა, რომ ქარხანაში შრომის ხელფასი არ არის შემცირებული და არც შემცირდება.

— ახალი კოლხელშეკრულება. ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშები ახალი კოლხელშეკრულების თანახმად გადავიდნენ ნარდ სამუშაოზე.

— შრომის ხელფასის საკითხი. ტყავ-ტრესტის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეების შრომის ხელფასის დარიგება ხშირად გვიანდება.

— ნარდი სამუშაოს შეფასების შესახებ. როგორც გამოირკვა ტყავ-ტრესტის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე, ხშირად საკონფ.-შემფ. კომისიები ვერ აფასებენ სწორედ სანარდო სამუშაოს. მიღებულია ზომები ამის გამოსასწორებლად.

— ადმინისტრაცია არ ასრულებს შეპირებას. ტყავ-ტრესტის ქარხნის ადმინისტრაცია ძალიან ხშირად არ ასრულებს თავისი შეპირებას მუშებისადმი, რასაც ფაბკომი ებრძვის ენერგიულად.

— პრემიის შესახებ. ტყავ-ტრესტის ქარხნის ნაწილი შავი მუშებისა არ ღებულობენ პრემიას. მიღებულია ზომები მიზეზების გამოსარკვევად.

— საშვებულებო ფულები დროზე უნდა რიგდებოდეს. ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშები ხშირად ვერ ღებულობენ საშვებულებო ფულს, რაც ხელს უშლის მათ შვებულების სარგებლობაში.

— ცუდი ხარისხის სპეც-ტანსაცმელები. ხშირად ტყავ-ტრესტის მუშებს ურიგებენ ცუდი ხარისხის სპეც-ტანსაცმელებს, რომელიც მალე ფუჭდება, რაც მუშებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ფეხსაცმელების განყოფილებაში

— ფეხსაცმელების დანომვრა. ვინაიდან დამზადებული ფეხსაცმელები არ ინომრება, საწარმოო კომისიამ დაადგინა. ყველა დამზადებული ფეხსაცმელები იქნეს დანომრილი.

— არჩევნები. ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების ქარხანაში არჩეულ იქნა შრომის დაცვის კომისია ახალი შემადგენლობით.

— შრომის კანონების გაცნობა. ფეხსაცმელების ქარხნის შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა, მოწვეულ იქნეს სხდომაზე შრომის ინსპექტორი, რომელიც გააცნობს კომისიებს შრომის კანონებს.

— შრომის კანონი ირღვევა. ფეხსაცმელების ქარხნის ადმინისტრაცია იმ მუშას რომელიც გააცდენს სამუშაოს, მეორე დღეს ამუშავებს ორ ცვლაზე. მის საწინააღმდეგოდ ზომები უკვე მიიღო ქარხკომმა.

— მინების ჩასმა. შრომის დაცვის კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას ფეხსაცმელების განყოფილებაში ჩასვას მინები.

— სამუშაო გეგმის შემუშავება. ტყავ-ტრესტის კულტ-კომისიამ დაავალა ამხ. ზაგდასაროვს შეიმუშაოს სამი თვის სამუშაო გეგმა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად სხდომაზე.

— მუშაობის პირობების გაუმჯობესება. ტყავ-ტრესტის შრომის დაცვის კომისიების გაერთიანებულმა თათბირმა დაავალა ყველა კომისიებს თვალყური ადევნონ, ცეხებში გაუმჯობესებული იქნეს მუშაობის პირობები.

რკინისგზებზე

— კედლის გაზეთი. სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის კულტ-კომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მორიგი (მეშვიდე) ნომერი „ცეცხლის ისარი“-ს სახელწოდებით.

— 560 კლუბის წევრი. ბორის ძნელაძის და ი. ოქროეის სახელობის კლუბი ამჟამად აერთიანებს 560-დე ახალგაზრდა კლუბის წევრს.

— რეჟისორის მოწვევა. ამავე კლუბის გამგეობამ, ამავე კლუბთან არსებულ ქართულ დრამწრისთვის რეჟისორად მოიწვია ამხ. ვიქტორ ნინიძე მუშაობის გაცხოველების მიზნით.

— თავისუფალი გზა. თბილისის რკინის გზის [illegible] უშვებს ყოველთვიურ გაზეთს „თავისუფალი გზა“-ს სახელწოდებით.

პატარა ფელეტონი

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროელებს

დეკრეტი № 2

შემომაქვს ამხ. ხოზიკას პირველი გამოწვევისთანავე ინგლისელ გაფიცულ მემაღაროელების ფონდში 25 მანეთი.

მ. კახიანი.

შემომაქვს ამხ. ხოზიკას გამოწვევით გაფიცულ მემაღაროელების ფონდში 10 მანეთი.

ნ. კიკნაძე.

თურმე დიდი ძალა აქვს და
გასავალი ამ ჩემ დეკრეტს,
(გადასწყვიტე: დღეის შემდ.
არას დავსწერ მე იმის მეტს)
უკვე მიშამ და ნიკომაც
გამოგზავნა თავის „წილილი“
იცოდეთ, რომ კანტორაში
სალაროა მუდამ ხსნილი.
მოიტანეთ, მოიტანეთ,
ხუმრობათ არ ჩაატაროთ,
ზოგმა ხუთი, ზოგმა ათი,
ზოგმა მეტიც არ იკმაროთ.

* *

პოეტებო! გადაისვით
მოხდენილად შუბლზე ხელი,
ნომერ ორი დეკრეტითა
თქვენს ეზოში გიახელი.
ვიცი, ჩემებრ თქვენც გექნებათ
(ზოგ-ზოგს თუმცა) ჯიბე თხელი,
ყველაზე უხვ დახმარებას
მაინც თქვენგან გამოველი.
პოეტებში პირველადვე
მოვეკითხავ „პროლეტარებს“
თითო-თითო ლექსს წავართმ.
და აღებულ ჰონორარებს.
მივალ, ვნახავ და იონას
ვაკელს ვეტყვი სალამ-ქალამს
იმედი მაქვს, ამ საქმისთვის
კვლავ გააქნევს თავის კალამს
შემდეგ პეტრეს მივაკითხავ,
სამხარაძეს, პოეტს ცნობილს
ვნახავ, როგორ გაამართლებს
თავს უწოდებს მუშის ძმობილს
გამოვივლი, ვინახულებ
პოეტს სანდროს, სანდრო ეულს
საკავშირო საქმეებში
გამოწვრთნილს და გამოჩვეულს
ამბობენ, რომ ახლა უშვებს
თავის ლექსებს იგი რჩეულს,
ჰონორარებს რომ აიღებს
ბავშვს მიაწვდის ის დამშეულს.
პოემების უხვად მწერალს.
ზომლეთელსაც ვნახავ ნოეს.
გაფიცულთა დახმარებით
უსათუოდ შვებას ჰპოებს.
ახალგაზრდა პოეტებში
მაშაშვილი ქებულია,
ვიცი, წინ წინ ამ საქმისთვის
თანხა გადადებულია.

„დიმ დაირა და დაირა
დიმ დაირა დაირაო“,
შენ, პოეტო, მაშაშვილო,
ფული ჩამო—აი რაო.
შენთან ახლოს ქურულია,
კალაძე და კიდევ სხვები,
გაფიცულთა სასარგებლოდ
ფულებს მათაც ვესესხები.
ბესოშვილს და ესაკიას,
რონდელსა და გალაქტიონს,
ერთი სიტყვით, ახალგაზრდა
პოეტების სხვა მაგრიონს
მე ვავალებ: თითო ლექსი
შემოსწირონ გაფიცულებს
(რა თქმა უნდა, ჰონორარსაც
ამ საქმისთვის თუ იგულებს).

* *

გალაქტიონ ტაბიძესთან
უსათუოდ ჩვენც გვაქვს საქმე:
თედომ1) სთქვა, რომ შენ ტირილი.
სამყაროზე მოისაქმე,
ახლა, თურმე, შენ ლექსებში
ხალისი და სიცილია,
ერთ ლექსს ალბად შენც დაგვიწერ,
რადგან ბრძოლა, ჭიდილია.
მე მივმართავ ქალთ კომისარს,
ხოლო რომ გვყავს გრიშაშვილი,
(მან მიუძღვნა ქორფა „ვარდებს“
ლექსი არა ერთი წყვილი)
ამით თავი დაანებოს
ბანოვანთან „ეშმაკობას“,
ხელი მიჰყოს ინგლისელი
ჩვენი ძმების ლექსით მკობას
ჩემო სიკო2), შენც მიცნობ
მე ხომ გიცნობ, ძმაო, ვინც ხარ
„ეფრატიდან“ კონტრაბანდით
„ქარავნით“ გადმოსულხარ.
შენებურად მძივს აასხი,
იტყვები და ლექსი გვითხარ:
პოეტებში, უნდა გითხრა,
სამ პოეტად მაინც ღირხარ.
შანშიაშვილს კარგად იცნობ,
თანაც სოსო მჭედლიშვილსა,
პაპაშვილსაც ჩასჩურჩულე,
ცუხიშვილს და მოსაშვილსა,
რომ პოეტებს მე ვავალებ
საქმეს მცირეს, არა დიდსა

დაეხმარონ ინგლისელ ძმებს
რომ გავიდნენ ბრძოლით ხიდსა.
შენც, ტერენტი, პესიმისტო,
შენი ლექსი ტირილია,
მაშ დასწერე, რომ ინგლისში
მტრების გამოტირილია.
სად მოვძებნო თქვენ მითხარით
„პაპუტჩიკი“ აბაშელი,
(ამ თქმისათვის შევეზარე
უსათუოდ როგორც გველი)
„პაპუტჩიკი“ ჩქით იყოს,
პოეტია მაინც ძველი,
ფული უნდა ჩამოვართვა
მაქვს ამისი საფუძველი.
მერე წავალ „ყანწებს“ ვნახავ
თორმეტია ნაღდი ძმანი,
ტიციანი3), გრიგოლ4), სერგო5),
პაოლო6) და კიდევ სხვანი;
მსხვილ-მსხვილს ვეტყვი: ერთხელ დასთქვე
ალისფერი ეგ მიხაკი,
ჩემო ძმაო, დროა ახლა
მოიხადო, ხოლმე ხარკი.
პაოლოსაც ვეტყვი, რომა
დღეს შესწყვიტოს ნადირობა,
ერთი ლექსი მაინც დასწეროს,
ჩაიდინოს ეს გმირობა.
გრიგოლს, გოგლა ლეონიძეს,
შალვას5), სერგოს, ნიკოს6), სანდროს
ვეტყვი: თქვენი პოეტობა
გამოგვადგა აი რა დროს.
რაჟდენს7), წუთით დაანებე.
თავი ამ შენს ცოდვილ ვირებს,
„მერკვილაძეს დებს“ მოველით,
დაწერილს და დანაპირებს.
ვიცი, დიდი იმედი გაქვს
შენ-ამ „დების“ ჰონორარის.
გამოტყდები, იგი ფული
გაფიცულთა კერძი არის...
ალავერდით გადავდივარ
ჯავახიშვილს ვნახავ—ჯაყოს,
ერთ გმირს ალბად ეხლაც მოგვცემს,
რომ ქალებში არ მოგვცხაყოს.

* *

ფუტურისტებს გამარჯობა,
შენც ბესო8) და შენც ჟანგო,
თქვენს ლექსს მაინც ვერ გავიგებთ,
სჯობს ფულზე არ იჭირვანგო.
ჟური, მური, ჟური-მური
ყუთი ნაგვის სამური,
ორსული მზე გადმოხტა და
დაამძიმა შავი ფური.
არ გეწყინოს შენ ნიკოლო
ჩაჩავა და შენც კოლია9),
თქვენი ტოლი პოეტებში
დღემდის მაინც არ გვყოლია.
„ტარტაროზის“ თანამშრომლებს,
„შოლტსაც“ ვეტყვი ასე ყველას,
დღეს ინგლისის გაფიცული
თქვენგანაც ითხოვს მუშა შველას.
ონისიმე, იუმორისტის
ჰონორარებს ვადებ ვეტოს,
თავის დროზე გაიღო და
ახლაც უნდა გაიმეტოს,

* *

მსახიობი და პოეტი
ერთმანეთში ვინ სად გაჰყო,
(მეშინია არვინ დამრჩეს
და ხალხში არ მოვიკაყო)
დურუჯს მთელად, მარჯანიშვილს,
(იქვე არის ახმეტელი)
ძველი სკოლის მსახიობებს,
(დასი არის იქაც მთელი)
ამ დეკრეტით ვავალებთ
გამოიღონ ცოტა ხელი,
გაფიცულებს რომ შეუვსონ
მუცელი და ჯიბე თხელი.
არც ოპერის მსახიობებს
დავივიწყებ და მათ მღერას,
იმედი მაქვს, რომ სიმღერით
შემკობენ მუშის კერას.
მოუწოდებ მოქანდაკეთ
და თან ყველა, ყველა მხატვარს,
თავის წილის გაღებაზე
ნურც ისინი იტყვიან უარს.
თუ გამომრჩა ვინმე მე აქ,
ბოლოს ვუხდი ყველას, ყველას,
გაფიცული ძმებისათვის
იმათაც ვსთხოვ გულით შველას.

* *

დასასრულ კი ამ დეკრეტით
ვაცხადებ და ვბრძანებ ასე:
მაყაშვილს ვსთხოვ: ხელოვანთა
კომისიის დაარსება
მარჯანიშვილს ევალება
რომ შეგიწყოს ამ მხრივ ხელი,
(თუ ის თითონ აქ არ არის,
მოადგილე—ახმეტელი).
კომისიის დაარსება
მე იმიტომ განვიზრახე
რომ პოეტი, მსახიობი,
ფულიანი ვერსად ვნახე.
და ამიტომ ვბრძანებ რომა
რაც არ უნდა დაგვემართოს,
არ ნახულა კალაკალდა,
ხელოვანთა გამართოს.
იქ სიმღერა და ლექსები
მოიტანეთ შეკვეთილი.
ხალხი უნდა სიცილისგან
ოთხად იყოს მოკეცილი.
კომისიას ევალება
ამ საქმისთვის მომზადება.
ჩვენთან წავა უსასყიდლოდ
მისი ყველა განცხადება.
ამ დეკრეტის შესრულებას
არც კი უნდა ერთი კვირა,
შემდეგ ვეტყვი ჩვენს მკითხველებს
თუ ვინ რითი გაგვაკვირა.

ხოზიკა.

---

1) თედო ბეგიაშვილი.
2) ფაშალიშვილი.

3) ტაბიძე, 4) რობაქიძე, 5) კლდიაშვილი.
6) იაშვილი.
5) აფხაიძე, 6) მიწიშვილი
7) გვეტაძე.
8) ჟღენტი.
9) შენგელაია.

პროფკავშირებში

რა მდგომარეობაა შრომის ბირჟაში

(უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით)

ამჟამად შრომის ბირჟის, ანუ საშუამავლო ბიუროს გონებრივ მუშაკთა სექციაში უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია.

მკითხველი უსათუოთ შემეკითხება თუ რა არის ამის მიზეზი. გაზრდის მიზეზი შემდეგია: პირველი ის, რომ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით გაუქმდა ბიურო, ადგილები და დაწესებულების ზედმეტი ბარგი იქნა შემცირებული. ცხადია, რომ ყველა ის, ვინც იქნა შემცირებული მოაკითხავდა შრომის ბირჟას ანუ საშუამავლო ბიუროს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნილება მუშა-ხელზე საგრძნობლად კლებულობს.

ეხლა მე მოვიყვან დაახლოვებით ცნობებს, თუ რამდენი უმუშევარია გონებრივ მუშაკთა სექციაში ა.-წ. 1-ლ ივნისიდან 1-ლ ივლისამდე საერთო რიცხვი უმუშევრებისა უდრის 2.888 კაცს და ქალს ამათ შორის კავშირის წევრებია 1.703 კაცი და ქალი. სხვადასხვა კუთხეებიდან ამ ხნის განმავლობაში ჩამოსულია 323 კაცი და ქალი.

ეს ციფრები დამაფიქრებელია, საჭიროა ამ მოვლენას მიექციოს ყურადღება სათანადო ორგანოებისაგან.

1-ლ ივნისიდან 1-ლ ივლისამდე მოთხოვნილება მუშა-ხელზე დაიკლო 50%-ით, მაისის თვესთან შეფარდებით. ამის მიზეზი ისაა, რომ პროტექციონიზმი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. რომ პროფკავშირები ნაწილობრივ ასრულებენ საშუამავლო ბიუროს ფუნქციებს, რაც დაუშვებელია პროფკავშირების მხრივ.

ეხლა დაახლოებით შევეხოთ იმას, თუ როგორ იქცევიან ჩვენი დამქირავებლები.

მათ ჩვეულებად გაიხადეს პროტექციონიზმი. როგორი ფორმისაა ეს პროტექციონიზმი? სამეურნეო ან სახელმწიფო დაწესებულებას მაგალითად—სჭირდება ერთი მემანქანე, ან ერთი მოანგარიშე. დამქირავებლებმა კარგათ იციან კანონი და აგრეთვე საშუამავლო ბიუროს ფუნქციები. რა ქნან როგორ მოიქცნენ, რომ „არც მწვადი დასწვან და არც შამფური“.

საჭიროა მემანქანე, ან მოანგარიშე. აგერ კარებზე მოადგა ბიძაშვილი ან მამის დისშვილი, კარგი ნაცნობი მეგობარის მიერ გამოგზავნილი მემანქანე ან მოანგარიშე, დამქირავებელი ძალაუნებურად განიცდის სინდისის ქენჯნას, უარი უთხრას, არ შეიძლება, ჯერ ერთი ბიძაშვილია, ან მამის დის შვილი, ან კიდევ კარგი მეგობრის გამოგზავნილია, ეს გამოგზავნილი არც კავშირის წევრია და არც დაზღვეული. მაგრამ მათი წყენინება შეუძლებელია. დამქირავებლის სურს მაინც საშუამავლო ბიუროს ფორმალურად გამოიგზავნოს მემანქანის ან მოანგარიშის თანამდებობაზე დროებით პეტროვი (მისი კარგი მეგობარის გამოგზავნილი ან ბიძაშვილი), საშუამავლო ბიურო უპასუხებს, რომ სახელობითი მოთხოვნილებას არ ვაკმაყოფილებთ მემანქანე და მოანგარიშე. თუ გნებავთ, გამოგიგზავნით პირველი ხარისხის მომუშავეებს, კავშირის წევრებს და დაზღვეულებს. მხოლოდ პეტროვს კი ვერ გამოგიგზავნით, ვინაიდან ის ნაკლები ხარისხისაა და მასთან ერთად არ არის დაზღვეული კავშირის წევრი, როგორ მოიქცეს ეხლა დამქირავებელი? უხერხულ მდგომარეობაშია დამქირავებელი, ვალდებული ეძლევა კარგი მეგობარი ან ნათესავი, რომლის არ მოწყობა სამსახურში არა სასიამოვნო იქნება მისთვის, გამომდინარე ზემონახსენებ მდგომარეობიდან დამქირავებელი ამბობს: კანონი ნებას მაძლევს რა შუაშია აქ საშუამავლო ბიურო და პეტროვს არა კავშირის წევრს, დაუზღვეველს უშვებს სამუშაოზე და კავშირის წევრი დაზღვეული, უკეთესი მომუშავე იქვე რჩება საშუამავლო ბიუროში და განაგრძობს დამზღვევ სალაროდან დახმარების მიღებას. ჩემის აზრით ეს დასაშვები არ არის. ასეთი შემთხვევები კი მრავალია და ამ მოვლენას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ყველა ორგანიზაციების ვინც დაინტერესებულია ამ საკითხის მოგვარებაში იმ ამხანაგებს კი რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ პროტექციონიზმი, უნდა მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება რაც საშუალებას მისცემს საშუამავლო ბიუროს იმუშაოს. როგორც წესი და რიგია.

საშუამავლო ბიურო კი თავის მხრით უნდა ცდილობდეს რომ შესაფერი მუშა-ხელი მიაწოდოს ზემო ნაჩვენებ დაწესებულებებს. 1) ყველა უმაღლეს და უმდაბლეს კვალიფიკაციის მუშები უნდა იქნენ გატარებულნი საექსპერტიზო კომისიაში, რათა იქნეს გამორკვეული მათი კვალიფიკაცია და ხარისხი, რის შემდეგ საშუამავლო ბიუროს საშუალება ეძლევა პირნათლად შეასრულოს მოთხოვნილებები მუშა-ხელზე და მიაწოდოს დამქირავებლებს ისეთი მუშა-ხელი, რომელიც მას (დამქირავებელს) ესაჭიროება.

2) შრომის ბირჟის საშუამავლო ბიუროს სექციებმა უნდა იქონიონ კავშირი წარმოება-დაწესებულებასთან, რათა აწარმოონ კონტროლი მუშაობის მუშა-ხელის მიღების მხრივ.

ვალ. სხირტლაძე.

მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამგეობაში

მელითონეთა კავშირის განყოფილების დაარსების საკითხი ქუთაისსა და სოხუმში მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ მოისმინა ამხ. ბ. მაჩაიძის მოხსენება ქ. სოხუმში განყოფილების დაარსებაზე. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის პროფსაბჭოში დასმული იქნა საკითხი მელითონეთა კავშირის სამაზრო განყოფილების დაარსების შესახებ, რაზედაც თანხმობა განაცხადა აფხაზეთის პროფსაბჭომ და წინადადება მისცა საორგანიზაციო განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს კავშირის ორგანიზაციას, რომლებშიაც გაერთიანდებიან აფხაზეთის სადგურებში მომუშავე მუშები. ამხ. მაჩაიძის მოხსენება ცენტრ. გამგ. ცნობად მიიღო და საჭიროდ სცნო ქუთაისშიაც დაარსოს მელითონეთა კავშირის სამაზრო განყოფილება.

ბანძის რაიონის განათლების მუშ. კავშირში

(სენაკის მაზრა)

ბანძის რაიკავშირი აერთიანებს 70-დე წევრს, რომლებთა უმრავლესობას შეადგენს მასწავლებლობა. გასულ წელთან შედარებით კავშირი იჩენს მეტ სიცხოველეს. წევრთა უმრავლესობა დაინტერესებულია თვითგანვითარებით, რამდენადაც ხელმძღვანელობას არ გვაკლებს სამაზრო ორგანოები. სამგანკავშირის მითითებით რაიონის მასწავლებლობა სასწავლო წლის განმავლობაში საჭიროების და მიხედვით იკრიბებოდნენ და კოლექტიურად მუშაობდნენ ჯგუფებში გასავლელი თემების მასალებზე და შეჯიბრებით მუშაობაში სათანადო აზრი, რამაც დიდად ასწია რაიონის ზოგიერთ სკოლებში კომპლექსიური სისტემით მეცადინეობა.

არა ნაკლებ ნაყოფიერი შეიქნა ინსტრუქტორის მიერ მოწყობილი გამგეთა და მასწავლებელთა თათბირი, სადაც მოსმენილ - გამორკვეულ იქნა რაიონში შემავალ სკოლების მუშაობა.

კავშირის ყოველგვარ მუშაობას სათანადოთ უძღვება გამგეობის პ/მგ. მდივანი ს. კეკელია. მისი ინიციატივით რაიონში 4 წლედების (ჯოლევის და ნაჩალახევის) გამგეობის მიერ მიცემულ იქნა კომპლექსიური სისტემით გაკვეთილი, რომელიც გაირჩა საერთო კრების მიერ საჯაროდ.

არც ლიტერატურული წრე ჩამორჩა მუშაობაში პედაგოგიურს. მანაც 27 მაისს მოახდინა „სირინოზის“ გასამართლება, რამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრეთა შორის.

მეთვალყურე.

პროფტეხნიკური განათლების ფონდის განაწილება

საკავშირო კომისართა საბჭოს დადგენილებით პროფტეხნიკური სწავლისათვის წარმოება-დაწესებულებებმა თავისი მოგებიდან 1 პროც. უნდა გადადონ, ამ მოგებიდან დაგროვდა თანხა, რომელზედაც პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მსჯელობა იქონია და საჭიროდ მიიჩნია: თანხა გაჰყოს სამ ნაწილად, რომლიდანაც ერთი ნაწილი მოხმაროს უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ფაკულტეტებზე საქმის გაუმჯობესებას; მეორე ნაწილი—სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას (სტიპენდია, სტუდ. კოოპერატივი, სასადილო და სხვ.); მესამე—სამრეწველო ტეხნიკუმებს, სხვადასხვა კურსებს და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს.

პროფმუშაობის ქრონიკა

მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობაში

— ინგლისში გაფიცულ მუშების შესახებ. მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობამ გადასწყვიტა კვლავ ჩაატაროს კამპანიები ინგლისში გაფიცულ მუშების მდგომარეობაზე.

ბორჯომის საქალაქო პროფბიუროში

— ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ქარხკომი. ბორჯომის საქალაქო პროფბიურომ დაავალა ამხ. კრავცოვს დაარსოს ქარხკომი ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში.

მიწა-ტყის კავშირში

— დასასვენებელი სახლი. მიწა-ტყის კავშირმა დაამთავრა მუშათა დასასვენებელი სახლის აგება აგარაკ წაღვერში. სახლში გაიგზავნებიან მშრომელი ჯანმრთელები (ადგილები დაეთმობათ სამაზრო განყოფილებებს).

აფხაზეთის პროფსაბჭოში

— ხელშეკრულების დადება. აფხაზეთის პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა კავშირებს არავითარ შემთხვევაში არ დასდონ ხელშეკრულება ადმინისტრაციასთან,- მისი მუშებისათვის წინასწარ გაუცნობლად.

— პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელი კომისიები. პროფსაბჭომ დაავალა ყველა კავშირებს დაარსონ კომისიები მუშათა პროფმოძრაობის ისტორიო მასალების დასამუშავებლად.

— ფაბქარხკომ - ადგილკომების გადასარჩევი კამპანია. პროფსაბჭომ დაავალა აფხაზეთის ყველა კავშირებს 1 აგვისტომდე ჩაატარონ ფაბქარხკომებისა და ადგილკომების გადასარჩევი კამპანია, რაზედაც მისცა საჭირო დირექტივები და გეგმა.

სისხლის სამართლის მილიციის მუშაობა

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში: აპრილში, მაისსა და ივნისში სისხლის სამართლის მილიცია გაცხოველებულ ტემპით აწარმოებდა ბრძოლას ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი ფრიად ნაყოფიერია. წინანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ბოროტმოქმედებათი რიცხვი.

ენერგიული ზომები იყო მიღებული ქურდობასთან ბრძოლაში. აპრილში არა კვალიფიციურ ქურდობის შემთხვევა იყო 352; მაისში 313 ივნისში—209. კვალიფიციურ ქურდობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ასე მაგ. აპრილში იყო 120 კვ. ქურდობა, მაისში—105; ივნისში—54;

დიდი ყურადღება ექცეოდა თანამდებობრივ დანაშაულობასთან ბრძოლას. თანამდებობრივი დანაშაული სულ იყო—31; გაფლანგვა—41 შემთხვევა.

ს. ს. მილიციამ ამ ხნის განმავლობაში აწარმოვა ენერგიული მუშაობა ბანდიტიზმთან ბრძოლაში.

აპრილ-მაისში და ივნისში ადგილი ჰქონდა 22 მკვლელობას, 47 გაძარცვას და დაჭრის 45 შემთხვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ გაძარცვის ყველა შემთხვევები მცირედის გამოკლებით, გახსნილია ს. ს. მილიციის მიერ. შეპყრობილ იქნა ამ ხნის განმავლობაში ბოროტ-მოქმედთა ბანდა დავითლოვის, არუშანოვის და შახვერდოვის მონაწილეობით. ეს უკანასკნელნი აწყობდენ თავდასხმებს კუმისში, თიანეთში, მანგლისში და სხვაგან. შეპყრობილ იქნენ ზაჰესთან თავდასხმის მონაწილენი. შეპყრობილ იქნა სოფელ დიღომში თავდასხმელები 4 კაცი. გახსნილ იქნა აგრეთვე გაძარცვის მიზნით მოხდენილი თავდასხმა ნავთლუღში და სხვა. სულ შეპყრობილ იქნა 30 ბოროტმოქმედი.

დანარჩენ ბოროტმოქმედებათა შორის აღსანიშნავია დოკუმენტების ფილსიფიკაცია, ყალბი ორდერებით ფულს მიღება და სხ. აპრილის თვეში ასეთი შემთხვევა იყო 96; მაისში—52; ივნისში—43.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე 10 შემთხვევას გარყვნილობის ბუდის აღმოჩენას და 11 შემთხვევას სქესობრივი დანაშაულობისას.

საერთოდ ამ სამი თვის განმავლობაში ს. ს. მილიციის მიერ გახსნილია ბოროტმოქმედებათა 75 პროცენტი.

მეტეოროლოგიური ქსელი

მიწათმოქ. სახ. კომისარიატი სასწრაფოდ იმუშავებს ხარჯთ-აღრიცხვას საქართველოს გეოფიზიურ ობსერვატორიასთან დასაარსებელ სასოფლო სამეურნეო მეტეოროლოგიის განყოფილების შესანახად და ადგილობრივ სას. სამ. მეტეოროლოგ. დაწესებულებათა გასაფართოებლად.

მოსახლეობის მოძრაობა

(იანვარი-ივლისი)

ქალაქის აღმასკომის სამოქალაქო მდგომარეობის სარეგისტრაციო ბიუროს ნახევარი წლის ანგარიში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემდეგ სურათს იძლევა.

მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში ადგილი ქონია სიკვდილიანობის 1858—ხოლო დაბადების 4.553 შემთხვევას.

ამრიგად თბილისის მოსახლეობას მოემატა 2.695 ახალი მოქალაქე.

სიკვდილიანობის და დაბადებათა შეფარდება ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა საგრძნობლად გაიზარდა.

ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე ცნობა დაბადებათა და სიკდილიანობის შესახებ თვეების მიხედვით: იანვარში დაიბადა 809 ბავშვი, თებერვალში—781, მარტში კი 1054. აპრილსა და შემდეგ თვეებში დაბადებულთა რაოდენობა ისევ მცირდება. რაც შეეხება სიკვდილიანობას, იანვარში გარდაიცვალა 250, თებერვალში—296, ხოლო მარტში კი 412. ამრიგად მარტის თვეს, როგორც დაბადებულთა რიცხვის, ისე სიკვდილიანობის მხრივ პირველი ადგილი უკავია.

აღსანიშნავია აგრეთვე ცნობები ქორწინების შესახებაც. ამ მხრივ სარეკორდოა ზამთრის თვეები—განსაკუთრებით კი იანვარი, როცა რეგისტრაციაში გატარებულია ქორწინების 351 აქტი. ზაფხულის თვეებში ქორწინებათა რიცხვი არ აღემატება 200-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს გაყრის შემთხვევათა სიმრავლე.

უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში 1750 ქორწინებაზე მოდის 424 გაყრა, ე. ი. ყოველ 4 ქორწინებაზე ერთი გაყრა.

სოციალური უზრუნველყოფა

გლეხკომების გადარჩევის საქმე

გუშინ, 17 ივლისს, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მიწერილობები დაუგზავნა სამაზრო აღმასკომებს და გლეხკომებს ეხლა შეაჩერონ გლეხკომების გადარჩევა იმ ადგილებში, სადაც გაჩაღებულია საზაფხულო მუშაობა და იმ დროისათვის გადადვან, როდესაც გლეხობას მეტი დრო და მოხერხება ექნებათ საერთო [illegible] კრებებს დაესწრონ.

დახმარება

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით 1 აპრილიდან 1 ივლისამდე ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინა 1.500 გლეხს; 45-ი სამუშაო დღით, შრომით დახმარება გაუწია 13 ობოლს და ქვრივს; სესხის სახით სათესი მასალის შესაძენათ ღარიბ გლეხებს მისცა 900 მანეთი, სტიქიისაგან დაზარალებულ 15 გლეხს დახმარებათ დაურიგა 650 მანეთი და ღარიბ ბავშვებს მისცა ფულათ დახმარება 30 მანეთი.

პერსონალური პენსიები

სოციალ. უზრუნვ. სახ. კომისარიატის ცნობით:—საქართველოში ამჟამად დანიშნული ჰყავთ და იღებენ პერსონალურ გაძლიერებულ პენსიებს ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებებიდგან 29 კაცი— თვეში—1.040 მანეთს, სახალხო კომისართა საბჭოდგან 7 კაცი—760 მან., განათლების სახალხო კომისარიატიდგან—82 კაცი—2.450 მან. და 50 კაპ. და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდგან—253 კაცი—3.331 მან. და 60 კაპ., სულ გაძლიერებულ პენსიებზე მთავრობა თვიურათ ხარჯავს 7.582 მანეთს და 10 კაპ.

ახალი ბაღის მოწყობა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო სამეურნეო სამმართველო შეუდგა ზუგდიდში არსებულ „სამეგრელოს პარკი“-ს (მინგრელსკის ყოფ. მამული) თბილისის ბოტანიკური ბაღის სუბტროპიკულ განყოფილებად გარდაქმნას, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მიწ.-მოქმედების სახ. კომისარიატის სათანადო პროექტის საფუძველზე.

აქამდე არსებობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ერთი განყოფილება, სუბალპიური, ბაკურიანში.

საბინაო კოოპერაცია

საბინაო ამხანაგობათა კავშირის ცნობებით, საბინაო კოოპერატიული აღმშენებლობა საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა: **ბათომში** მოწყობილია სამი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა—აღმშენებელთა კავშირის მუშების, გემო-კვების კავშირის, და რკინისგზელების.

სამტრედიაში დაარსდა რკინისგზელთა ამხანაგობა კოოპერატიული სახლების ასაგებათ. ამხანაგობამ გადასწყვიტა მოაწყოს მუშების ახალშენი სადგ. იანეთთან, სამტრედიიდან 6 ვერსის დაშორებით. სამტრედიის ქალაქის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ აღნიშნულ ადგილას ამხანაგობას გადასცა მიწის ნაკვეთი.

ქუთაისში საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა მოეწყო მაუდის საქსოვ ქარხანასთან. ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აუგია 3 სახლი, თითო ორ-ორი ბინიანი.

მეორე ამხანაგობა დაარსდა ქუთაისში რკინიგზელებისაგან. ამ ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აგებული აქვს ერთი სახლი, ხოლო ახლო ხანში შეუდგება კიდევ რამოდენიმე სახლის აგებას.

ახალი სახლი

კარლ მარქსის სახელობის საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა იწყებს მეორე სახლის აგებას. ამხანაგობამ აღძრა აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა სახლის ასაგებად საჭირო მიწის ნაჭერის დათმობის შესახებ.

ახალი სახლი ჭიათურაში.

ჭიათურის საბინაო კოოპერატიულმა ამხანაგობამ საქართველოს ბინათ-კავშირს წარუდგინა ჭიათურაში ასაგებ დიდი სახლის გეგმა. სახლის აგება ჯდება 24.000 მანეთი.

ახალი საბინაო ამხანაგობა

უკანასკნელ დღეებში საქართველოს ბინათ კავშირის ცნობით მოეწყო სამი საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა: ორი თბილისში და ერთი სამხრეთ ოსეთში.

ხაშურის საბინაო ამხანაგობები

ხაშურის კოოპერატიული სამშენებლო ამხანაგობა იწყებს ხაშურში ახალი სახლების აგებას თავის წევრებისათვის. ბინათ კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქარ. ბინათა კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის წინაშე აღმასკომის სატყეო რაიონიდან ხე-ტყის მასალის დათმობის შესახებ ხაშურის ამხანაგობის საჭიროებისათვის.

ადმინისტრაციული გადაჯგუფება

თემების რიცხვის შესამცირებლათ და ადმინისტრატიული გადაჯგუფების განსახორციელებლათ, შინაგან საქმეთა კომისარიატმა გაგზავნა მაზრებში თავისი წარმომადგენლები.

ამ საკითხის შესახებ ცაკის მიერ გამოტანილ დადგენილებაში მოყვანილია ცნობა, თუ რომელ მაზრაში, რამდენი თემი უნდა იქნეს გაუქმებული. იმ მაზრებში, სადაც გასაუქმებელი თემები არ არიან დასახელებული სამაზრო აღმასკომებმა უნდა შეიმუშაონ ასეთი თემების სია და შეათანხმონ იგი კომისარიატის წარმომადგენლებთან.

ადმინისტრატიული გადაჯგუფება გადაწყვეტილია გატარდეს სექტემბრამდე.

ტრესტების ბალანსები

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, სახკომსაბჭოს დადგენილებით დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს და დაამტკიცოს ს. მ. უ. ს. ტრესტების 1924—25 წლის ბალანსები.

კომისიაში შედიან—ს. მ. უ. საბჭოს, ფინსახკომის, მ.-გ. ინსპექციის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელნი.

ბალანსების განხილვა უნდა დასრულდეს 1-ლი აგვისტოსათვის, რის გამოც ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მოსთხოვა ანგარიშები ყველა ტრესტებს.

სახალხო მამულების იჯარა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, გადასინჯული იქნას ის დადგენილება, რომლის ძალით საქართველოს სახალხო მამულების ტრესტმა და „საქართველოს ჩაი“-ს სააქციო საზოგადოებამ იჯარა უნდა იხადონ მათს განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო ქონებით სარგებლობისათვის.

ამ შუამდგომლობას მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატი ასაბუთებს რუსეთში არსებული პრაქტიკით—იქ სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო ტრესტში გაერთიანებული საბჭოთა მეურნეობანი განთავისუფლებულნი არიან საიჯარო გადასახადისაგან.

ლიბანის სანატორიუმი

ლიბანის სანატორიუმის აშენება წარმატებით მიმდინარეობს. დამთავრებულია მეორე სართულის „რკინა—ბეტონის კედლების აყვანა და ახლა სწარმოებს მთელი შენობის გადახურვა. დამთავრებულია შენობის შელესვა შიგნიდან. შუა სართულში დაწყებულია აგრეთვე შენობის შელესვა გარედან.

მთელი შენობისათვის ეწყობა ცენტრალური ორთქლით სათბობი.

მოკლე ხანში დამთავრდება შუა სართულში სასადილოს და სამზარეულოს მოწყობა.

მთავრდება აგრეთვე ცხრა-წყაროდან წყალსადენის გაყვანა სანატორიუმში და დაწყებულია შენობის აგება საკუთარ ელექტრო-სადგურისათვის.

ამ დღეებში დაიწყება სადგურ [illegible] რაიონში სანატორიუმის სარძეო ფერმის მოწყობა და ამგვარად სანატორიუმი უზრუნველყოფილი იქნება რძის ნაწარმოებით.

კინო

„გაფლანგვა“

რეჟისორი პერესტიანი შეუდგა ახალი სურათის „გაფლანგვა“-ს გადაღებას. თემათ აღებულია ფულის გაფლანგვის შემთხვევა. გაფლანგვის პირველი მსხვერპლი ხდება მოლარე, მეორე—მწერალი. მთავარ როლებში: [illegible], მარია ტენანეი, ესიკოვსკი, იაკობინი, [illegible], ბორსკი. ოპერატორი დილმელი.

მსახიობების მოწვევა

სახ. კინომრეწველობამ მუდმივ ადგილებზე მიიწვია მსახიობები მ. და ა. შირაი და იაკობინი, რომლებმაც განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინეს სურათ „აზერბეიჯანში“. აღნიშნული მსახიობები ითამაშებენ დიდ ახალ სურათში მეზღვაურთა ცხოვრებიდან. სურათის გადაღება დაიწყება აგვისტოში ბათომის რაიონში. სურათს დგამს რეჟისორი პერესტიანი. ოპერატორი დილმელი.

„ბელლა“ და ჩვენი დროის გმირები

რეჟისორი ბარსკი ექსპედიციით გაემგზავრა დაღესტანში სურათი „ბელლა“-ს ადგილობრივ გადასაღებათ. სცენების გადაღების შემდეგ ექსპედიცია გაემგზავრება კისლოვოდსკში და პიატიგორსკში ახალი სურათის „ჩვენი დროის გმირი“-ს გადასაღებათ. მთავარ როლებში: თამარა ბოლქვაძე, ბელეტვაია, ნინა [illegible], ტატიანა ვიშნევსკაია, პროზოროვსკი, იზოლენსკი, მიქაბერიძე, თაყაიშვილი და შერაზიშვილი. ბელლას როლს ითამაშებს ზელეცკაია.

ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ცალკე დარბაზში გაიხსნა პედაგოგიური განყოფილება. გახსნას დაესწრო ქუთაისის მასწავლებლობა და გარეშე საზოგადოება. პედაგოგიური მუზეუმის მნიშვნელობისა და მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გან. მუშაკთა სახლში გამოვიდა მუზეუმის დირექტორი ტრ. ჯაფარიძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მუზეუმის მდგომარეობა უცხოეთში უწინ და ახლა; ამასთან აღნიშნა მუზეუმების რიცხვის ზრდა საბჭოთა კავშირში, ხელისუფლების დახმარებით, გასულ 23-24-25 წლების განმავლობაში.

პედაგოგიურ განყოფილებაში გამოფენილია: 1) ლენინგრადის მუზეუმის (საეთნოგრაფიო და ერმიტაჟის) ზოგიერთი ნივთების რეპროდუქციები დაახლოვებით 400 ცალი, 2) ნიმუშები და მოდელები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა სახმარი სამეურნეო და საოჯახო ნივთებისა და სხვა...

მუზეუმმა ამ დღეებში მიიღო საინტერესო კოლექცია ბრინჯაოს ნივთებისა, სოფ. კინჩხაში (გორდის მახლობლად) ამოთხრილი და ფარცხანაყანევიდან. აღსანიშნავია, რომ ამ რაიონებში ბრინჯაოს ხანის ნივ. აქამდე არ იყო აღმოჩენილი. კინჩხაში ნახული ნივთები თავისი დანიშნულებით და მოხატულობით საინტერესოა, რადგან სხვა რაიონებიდან ისეთი ნივთები დღემდე არ იყო წარმოდგენილი.



„სატანჯველა“

მუზეუმის დათვალიერების დროს წააწყდებით ორ მეტად საინტერესო, ისტორიულ ნივთს: ერთი არის ნაყოფიერების ღმერთი კერპი „ფალუსი“, რომელიც აღმოჩენილია ბაღდათის რაიონში. სპეციალისტების აზრით იგი თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა ქრ. დაბადების წინ. დღეიდან 37-40 საუკუნის უკან (4.000 წლის წინად) თაყვანს სცემდენ ადამიანის ნიჭს, უნარს „გამრავლებისას“ (ანტროპორმიზმი). ეს კერპი ისტორიაში ნახსენებია, ხოლო მისი არსებობა გაურკვეველი იყო. ჩვენში ამ ნივთის აღმოჩენამ მიიპყრო რუსეთის ეთნოგრაფიების ყურადღება. კერპს სიმაღლე აქვს 35 სანტ., ხოლო წონა 8 გირ.

მეორე ნივთი აღმოჩენილ იქნა სვირის სობოროში და წარმოადგენს ასკეტიზმის სამაგალითო ნიშნს. მას ეძახდენ „სატანჯველას“, წონა ოცდახუთი გირვანქა აქვს, სიფართე 6 სანტიმეტრს უდრის; მას „წმინდა ბერები“ „სულის საცხონებლად“ ირტყამდენ წელზე და ატარებდენ თითქმის დღე-ღამე თავის სიცოცხლის განმავლობაში.

კ. ნ.

საჰაერო ტრანსპორტი

გუშინ მეორედ ჩამოფრინდა მოსკოვიდან უკრაინის სამგზავრო ჰაეროპლანი 4 მგზავრით და სახელმწიფო ფოსტით. ჰაეროპლანი დღეს დილით გაბრუნდება უკან.

დღეის შემდეგ იგივე ჰაეროპლანი მუდამ იფრენს მოსკოვ-თბილისს შორის. თბილისში მოფრინდება სამშაბათობით და ხუთშაბათობით, უკან გაფრინდება: ოთხშაბათობით და პარასკეობით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა

მე ვმუშაობდი ა.-კ. რკინის გზაზე მთელ 13 წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში არავითარი შენიშვნა და საყვედური არ მიმიღია, ვინაიდან ყოველთვის კეთილსინდისიერად ვასრულებდი ჩემ მოვალეობას. ა. წ. მაისში მივიღე მორიგი შვებულება. ათ ივლისს მივიღე დეპეშა სოფლიდან, სადაც ცხოვრობს ბინის უქონლობის გამო ჩემი ცოლშვილი, რომ ჩემი ცოლი, მცირე წლოვან ბავშვების ერთად-ერთი პატრონ-მომვლელი, შეპყრობილია მძიმე ფორმის სახადით (ტიფით), რის გამო მეზობელი მთხოვდა დაუყონებლივ ჩამოვსულიყავ სოფელში. მე მივმართე სათანადო განცხადებით ადმინისტრაციას, რათა მას მოეცა ჩემთვის შვიდი დღის შვებულება,—წარუდგინე ტელეგრამაც. მან ჯერ უარით გამისტუმრა და როდესაც მე მაინც დაბეჯითებით მოვითხოვდი, მან განცხადებაზე დამიწერა „დათხოვნილ ვიქნე სამსახურიდან“.

გთხოვთ განმარტებას, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება!

რკინისგზელი პავლე დაბ—ნიძე.

პასუხი

ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა. თქვენი დათხოვნა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში,რომ თქვენ ნებადაურთველად (თვითნებობით) და ადმინისტრაციის დაუკითხავად წასულიყავით სოფელში და მაშინაც კი, თუ კი თქვენი სამსახურზე დაუსწრებლობა გაგრძელდებოდა სამ დღეზე მეტ ხნის განმავლობაში და თქვენი სამსახურზე გამოუცხადებლობის მიზეზები შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ აღიარებული იქნებოდა არა საპატიო მიზეზად. **(იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 47-ის აბზ. „გ“).**

როგორ უნდა გაგვისწორდეს ადმინისტრაცია?

კითხვა

ჩვენ ვმუშაობდით ფიზიკურ შრომის მუშებად ერთ-ერთ დაწესებულებაში რვა თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვერ ვეღირსეთ შტატში ჩარიცხვას, ვინაიდან ადმინისტრაცია გვთვლიდა დროებით მუშებად. ამჟამად, რადგან შავი. სამუშაო უკვე მოთავდა, და ჩვენ უკვე არა ვართ საჭირო, ადმინისტრაცია გვხსნის სამუშაოდან და გარდა ხელფასისა, არავითარ დახმარებებს (როგორც მაგალითად გაუფრთხილებლობის—გასასვლელი და გამოუყენებელი შვებულების დახმარება-ჯილდო) არ გვაძლევს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ არ ვიყავით შტატის მუშები, თუმცა განუწყვეტლივ მთელ რვა თვის განმავლობაში ვეწეოდით ძალზე მძიმე ფიზიკურ შრომას.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას—კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება? ვრცელდება თუ არა ჩვენზე აქ არსებული და მომქმედ კოლხელშეკრულების პირობები შტატის მომუშავეთა თანახმად? გვერგება თუ არა (გაუფრთხილებლობისათვის) გასასვლელი ჯილდო და გამოუყენებელი შვებულებისათვის ფულადი კომპენსაცია?

ხელს აწერს 20 მუშა.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38—39-ისა, თუ თქვენ, (ფიზიკური შრომის მუშები) ექვს დღეზე მეტ ხნის განმავლობაში მუშაობდით განუწყვეტლივ, თქვენ ითვლებით მუდმივ მუშაკებათ და სარგებლობთ ყველა იმ უფლებებით, რომლებითაც სარგებლობენ ე. წ. შტატის მუშები: თქვენზე აუცილებლად ვრცელდება კოლხელშეკრულების ყველა პირობები (იხ. შრომის კანონ. კოდ. მუხ. 16); სარგებლობთ სოც-დაზღვევის ყველა უფლებებით. (იხ. იქავე მუხ. 175); უნდა მოგეცეთ გასასვლელი დახმარება თვიურ საშუალო ხელფასის ორი კვირის რაოდენობით (იხ. იქავე მუხ. 88) და გამოუყენებელი შვებულებისათვის ფულადი კომპენსაცია (იხ. იქავე მუხ. 91).

რა ხანგრძლივობით მოგვეცემა შვებულება

კითხვა

ჩვენ, თელავის მაზრის აღმასკომის მანქანაზე მომუშავე თანამშრომლები 1924 წლამდე ვსარგებლობდით ერთი თვის შვებულებით, თანაბრად ფიზიკურად მშრომელებთან. 1925 წლიდან ჩვენ ეს ერთი თვის შვებულება მოგვესპო იმ დროს, როდესაც ყველა მავნე პროფესიის მქონე და ფიზიკურად მშრომელები სარგებლობენ ერთი თვის შვებულებით.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელ დარგს ვეკუთვნით მომუშავე თანამშრომლები და რამდენი კვირის შვებულება გვეკუთვნის.

მარი მემანქანე.

პასუხი

დამატებითი შვებულება ეძლევათ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ჩამოთვლილი არიან საკავშირო საბჭ. რესპ. შრომის სახკომატის 1923 წ. 28 ივნისის დადგენილება № 270/781-ში და რომელთაც მუშაობა უხდებათ ჯანმრთელობისათვის ფრიად მავნე და საზიანო პირობებში. ბეჭდავ მანქანაზე მუშაობა ასეთ მძიმე და საზიანო შრომად არ ითვლება და ამიტომ ასეთ მანქანებზე მომუშავე ქალებს დამატებითი შვებულება არ ეძლევათ. მემანქანე ქალები და პირადად თქვენც, ეკუთვნით გონებრივ მომუშავეთა კატეგორიას და მიიღებთ თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა ხუთნახევარი თვის განუწყვეტელი მუშაობისათვის წელიწადს ერთხელ მორიგ შვებულებას არა ნაკლებ ორი კვირის ხანგრძლივობით. შვებულების ამაზე მეტი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ კოლექტ. ხელშეკრულებაზე და შრომის კანონმდებლობის თვალსაზრისით იგი სრულებით არ არის სავალდებულო ადმინისტრაციისათვის.

ვრცელდება თუ არა ჩვენზედ კოლხელშეკრულება და სოცდაზღვევა?

კითხვა

ჩვენ ვმუშაობთ ქალ. თბილ. საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულებაში დამლაგებლის თანამდებობაზე. მუშაობა გვიხდება ყოველ დღიურად სამი საათის განმავლობაში. ჩვენ ხელფასი გვეძლევა სამნეო თანხიდან და არა შრომის ხელფასის ფონდიდან, როგორც შტატის სხვა მომუშავეთ. კავშირის წევრები არა ვართ. ადმინისტრაცია ჩვენზე არ ავრცელებს კოლხელშეკრულების პირობებს და არ სურს ჩვენი დაზღვევაც.

გთხოვთ ახსნა განმარტებას, კანონიერად იქცევა თუ არა ჩვენ მიმართ ადმინისტრაცია. ვრცელდება თუ არა ჩვენზედ კოლხელშეკრულების პირობები და სოცდაზღვევა.

ხელს აწერს სამი ქალი.

პასუხი

ადმინისტრაცია თქვენ მიმართ იქცევა უკანონოდ. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 16-ის თანახმად თქვენზედაც აუცილებლად ვრცელდება კოლექტიურ ხელშეკრულების ყველა პირობებში; იმავე კოდექსის მუხ. 175-ის თანახმად თქვენ აუცილებლად დაზღვეულიც უნდა იქნეთ.

სამსახურიდან დამითხოვეს, მოწმობას არ მაძლევენ, როგორ მოვიქცე?

კითხვა

მე ვმუშაობდი რკინისგზაზე; დამჩემდა ციებცხელება. ყოველ დღე 1—3 საათამდის მომდიოდა ავადმყოფობა და ამის გამო ხშირად სამუშაოზე ვეღარ მოვდიოდი. ერთი წლის ასეთი წვალების შემდეგ ადმინისტრაციამ გამომაცხადა უვარგისად და სამსახურისათვის შეუფერებლად და მომხსნა სამუშაოდან; დათხოვნის დროს მან არ მომცა მოწმობა სამსახურის შესახებ ურომლისოდ, რომ არ აღენიშნა მაზე ჩემი დათხოვნის მიზეზები.

გთხოვთ განმარტებას კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება და ვის მივმართო, რომ მოწმობა მივიღო?

რკინისგზელი სტეფანე კორ—ნიძე.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 42-ის თანახმად, ადმინისტრაცია ვალდებულია მოგცეთ თქვენ მოწმობა იმის შესახებ თუ სად, რა თანამდებობაზე და რამდენი ხნის განმავლობაში თქვენ მუშაობდით. მოწმობაში არ უნდა იქნეს აღნიშნული თქვენი დათხოვნის მიზეზები. თქვენ თუ ასეთ მოწმობას ადმინისტრაცია არ გაძლევთ მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის ცკკას პარტისი სთხოვს ამხ. ლობჟანიძეს, რომელსაც აქვს წამოღებული დონის არქივის საქმე, შემოიაროს პარტისში (ცკკა, ოთახი № 48).

თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ცერაძეს და ბალაკაპ ვასილიას სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს ა. წ. 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება მეორე რაიონის ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

ღრმად დამწუხრებულნი: ნოე არჩილისძე, ნადეჟდა გიორგის ასული, გიორგი, ბუსუ, დავითი და არჩილი მჭეიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს პირველის ძმის, მეორის მაზლის და უკანასკნელთა ბიძის ექიმ

კონდრატი არჩილის ძე მჭეიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება—ქ. ბათომში სამშაბათს, 20 ივლისს საღამოს. 6 საათზე, გამოსვენება—ბინიდან თბილისის ქუჩა № 6

აჭარისტანის ექიმთა საზოგადოება აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 16 ივლისს ტრაღიკულად გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ექიმი

კონდრატი არჩილის ძე მჭეიძე

დაკრძალვა ქ. ბათომში, 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მისი ხონის რაიონის კორესპონდენტის

ამხ. ალექსანდრა (სონია)

ფარცხალაძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას ნ. 1577

მწუხარებაში მყოფნი დედა ვასასი, დები: ვალენტინა დგებუაძისა, მარიამ ხუციშვილისა, თამარ დეისაძისა, ალექსანდრა ჯაფარიძისა თავის ქმარშვილით, ნინა და ზინა იშხნელი, ძმები ივანე, ვლადიმერი და ალექსანდრე ალექსანდრეს ძენი იშხნელები თავიანთი ცოლშვილით, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 18 ივლისს საღამოს 6 საათზე ქ. თბილისში ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ქ. ჭიათურაში უდროვოდ გარდაცვალებული საყვარელი

ელენე ალექსანდრეს ასული

იშხნელი ქვარიანის

სულის მოსახსენებლათ, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო ქვ. 3181

თავზარდაცემული დედა (ქვრივა) ალათი დგებუაძისა, დები: სონია, გოგუცა და მარგალიტა, ძმა ნიკოლოზ (კოლია) გუიას ძე დგებუაძე, დეიდა პარასკევა ქავთარაძისა, მამიდები: ნინა მიქელაძისა, ფატი ჩხოტუასი, ალექსანდრა (საშა) დადიანისა, მარიამ მდივნისა, კაკი წერეთლისა და ბიძა კოწია იულონისძე დგებუაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 ივლისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ზესტაფონში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ (ტუტუ) გუიას ძე დგებუაძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ქინოთაში (სენაკის მაზრა) ქვ. 3176

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გიორგი მარკოზისძე ქურციკიძე და ქალიშვილი ელენა ქურციკიძე, ძმა ანტონ ქურციკიძე თავისი ცოლშვილით და ალექსანდრა ჩოგავაძისა თავის შვილებით, სერგო სამთელაძე თავის ცოლშვილით, ივანე ქარსელაძე თავის ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი და საყვარელი

პელაგია ფილიპეს ასული

ქურციკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, კვირას ნაშუადღევის 5 საათზე ნაძალადევში ბრიგადერის ქ. № 1 დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 3178

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ნოლეი

ნ. 1446 0—15

რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

ვინაიდან ყოველდღე თეატრი ვერ იტევს სურათის ნახვის მსურველებს. ორშაბათიდან, 19 ივლისიდან სურათის ჩვენება გაგრძელებული იქნება მეორე კვირას.

უკანასკნელი ორი დღე დღეს და ხვალ
„სიყვარულის საზეიმო სიმღერა“
ანონსი: სამშაბათიდან, 20 ივლისიდან: „შოპენის 15-ტე პრელიუდია“

საუკეთესო სურათი უშიშარ ედდი პოლოს მონაწ.
საბედისწერო ხანჯალი
1 და 2 სერია (11 ნაწილი) ერთად. ფასები უცვლელია

იცემა იჯარით
ქ. თბილისში
ახლად კაპიტალურათ შეკეთებული 3 სართულიანი შენობა
(ყოფილი „ორიანტი“)
სასტუმროსათვის
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, სახალ. კომის. საბჭოს შენობის წინ.

70 საუცხოვოთ დამშვენებული ოთახი (ამათგან 10 აპარტამენტი სამი განყოფილებისაგან შემდგარი), ელექტრონის განათებით, წყალსადენით და კანალიზაციით; ყველა ოთახში ყოველ დროს თბილი და ცივი წყალი. ქვედა სართულში ახლად მოწყობილი განყოფილება რესტორანისთვის.

სახურავზე ვერანდა—ბაღი

თვითეულ სართულში მოთავსებულია სალონი სტუმრების მისაღებათ.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, რუსთაველის გამზ. № 23, შავიქვის წარმოების სამმართველო. ნ. 1576

ქ. თბილისის მე-2 უბნის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ 1926 წელს 20 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათზე შესდგება **საჯარო ვაჭრობა** კოოპერატიულ ამხ. „საერო“-ს ღვინის სარდაფში პუშკინის ქ. № 2 მე-3 სამილიციო უბანში, სადაც გაიყიდება აღნიშნულ ამხანაგობის ღვინის სარდაფის ინვენტარი: ბუფეტი, ცარიელი ხის კასრები და სხვა, „საერო“-ზე დარჩენილ 1106 მან. 74 კაპ. აქციზის ვალის დასაფარავად 3158

პროფ. გ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77 25—1

საჯარო ვაჭრობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1-ს აგვისტოს დილის 10 საათზე თბილისის საჯინიბოში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 198) და 25-ს ივლისს დილის 10 საათზე, ყულარის კვიცთსაშენში (ბორჩალოს მაზრა სადგ. შულავერი)

შესდგება

საჯარო ვაჭრობა

ყველა სამომშენებლოს მიზნებისათვის დაწუნებულ ცხენებისა, როგორც სამომშენებლოს, აგრეთვე წით. დროშევან არმიისა

ყოველგვარ საჭირო ცნობების მიღება, ამის შესახებ, შეიძლება: მოწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილებაში. ლუნაჩარსკის ქ. № 2. ტელეფონი № 4—77 2—2 ნ. 1572

მუშათა ახალი კლუბი
(ყოფილი ქართული კლუბი სასახლის ქუჩა № 5)
დღეს, კვირას 18 ივლისს
მე-4-ხე სიმფონიური კრება
ჩაიკოვსკის
ნაწარმოებიდან, სოლო სკრიპკაზედ—ი. ბროდსკის მონაწილეობით. ორკესტრი დამსახურებულ არტისტი ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით.
3172 მ. ა. კ. გამგეობა

ყველასთვის ხელმისაწდომი!
მხატვრული გადიდებული სურათები!
საუკეთესო საჩუქარი
დღეობისთვის, უქმეებზე და სხვა საზეიმო შემთხვევებში
საუკეთესო მოგონება
დაახლოებულ პირებზე და ახლო ნათესავებზე. საბჭოთა კავშირში უდიდესი ატელიე სურათების გასადიდებლათ
დ. ი. ბისტროვი
ლენინგრადი, 25 ოქტომბრის გამზ. № 81, ტელ. 497—18 ამზადებს ფოტოგრაფიულ სურათის მიღების შემდეგ პორტრეტებს მშვენიერ ჩარჩოში, სიდიდე 10×12 ვერშ. 10 მანეთად ასეთივე აყვარელით—15 მან., 12×15 ვერშ.—15 მან. ასეთივე აყვარელით—20 მან. გიდაგზავნა ფასდადებით.
შესრულების ვადა 15 დღე.
სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—შეღავათი 10 პროცენტი.
ამოსაჭრით სამახსოვროთ
საჭიროა ყველა ქალაქებში ენერგიული აგენტები პორტრეტების რიცხვის გასადიდებლათ ხელსაყრელ პირობებში.
პრეისკურანტი პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოდ.
ნ. 1484 4—2

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აუწყებს ყველა დაზღვეულებს, წარმოება-დაწესებულებებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომ დამზღვევ კასაში ა წ. 20 ივლისიდან მუშაობა იწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 5 ნახ. საათამდე.

4—1 ნ. 1578 გამგეობა.

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

იოსებ იმედაშვილი
მზეთა მზე
ახალი პოემა
5 სურათით
ფასი 25 კაპ.
ნ. 1544 5—5

საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 23 ივლისს, პარასკევს, დღის 12 საათზე ტრესტის გამგეობის ბინაზე კომუნალურ ქ. 82,

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა დარჩენილ ქონების და მასალების გასასყიდათ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ გასასყიდი ქონება ყოველდღე საჯარო ვაჭრობის დღემდე.

2—1 ნ. 1574 გამგეობა.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალი სოფელზე“
0—3 გაზ. „კომუნისტ“-ის მთავარი კანტორა

გაზეთ
„კომუნისტის“ „მუშა“-ს და „ახლი სოფლის“
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი“ „მუშა“ და „ახალი სოფლის“ მთავარი კანტორები

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 23 ივლისს, 1926 წ. საათის 11, ტურგენევის ქ. № 4, სასამართლოს ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თელეთის კოოპერატივის მოძრავ ქონებას სარეცხის საპონს, ტუალეტის საპონს, ჩაის, შაქარს, პაპიროზს, სამთელს, ლურსმანს, ხახვს, გამშრალ ხილეულობას, ხალვას, ფოლაქებს, კნოპკებს, ასანთი და სხ. გალანტერეინი და საბაკალეინო. შეფასებულს 700 მან. დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა დაწესებულებისა. ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან. 3180

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—3

სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—13

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დავკარგე ბინის დავთარი ქ. თბილისი ყაზარმის ქ. № 1 ნურიევისა და შიხიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3177

დავკარგე პირადობის მოწმობა ვლადიმერ თურქესტანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3179

დავკარგე პირადობის მოწმობა № 76 ხარიტონ უგლავას სახელზე, ჩ. გ. 3174

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 164 სევასტი დალაკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3183

დავკარგე პირადობის მოწმობა № 208 ვლადიმერ თედორისძე ნინუას სახელზე, ჩ. გ. 3182

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა: ქამოს ქუჩა: 68